ლელო
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან
13 ოქტომბერი **სამშაბათი** 2009
№241 (12920) ფასი 60 თეთრი

MS მიმზიდველი
MS ხელმისაწვდომი
MS სასარგებლო

# სიჭინავამ კუპერის საიდუმლო გაამხილა

## ჰექტორ კუპერი

...ვინც თამაში იცის, მათი ნაწილი თავს არ იკლავს, ხოლო ვინც თავს იკლავს, თამაში არ იცის. მე კი რა ვქნა, ასეთ ნაკრებს როგორ მოვაგებინო?!



ზვიად სიჭინავა:
## ყველა ღონეს ვიხმარ, რომ ქეცბაია ქართულ ფეხბურთში დავასაქმო

» გვერდი 2-3



## საქართველო მარაქაში გარევას ცდილობს

ინტერვიუ ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტ გია ნაცვლიშვილთან

» გვერდი 10



## უკომენტაროდ

გუშინ ასეთი ამბავი გავიგეთ - ეროვნული სტადიონის დირექტორ ირაკლი მეძმარიაშვილთან მივიდა პიროვნება, რომელიც დირექტორის წარუდგა როგორც სანდრო შახოვი და აცნობა, რომ ამიერიდან სტადიონი დედაქალაქის მერიის საკუთრებაშია...
შევეცდებით, ამ თემაზე ვრცლად „ლელოს" უახლოეს ნომრებში გიამბოთ...

## ქართული ფეხბურთი

შეხვედრები დასავლეთ საქართველოში

# ქუპერმა სიჭინავას საიდუმლო გაანდო...

## თემურ ქეცბაიას თანხმობა ნაკრებზე და დაუჯერებელი ამბავი ამირან კაჭახიძეზე

ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ზვიად სიჭინავამ დასავლეთი საქართველო მოიარა, სადაც შეხვდა აჭარის, იმერეთის, გურიისა და სამეგრელოს რეგიონული ფედერაციების ხელმძღვანელებსა და გულშემატკივრებს.

ზუგდიდის სამხატვრო გალერეაში გულშემატკივრებთან შეხვედრისას ფედერაციის პრეზიდენტმა მრავალ ისეთ კითხვას უპასუხა, ჩვენი მკითხველისთვისაც საინტერესო იქნება. ეს ინფორმაცია შეხვედრაზე დამსწრე ერთ-ერთმა პიროვნებამ მოგვაწოდა. კითხვები უმთავრესად ზუგდიდის „ბაიას", ქართული ფეხბურთის მომავალს, ნაკრებსა და ექტორ კუპერს შეეხებოდა. რამდენიმე მნიშვნელოვან კითხვა-პასუხს „ლელოს" მკითხველიც გაეცნობა...

სიჭინავას ჰკითხეს, შეინარჩუნებს თუ არა „ბაიას" პრეზიდენტის პოსტს: *„კლუბიდან უკვე წავედი და ახლა ქართულ ფეხბურთს უნდა მივხედო. საბედნიეროდ, არიან ადამიანები, რომლებიც „ბაიაში" დაწყებულ საქმეებს გააგრძელებენ. კლუბი უპატრონოდ ნამდვილად არ დარჩება".*

შემდეგი კითხვა ეხებოდა საქართველოს ნაკრებსა და მის მომავალს, რაზეც პრეზიდენტის პასუხი ასეთი იყო:

*„ახალგაზრდული, 19 და 17-წლამდელთა წარმატებული თამაშები მომავლის იმედს გვინერგავს. ირლანდიასთან ოთარ გაბელიას გუნდის მშვენიერი თამაში უმნიშვნელო მოვლენა არ არის".*

საინტერესოა, რას ფიქრობს ბატონი სიჭინავა **ექტორ კუპერის** საქმიანობაზე. მოგეხსენებათ, ფედერაციის ახალმა თავკაცმა ნაკრების მწვრთნელი ჩერნოგორიასთან მატჩამდე გაიცნო: *„მე შევხვდი კუპერს და უნდა გითხრათ, მეტად საინტერესო ამბებიც გავიგე. კერძოდ, ის, რომ მას არ ჰქონდა სრულყოფილი ინფორმაცია უცხოეთში მოთამაშე ყველა ფეხბურთელზე, ზოგიერთზე აწვდიდნენ ამ ინფორმაციებს, ზოგიერთზე კი - ნაკლებად. არ ვიცი, მართალია თუ არა, მაგრამ ცალკეულ ფეხბურთელებზე მას საერთოდ არაფერს ეუბნებოდნენ. ყოველ შემთხვევაში, დამრჩა შთაბეჭდილება, რომ მან ყველაფერი არ იცოდა".*



> **ექტორ კუპერი**
>
> *...ვინც თამაში იცის, მათი ნაწილი თავს არ იკლავს, ხოლო ვინც თავს იკლავს, თამაში არ იცის. მე კი რა ვქნა, ასეთ ნაკრებს როგორ მოვაგებინო?!*

არგენტინელისა და სიჭინავას შეხვედრის კიდევ ერთი საინტერესო დეტალი შევიტყვეთ. კუპერი გაოცებული ყოფილა - ვინც თამაში იცის, მათი ნაწილი თავს არ იკლავს, ხოლო ვინც თავს იკლავს, თამაში არ იცის მე კი რა ვქნა, ასეთ ნაკრებს როგორ მოვაგებინოო?

ბუნებრივია, ამას მოჰყვა ლოგიკური კითხვა სინიორ ექტორის ქართულ მომავალზე - დარჩება თუ არა ის ნაკრების მთავარ მწვრთნელად. აი, რას ამბობს სიჭინავა: *„კუპერს კონტრაქტი 28 დეკემბერს უმთავრდება და მანამდე რაიმე გადაწყვეტილების გამოცხადება უხერხული იქნება".*

კუპერის შემცვლელად ყველაზე რეალური ალტერნატივა **თემურ ქეცბაიაა.** ცხადია, სიჭინავას ამაზეც ჰკითხეს: *„თემურს მხოლოდ კარგად დავახასიათებდი - პროფესიონალი, კეთილსინდისიერი და გულიანი ბიჭია. ის აუცილებლად უნდა საქმიანობდეს ქართულ ფეხბურთში და საამისოდ მე ყველა ღონეს ვიხმარ".*

„ლელოს" ინფორმაციით, ქეცბაიამ საქართველოს ნაკრებში მუშაობაზე საბოლოო თანხმობა განაცხადა. მას კარგად ესმის, რა სირთულეებსაც წააწყდება, მაგრამ დასუსტებული ნაკრების ფეხზე დაყენების სპორტული ჟინი აქვს, რაც უდავოდ მისასალმებელი და დამაიმედებელია - მოტივირებულ და მუშაობისთვის შემართულ ქეცბაიას რომ ბრძოლისუნარიანი გუნდის დაყენება შეუძლია, ეს „ანორთოსისის" მაგალითზეც ვნახეთ.

ადრეც ვწერდით, რომ სიჭინავას მსაჯთა და მსაჯების დამკვირვებელთა კომიტეტის თავმჯდომარედ **სერგო კვარაცხელიას** დანიშვნა სურს, მაგრამ რატომღაც გადაწყვეტილება ვერა და ვერ მიიღო. ამასთან დაკავშირებით, ცოტა არ იყოს, დაუჯერებელი ამბავი გავიგეთ - თითქოს, **ამირან კაჭახიძე** გადადგომას არ აპირებს, არადა, აქამდე ვიცოდით, რომ მას პოსტის დატოვება გადაწყვეტილი ჰქონდა...

**მერაბ მამულაშვილი**

ბულგარეთი-საქართველო

# საქართველო ჯერ სტოილოვს გაატილებს...

14 ოქტომბერს ბულგარეთთან გასვლითი მატჩით მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპს დავასრულებთ. საქართველოს ეროვნული ნაკრების მიერ ამ საკვალიფიკაციოში განვლილი გზით ნამდვილად ვერ დავიკვეხნით, თუმცა ნუ ვიტყვით, რომ ხვალინდელი მატჩი არანაირ ინტერესს არ იწვევს. მით უფრო, რომ კვიპროსის მიერ განადგურებულ ბულგარეთის ნაკრებში, რბილად რომ ვთქვათ, სიმშვიდე არ არის. ამაზე ქვემოთ, ჯერ ჩვენებზე ვთქვათ.

...მაგრამ სამწუხაროდ, ბევრიც არაფერი გვაქვს სათქმელი. საქართველოს ნაკრებზე ინფორმაციის მოპოვება გაცილებით პრობლემატურია, ვიდრე მეტოქეზე. ჩვენებთან კონტაქტის დამყარება პრაქტიკულად შეუძლებელია. ასე არ უნდა ხდებოდეს და იმედია, ფეხბურთის ფედერაცია, რომლის ახალი პრესსამსახური ჯერჯერობით ჩამოყალიბების პროცესშია, მომავალში ამას აუცილებლად გაითვალისწინებს...

მწირი ინფორმაციის მოპოვება სხვა წყაროებით შევძელით. როგორც გავიგეთ, ირლანდია-საქართველოს 21-წლამდელთა მატჩის (1:1) შემდეგ ახალგაზრდული ნაკრებიდან ეროვნულ გუნდს **ლევან ყენია** დაემატა. სოფიაში თამაშს შეძლებს დისკვალიფიკაციამოხდილი **ლევან კობიაშვილიც**, რომელიც ნაკრებს ჩერნოგორიაშიც ახლდა.

შაბათის მარცხის შემდეგ გულშემატკივართა პროტესტი ბულგარულ პრესაში სპეციალისტებმა და მედიამაც გაიზიარეს - მათ ერთხმად მოითხოვეს ნაკრებიდან მწვრთნელ **სტანიმირ სტოილოვის** გაშვება. სამშობლოში დაბრუნებულმა სტოილოვმა მედიასთან კომენტარში თქვა:

*„მზად ვარ, ახლავე დავტოვო პოსტი, მაგრამ ორ დღეში ნაკრებს თამაში აქვს და ეროვნული გუნდი და ფედერაცია ციტნოტში რომ არ აღმოჩნდნენ, საქართველოსთან მატჩის შემდეგ ნებისმიერი შედეგის შემთხვევაში გადავდგები".*

ამასობაში, ბულგარეთის ნაკრებში სერიოზული ცვლილებებია. კვიპროსთან მატჩის შემდეგ გუნდი დატოვეს ტრავმირებულმა **სტანისლავ მანოლევმა, ლიჩეზარ ბალტანოვმა, იორდან მინევმა** და **დიმიტარ ივანკოვმა.** „მანჩესტერ სიტის" ნახევარმცველი **სტილიან პეტროვი** კი ჩვენების წინააღმდეგ დისკვალიფიკაციის გამო ვერ ითამაშებს. მათ ნაცვლად სტოილოვმა ნაკრებს ორი ფეხბურთელი და ორივე მცველი - **მიხაილ ვენკოვი** („ლიტექსი") და **ივან ბალდალოვსკი** („ლოკომოტივი", სოფია) დაამატა.

**დავით ცაბაძე**

U 19. ევროპის ჩემპიონატი

მეტოქე

# მოძრავი და მებრძოლი

## დიდებმა მოუგეს და ჩვენც მოვუგებთო...

19-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპზე ჩვენს ჯგუფში ერთი ტური დარჩა ჩასატარებელი. ქართველი ჭაბუკები ქულის ამარა ბოლო ადგილზე არიან, თუმცა მომდევნო სტადიაზე გასვლის შანსი არ დაუკარგავთ...

ამაზე გუშინდელ ნომერში უკვე ვისაუბრეთ და დღეს თავს აღარ შეგაწყენთ. ვიდრე მეტოქეზე ვიტყოდეთ, მანამდე გაცნობებთ, რომ საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრებში განწყობა საბრძოლოა, ყველა ჯანმრთელადაა და ჩერნოგორიასთან გადამწყვეტი მატჩისთვის ემზადება.

მაინც რა გუნდია ჩერნოგორია? ადრეც ვწერდით, რომ განსხვავებით ჯგუფის მეტოქეებისგან, ბალკანელთა თავკაცმა **მიოდრაგ რადულოვიჩმა** შვედეთში არა 18, არამედ 22 ფეხბურთელი წაიყვანა და მიზანიც თამამი დაისახა

» მე-3 გვერდზე

ინტერვიუ

გიორგი ნემსაძე



# სკოლებს მინიმალურ პირობებს მაინც მოვთხოვთ

## სიჭინავას გუნდის წევრი მიიჩნევს, რომ საქმე ბავშვთა ფეხბურთითაა დასაწყები

**გასულ კვირას ზვიად სიჭინავამ საკუთარი გუნდი დაასახელა. „ძირითად შემადგენლობაში" მოხვდა გიორგი ნემსაძეც, ფეხბურთის ფედერაციის ყოფილი პრეზიდენტი... ის მიიჩნევს, პირველ რიგში ბავშვთა ფეხბურთია მისახედი. მოგეხსენებათ, ფედერაციის ახალი გუნდი ბავშვთა სკოლების ლიცენზირებას აპირებს. სწორედ ეს იყო ერთ-ერთი საკითხი, რომელზეც განმარტება ნემსაძეს ვთხოვეთ...**

**თუმცა ჯერ სხვა რამ ვკითხეთ...**

**- რამდენად მართალია, თითქოს ფეხბურთისკენ გამოხედვის სურვილი აღარ გქონდათ...**

- სურვილი არ მქონდა?! უფეხბურთოდ როგორ ვიცხოვრებდი?! ზვიად სიჭინავამ დანაწევრებული საფეხბურთო სამყაროს გაერთიანება გადაწყვიტა და ძალიანაც კარგი. მან შეძლო და დაპირისპირებული მხარეები სათანამშრომლოდ მიგვიწვია. ბუნებრივია, ეს მისაღებია. თუკი ვინმეს გააჩნია ფეხბურთში რაიმე საქმის კეთების პრეტენზია ან ამბიცია, მოვიდეს და გააკეთოს, სიჭინავა ყველას აძლევს ამის საშუალებას.

**- ქართველების გაერთიანება საკმაოდ რთული საქმეა...**

- გეთანხმებით, რთულია, მაგრამ ამავე დროს საჭიროა და აუცილებელიც. ამას კარგი ხელმძღვანელი სჭირდება და იმედია, ზვიადი საქმეს თავს კარგად გაართმევს. დრო ყველაფერს გამოაჩენს.

**- თქვენი აზრით, ფეხბურთში დღესდღეობით ყველაზე პრობლემატური სფერო რომელია?**

- პრობლემა ყველგანაა, მაგრამ ინფრასტრუქტურა და ბავშვთა ფეხბურთია სწორედ ის საფუძველი, რაზეც ქართული ფეხბურთი უნდა აშენდეს. ბუნებრივია, პარალელურ რეჟიმში უნდა მივხედოთ სხვა პრობლემებსაც, რადგან ფეხბურთში ყველაფერი ერთმანეთზეა გადაჯაჭვული. საქმის კეთება შუიდან არ შეიძლება, ყველაფრის საფუძველი, თავიდათავი ბავშვთა ფეხბურთია, რომელიც ახლა ძალზე მძიმე მდგომარეობაშია. ამ სფეროში ბევრი პროექტია განსახორციელებელი, თავად ცხოვრებაც გამოაჩენს სხვა საკითხებს, რომლებიც ასევე გზადაგზა უნდა გადავჭრათ. მზა რეცეპტი, როგორ უნდა ვუშველოთ ფეხბურთს, არ არსებობს.

**- ვიცით, რომ არის ჩანაფიქრი, ლიცენზია ჩამოერთვას ყველა საფეხბურთო სკოლას, რომელსაც სტანდარტული, ბუნებრივსაფრიანი მოედანი არ გააჩნია...**

- საკითხი ასე კატეგორიულად ჯერ არ დასმულა და, ვფიქრობ, არც უნდა დაისვას. ზოგადად, ასეთი გადაწყვეტილების მიღება სასურველი იქნებოდა, მაგრამ გერმანიასა და საქართველოს ერთნაირ პირობებში ვერ ჩააყენებ. მოთხოვნები ოდნავ შერბილებული იქნება, მაგრამ საერთო ჩანაფიქრს არ ვუღალატებთ და შევეცდებით, ყველა საფეხბურთო სკოლის ინფრასტრუქტურა რადიკალურად გაუმჯობესდეს.

**- ანუ, რა იქნება მინიმალური მოთხოვნა?**

- ყველა სკოლას აუცილებლად უნდა ჰქონდეს კეთილმოწყობილი გასახდელი, მცირე ასაკის ბავშვებისთვის სავარჯიშო მოქდანი, დიდებისთვის კი სტანდარტული, თუნდაც ნაქირავები - ეს უკვე სკოლის პრეროგატივაა. საკამათო არ არის, რომ სკოლა ლიცენზირების პირობებს უნდა აკმაყოფილებდეს - ვარჯიშის შემდეგ ბავშვებისთვის აუცილებელია შხაპი, გასახდელი, სადაც ტანსაცმელს გამოიცვლის... საკითხები ასეთ ელემენტარულ და ოდნავ უკეთეს დონეზე მაინც უნდა მოგვარდეს. მოკლედ, სკოლებმა უნდა იცოდნენ, რა არის მინიმალური მოთხოვნა, სად გადის ამ მოთხოვნების ზღვარი და ის მაინც უნდა შევასრულოთ.

**მერაბ მამულაშვილი**

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გამომცემლობა ლელო
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე
მთავარი რედაქტორის მოადგილე **პაატა გელაშვილი**; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. ლელოს მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**

*თქვენს ხელთაა უძველესი და მდიდარი ტრადიციის გაზეთი. გსურთ "ლელო" უფრო უკეთესი? მოგვწერეთ, რა მოგწონთ, რა არ მოგწონთ, რას ისურვებდით... ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge*

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **42 32 73, 899 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 32 38 08 63**; ელფოსტა: **leloltd@gmail.com**; ინდექსი **66435 INDEX.** რეკლამა: **37 78 07**

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ქართული ფეხბურთი

# მოძრავი და მებრძოლი

« პირველი გვერდიდან

- ელიტრაუნდში გასვლა გვინდა და ამისთვის ბოლომდე ვიბრძოლებთო. ახლა ვნახოთ, რა თქვა პან რადულოვიჩმა შვედეთში ჩატარებული ორი მატჩის შემდეგ:

„უკრაინასთან მოგებაც შეგვეძლო, მაგრამ შედეგით უკმაყოფილო მაინც არ ვარ. დასკვნით ტურამდე მოსამზადებლად ორი დღე გვაქვს და ეს პერიოდი ეფექტურად უნდა გამოვიყენოთ. საქართველოსთან მოგებით ელიტრაუნდში გასვლას გავიფორმებთ. ქართველები ჩვენმა ეროვნულმა უკვე დაამარცხა, ეს ჩვენც უნდა შევძლოთ და იმედია, შევძლებთ კიდეც".

ჩერნოგორია 3-5-2 სქემით თამაშობს, თუმცა საკუთარი კარის უსაფრთხოებაზე ზრუნვა ამ სქემის გადაწყობას მოითხოვს და რადულოვიჩიც საჭიროებისამებრ 4-5-1 სისტემაზე გადადის ხოლმე.

...მასპინძლებთან უგოლოდ, ხოლო უკრაინასთან 1:1 - ასეთია ჩერნოგორიელთა შვედური მონაგარი. ამასთან, თითოეულ ამ მატჩში ბალკანელებმა 4-4 ყვითელი ბარათი მიიღეს, მაგრამ ქართველებთან 14 ოქტომბრის მატჩს დისკვალიფიკაციის გამო არავინ გამოტოვებს.

მიუხედავად იმისა, რომ რადულოვიჩს შვედეთში 22 ფეხბურთელი ახლავს, მისეული სასტარტო შემადგენლობა თითქმის ხელუხლებელია. ერთადერთი - ცენტრალური მცველი **მარკო ფილიპოვიჩი** უკრაინელებთან **ილია ბულატოვიჩით** შეცვალა.

ჩერნოგორია მოძრავი და მებრძოლი გუნდია. ფეხბურთელები მაღალი კლასით არ გამოირჩევიან, მაგრამ სამაგიეროდ, ბოლომდე იბრძვიან და თუ საჭირო გახდა, ხისტ თამაშზეც არ ამბობენ უარს.

ნახევარდაცვაში „ბუდუჩნოსტის" შუახაზელები - **მარკო ვეშოვიჩი** (უკრაინელთა კარში ერთადერთი გოლის ავტორი) და **იოლან ნიკოლიჩი** ჰყავთ გამორჩეული. წინა ხაზზე კი სერბულ (კულა) „ჰაიდუკში" მოასპარეზე **ივან მარაში** და ბელგრადის „ცრვენა ზვეზდას" ფორვარდი **სტეფან დენკოვიჩი** გამოირჩევიან. ვერ ვიტყვით, რომ ჩერნოგორიას ზოგადად მყარი დაცვა ჰყავს, თუმცა შვედეთში, ჯერჯერობით, არა უშავთ - ერთი გოლი აქვთ გაშვებული. იმედი ვიქონიოთ, რომ საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრები ბალკანელთა უკანა ხაზს გასაღებს მოუძებნის.

**დავით ცაბაძე**

## ბაია

# გაძლიერება? დეკემბრიდან

ზუგდიდის „ბაიას" მთავარ მწვრთნელ **ბესიკ შეროზია** ამბობს, რომ სეზონის მეორე ნახევარს მისი გუნდი დღევანდელზე გაცილებით ძლიერი შემადგენლობით შეხვდება:

„ჩემპიონატის პირველი ეტაპის დასრულებამდე ფონს არსებული კადრებით გავალთ, შემდეგ კი გაძლიერება აუცილებლად დაგვჭირდება. გვყავს არაერთი პერსპექტიული მოთამაშე, მაგრამ დრო არ ითმენს, უმაღლეს ლიგაში ადგილი აუცილებლად უნდა შევინარჩუნოთ. ჩემპიონატმა დაგვანახვა, მხოლოდ ახალგაზრდებით წარმატების მიღწევა, ფაქტობრივად, წარმოუდგენელია. თითქმის ყველა სასურველი ფეხბურთელი უკვე შერჩეული მყავს, მათ ვინაობას მოგვიანებით გავამხელ", - აცხადებს შეროზია.

ეროვნული ჩემპიონატის ორკვირიანი პაუზისას „ბაიას" სხვა კლუბებთან საკონტროლო მატჩი არ ჩაუტარებია, სამაგიეროდ, გაიმართა თამაში მთავარ გუნდსა და დუბლშემადგენლობას შორის, რასაც საკმაოდ პრინციპული ხასიათი ჰქონდა. მიზეზი მარტივია - შეროზია დუბლების ფეხბურთელებს ხშირად აძლევს უმაღლეს ლიგაში თავის გამოჩენის შესაძლებლობას და მათთვის ეს სპარინგი ძირითად გუნდში მოხვედრის შესანიშნავი შანსი იყო.

გასაკვირი არაა, რომ მატჩი „ბაიას" მთავარი გუნდის აშკარა უპირატესობით წარიმართა და მისივე გამარჯვებით, 6:2 დასრულდა. დუბლი შეასრულა **ჯიქიამ**, თითო გოლი კი **გუჩუას**, **წურწუმიას**, **ყვანიასა** და **ონიანის** ანგარიშზეა.

„ბაიას" ძირითადი შემადგენლობა ასეთი იყო: **მაქაცარია, ექონია, აქუბარდია, ყვანია, რ. ონიანი, გ. ქირია, ვართაგავა, გუჩუა, ლუნგუ, წურწუმია, რ. ჯიქია.**

შეცვლაზე შევიდნენ: **ზარქუა, რაფავა, კ. შონია, ნ. შონია, შუჩკინი.**

„ამ თამაშმა თავისი ფუნქცია კარგად შეასრულა, კიდევ ერთხელ დავაკვირდი თითოეული ფეხბურთელის შესაძლებლობებს, რამდენიმე ახალგაზრდა უკვე იმსახურებს უმაღლეს ლიგაში თამაშს და მათ შანსს აუცილებლად მივცემ. გუნდის თამაშში გარკვეული პროგრესი უკვე შეინიშნება, მაგრამ ხარვეზებიც სახეზეა. წინ კიდევ ბევრი სამუშაო გველის", - გვითხრა შეროზიამ.

**ლევან ჯანეზაშვილი**

## სიონი

# ნარმატებული რეპეტიცია დინამომდე

ბოლნისის „სიონმა" და ზაქათალის „სიმურგმა" ტრადიცია არ დაარღვიეს და მორიგი სანაკრებო პაუზა ამხანაგური მატჩის ჩასატარებლად გამოიყენეს. ეს გუნდები ახლა უკვე ბოლნისში გაეჯიბრნენ ერთმანეთს. **თემურ მახარაძის** გუნდმა 2:1 მოიგო.

ბოლნისელებს წამყვანი ფეხბურთელები არ ჰყავდათ - ნახევარმცველი **ალექსანდრე გოგობერიშვილი** და ფორვარდი **ირაკლი კიკნაძე**. შეხვედრა, რომლის არბიტრიც **გურამ ჩიგოგიძე** გახლდათ, დაძაბულად და საინტერესოდ წარიმართა. მატჩს რამდენიმე ასეული ადგილობრივი ქომაგი დაესწრო. სხვათა შორის, თამაშის სანახავად ზაქათალიდან ბოლნისში „სიმურგის" პრეზიდენტი **ზაურ მამედოვიც** ჩამობრძანდა. სტუმართა გუნდში სამივე ქართველმა ითამაშა - **კახა ჩხეტიანი, დავით ბოლქვაძე** და **რომან ახალკაცი** თანაგუნდელთა შორის გამორჩეულნი იყვნენ.

მატჩი ამხანაგური კი იყო, მაგრამ არბიტრ ჩიგოგიძეს ზაქათალელთა გუნდის კაპიტან **ალექსანდრ მალიგინის** გაძევება დასჭირდა. უშუალოდ თამაშს რაც შეეხება, ის გარდამავალი უპირატესობით წარიმართა. თუ პირველ ტაიმში სტუმრებმა უფრო მწვავე მომენტები შექმნეს, შესვენების შემდეგ სურათი რადიკალურად შეიცვალა - მახარაძისეული შეცვლებითა და გადაადგილებებით „სიონმა" უპირატესობა მოიპოვა და მატჩიც გამარჯვებამდე მიიყვანა.

პირველ ნახევარში ანგარიში სტუმრებმა გახსნეს - „სიმურგი" **იური ბულიჩევმა** დააწინაურა. წონასწორობა აღდგა 35-ე წუთზე, როცა **გიორგი ხიდეშელმა** შორიდან ძლიერად დაარტყა, აზერბაიჯანელთა მეკარემ ბურთი ვერ შეიმაგრა და დამატებაზე **ბესიკ ჩიმაკაძემ** იყოჩაღა - 1:1.

მეორე ნახევარში **მიხეილ ბობოხიძეს** ორჯერ შეეძლო ბოლნისელთა დაწინაურება, მერე **ლაშა ნოზაძესა** და **გოგი ფიფიასაც** ჰქონდათ კარგი შანსები. მეორე გოლი სწორედ ნოზაძემ, მახვილი კუთხიდან გაიტანა - 2:1.

„სიონმა" ასეთი შემადგენლობით ითამაშა: **სტურუა (46. ბობლიაშვილი), ი. ვაშაკიძე, ქემოკლიძე, კობაური (46. მახვილაძე), გ. ხიდეშელი (46. ბობოხიძე), ლ. ნოზაძე, დ. სვანიძე, ბ. ნოზაძე (46. ბაჯელიძე), ფიფია, ხუბუა (46. ჩიკვილაძე), ჩიმაკაძე.**

სანაკრებო პაუზის დასრულებისთანავე განახლდება საქართველოს ჩემპიონატი, რომლის მორიგ ტურში, 17 ოქტომბერს, „სიონი" გასვლაზე თბილისის „დინამოს" შეხვდება. მატჩი მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე გაიმართება.

**დავით ცაბაძე**

## საქართველოს ჩემპიონატი. პირველი ლიგა

VIII ტური

### ჩიხურა-კოლხეთი (ფ) 2:1

0:1 ციცხვაია (30), 1:1 ლ. კობახიძე (53), 2:1 ჭილლაძე (65)

*ჩიხურა:* დოლაძე, გვეტაძე, ცარციძე, მგალობლიშვილი, ჩიკვაიძე, ზ. ნოზაძე, ჭილლაძე, ლ. კობახიძე, ქამუშაძე (90. გ. ენუქიძე), დეკანოიძე (78. ბ. პეტრიაშვილი), სტეფანიშვილი (78. როგავა).

*სათადარიგოები:* მწყერაშვილი, ა. ივანიშვილი, მაჭარაშვილი, დ. ენუქიძე

*მთავარი მწვრთნელი:* სოსო ფრუიძე

*კოლხეთი (ფ):* გ. შენგელია, ნარსია (86. გოგონაია), თედიაშვილი, ლემონჯავა, თურქია, ჯოჯუა, აბურჯანია, გვალია (62. გულუა) დ. სიჭინავა (78. გ. ციკოლია), გელაჭეიშვილი, ციცხვაია.

*სათადარიგოები:* ფარცვანია, ცხვიტარია, ლუსტა, გ. კილასონია

*მთავარი მწვრთნელი:* ზაზა ინაშვილი

*გაფრთხილება:* გულუა, სტეფანიშვილი

*არბიტრი:* მ. ბეუქლიშვილი

### კოლხეთი (ხ)-IBSU 4:2

1:0 გ. გაგუა (19), 1:1 ნიკოლაძე (35), 1:2 მელაძე (43), 2:2 ალანია (51), 3:2 გაბრავა (77). 4:2 გ. გაგუა (82)

*ხობი:* ჭურღულია, მ. შონია, გ. გოგენია, ა. კვირკველია, ჯამბურია, კ. ალანია, კ. გოგენია, ფიფია (58. გაბრავა), გრიგოლია, გ. გაგუა, ცობეხია (65. გელა ლომაია).

*სათადარიგოები:* ზ. გელაშვილი, ღლონტი, ლეფსაია, სართანია, ბ. ბუკია.

*მთავარი მწვრთნელი:* ლევან ნოდია.

*IBSU:* ჯოლოგუა, მაჩალაძე (36. ი. მიქაძე), ტეტუნაშვილი, თავბერიძე, ცხოიძე, პირველი, ბართია, ლ. ნორაკიძე (80. ა. ნოზაძე), გ. ჯიშკარიანი (79. გვიჩია), ნიკოლაძე, ლ. მელქაძე.

*სათადარიგოები:* ბილიხოძე, არახამია, თ. კვარაცხელია, ბენდიანაშვილი

*მთავარი მწვრთნელი:* გოჩა ყორყოლიანი

*გაფრთხილება:* ზ. ნიკოლაძე, ბართია

*არბიტრი:* ა. კრიჭაშვილი

### გურია-მეშახტე 3:1

0:1 კილაძე (22-საკ. კარში), 1:1 კვერენჩხილაძე (35), 2:1 კვერენჩხილაძე (53), 3:1 ს. ურუშაძე (70)

*გურია:* გოგუაძე, ბრეგაძე, რ. კუკულაძე, ი. კილაძე, ქურიძე, გოგიბერიძე (71. ნილოსანი) ტ. კუკულაძე, იმნაიშვილი (46. შენირული), მ. კოტრიკაძე (56. ს. ურუშაძე), მგელაძე, კვერენჩხილაძე.

*სათადარიგოები:* ეზეიშვილი, ლ. ციკოლია, იმნაძე, ჯაყელი

*მთავარი მწვრთნელი:* რამაზ ფირცხალაიშვილი

*მეშახტე:* მემარნიშვილი, დოლონაძე, გ. ტორაძე, ჯიშიაშვილი, ბაბუნიძე (58. იაგო დეისაძე), ქომეთიანი, ლომაშვილი, მიქაბერიძე, ჭკადუა, კეჭეყმაძე (90. ლ რაზმაძე), იაკობ დეისაძე.

*სათადარიგო:* რ. კალანდაძე

*მთავარი მწვრთნელი:* დავით გვენეტაძე

*გაფრთხილება:* გ. ტორაძე, იაკობ დეისაძე, ტ. კუკულაძე.

*არბიტრი:* ხ. გაგნიძე

### მარტვილი-ჰერეთი 3:1

1:0 ც. ბუკია (34), 1:1 უშარაული (6), 2:1 ც. ბუკია (65), 3:1 გიორგობიანი (86)

*მარტვილი:* ჯ. შეროზია, ბერიშვილი (70. ვარდუაშვილი), ლომიძე, ჩხიკვაძე, პაპადოპულოსი, ილურიძე, ბერუაშვილი (57. ნონორია) ც. ბუკია, ი. ხვადაგიანი, გიორგობიანი, ამბროლაძე (74. დავითაშვილი).

*სათადარიგოები:* ლ. კუჭუხიძე, ო. ტორაძე, გ. სილაგავა, თ. თურმანიძე.

*მთავარი მწვრთნელი:* მალხაზ ყვანია.

*ჰერეთი:* უ. ტუხაშვილი, დონდოლაძე, ფარულავა. გ. მაჭარაშვილი, ლომსაძე, გერგიშვილი (81. ქაჩლიშვილი), თ. ყაველაშვილი (59. ოქრუაშვილი), უშარაული, პაპუაშვილი, კუპატაძე, ბ. ფოფხაძე (57. დავითაძე).

*მთავარი მწვრთნელი:* კარლო წვერავა

*გაფრთხილება:* ყაველაშვილი, ბ. ფოფხაძე, კუპატაძე, გიორგობიანი.

*არბიტრი:* მ. ურუშაძე

### ნ/დინამოელი-ბათუმი 0:2

0:1 მ. ჯორბენაძე (36), 0:2 ბ. თედორაძე (77-პენ)

*ნ/დინამოელი:* ძაძამია, გაჩეჩილაძე, კაკაშვილი, გულორდავა (80. უხურგუნაშვილი), მერეჩკო, ი. კობახიძე, ხვითასავრიშვილი (86. ზვ. კვარაცხელია), ი. ქავთარაძე, მამუდოვი, ი. შენგელია, ლაპარტყავა (68. ჩუხუა).

*სათადარიგოები:* ცინცაბაძე, შლიმანოვი, ყურფარაშვილი, მ. გაბისონია

*მთავარი მწვრთნელი:* ვალერი გაგუა

*ბათუმი:* კაკალაძე, ფარტენაძე, ლ. რამიშვილი, თედორაძე, ხუხია, დემურაძე, სამსეიშვილი, გრიგალაშვილი (62. მალაზონია), ბოხუა, ბაციკაძე (49. ბერიძე), მ. ჯორბენაძე (82. ზოიძე).

*სათადარიგოები:* ტულუში, მამინაშვილი, ლ. კალანდაძე, ბეჟანიძე

*მთავარი მწვრთნელი:* ამირან გოგიტიძე

*გაფრთხილება:* ე. გრიგალაშვილი

*არბიტრი:* ვ. გუმბერიძე

### ტორპედო-35-ე ს.ქ 3:0

1:0 ფარულავა (45), 2:0 ბ. ჩხეტიანი (55), 3:0 გ. ჩხეტიანი (85)

*ტორპედო:* მიგინეიშვილი, ფარულავა, ბ. ბიბილაშვილი, ჭანკვეტაძე, ხარებავა (75. კუხიანიძე), გ. ჩხეტიანი, ზვ. ჩხეტიანი, ბ. ჩხეტიანი, გურული (55. იმედაძე), კირკიტაძე, შ. ჯიქია (86. ლაღაძე).

*სათადარიგოები:* ი. კუჭუხიძე, გ. თურმანიძე, რ. კვერნაძე, ლონლაძე

*მთავარი მწვრთნელი:* გია გიგატაძე.

*35-ე ს.ქ:* ყორყოლაძე, ჭაფოძე, თარაშვილი, ბელთაძე, მებალიშვილი (55. ჭრელაშვილი), გურეშიძე (52. ახალბედაშვილი), დ. ყაველაშვილი, ბახტაძე (52. მ. ლომსაძე), კოსტავა, თ. ბიბილაშვილი, ეძგვერაძე.

*სათადარიგოები:* დ. მანია, ი. უგულავა, როსტომბაია.

*მთავარი მწვრთნელი:* კახი გოგიჩაიშვილი.

*გაფრთხილება:* ბელთაძე

*არბიტრი:* დ. ხარიტონაშვილი

### ქიათურა-მესხეთი 0:1

0:1 ი. ცნობილაძე (23)

*ქიათურა:* ბადურაშვილი, გაფრინდაშვილი, ჭუმბურიძე (8. დ. შეყილაძე), ბრეგვაძე, ცუცქირიძე, ასანიძე, გიორგაძე, სარალიძე, თემირი მიშველიძე (31. აბესაძე/46. ვაშაძე), სევასტოპულო, ლაშხი.

*სათადარიგოები:* რობაქიძე, მეცხოვრიშვილი, დ. ტაბატაძე, დარბაიძე.

*მთავარი მწვრთნელი:* დავით იობაშვილი.

*მესხეთი:* ამუნაშვილი, ცნობილაძე, ყულიჯანიშვილი, დ. მერაბიშვილი (77. ქურდაძე), ინასარიძე, თელიაშვილი, ბარძიმაძე, ლეკიშვილი, თ. გრიგალაშვილი, დარჩია (82. სუდაძე), პარუნაშვილი (90. ს. მუმლაძე).

*სათადარიგოები:* რეხვიაშვილი, პეტაშვილი

*მთავარი მწვრთნელი:* პაატა გოგოლაძე

*გაფრთხილება:* თ. გრიგალაშვილი, ცუცქირიძე, ინასარიძე, ძამუნაშვილი, ასანიძე, სარალიძე.

*გაძევება:* თ. გრიგალაშვილი (24).

*არბიტრი:* ლ. კვარაცხელია

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ტორპედო | 8 | 8 | 0 | 0 | 30-2 | 24 |
| 2. ბათუმი | 8 | 5 | 2 | 1 | 8-2 | 17 |
| 3. კოლხეთი (ფ) | 7 | 5 | 1 | 1 | 17-6 | 16 |
| 4. ჩიხურა | 8 | 5 | 0 | 3 | 10-8 | 15 |
| 5. ნ\დინამოელი | 7 | 4 | 2 | 1 | 17-11 | 14 |
| 6. მარტვილი | 7 | 3 | 1 | 3 | 9-10 | 10 |
| 7. გურია | 7 | 3 | 1 | 3 | 10-12 | 10 |
| 8. კოლხეთი (ხ) | 8 | 3 | 1 | 4 | 12-16 | 10 |
| 9. მეშახტე | 8 | 3 | 1 | 4 | 9-21 | 10 |
| 10. ჰერეთი | 8 | 2 | 2 | 4 | 9-14 | 8 |
| 11. მესხეთი | 8 | 3 | 1 | 4 | 9-10 | 7 |
| 12. მერცხალი | 7 | 2 | 1 | 4 | 7-11 | 7 |
| 13. IBSU | 7 | 1 | 2 | 4 | 9-10 | 5 |
| 14. მაღაროელი | 7 | 1 | 0 | 6 | 7-20 | 3 |
| 15. 35-ე სკოლა | 7 | 0 | 1 | 6 | 4-14 | 1 |

*მესხეთმა ჩემპიონატი -3 ქულით დაიწყო*

## დუბლიორთა ჩემპიონატი

### VIII ტური

| | |
|---|---|
| სამტრედია-ზესტაფონი | 0:2 |
| ბაია-სიონი | 1:1 |
| ვიტ ჯორჯია-ოლიმპი | 6:1 |
| დინამო-გაგრა | 0:0 |
| სპარტაკი-ლოკომოტივი | 2:1 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ვიტ ჯორჯია | 9 | 5 | 1 | 3 | 20-12 | 16 |
| 2. დინამო | 9 | 4 | 4 | 1 | 13-8 | 16 |
| 3. გაგრა | 9 | 4 | 3 | 2 | 21-8 | 15 |
| 4. ზესტაფონი | 9 | 4 | 2 | 3 | 16-15 | 14 |
| 5. სპარტაკი | 9 | 4 | 1 | 4 | 15-24 | 13 |
| 6. ლოკომოტივი | 9 | 4 | 0 | 5 | 13-17 | 12 |
| 7. ოლიმპი | 9 | 3 | 1 | 5 | 9-22 | 10 |
| 8. სიონი | 9 | 2 | 4 | 3 | 19-17 | 10 |
| 9. სამტრედია | 9 | 2 | 3 | 4 | 13-12 | 9 |
| 10. ბაია | 9 | 2 | 3 | 4 | 7-13 | 9 |

## ჭაბუკთა ლიგა

### 1992-93

| | |
|---|---|
| დინამო-ზესტაფონი | 5:1 |
| სპარტაკი-ვიტ ჯორჯია | 0:1 |
| ბაია-ლოკომოტივი | 2:0 |
| სამტრედია-გაგრა | 4:2 |
| სიონი-ოლიმპი | 1:1 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. დინამო | 6 | 4 | 2 | 0 | 18-11 | 11 |
| 2. ბაია | 6 | 3 | 2 | 0 | 13-8 | 11 |
| 3. სამტრედია | 6 | 2 | 2 | 1 | 14-9 | 8 |
| 4. ოლიმპი | 6 | 3 | 0 | 2 | 15-9 | 9 |
| 5. ზესტაფონი | 6 | 3 | 1 | 1 | 14-12 | 10 |
| 6. გაგრა | 6 | 3 | 0 | 2 | 9-11 | 9 |
| 7. ვიტ ჯორჯია | 6 | 1 | 1 | 3 | 7-11 | 4 |
| 8. სიონი | 6 | 1 | 0 | 4 | 4-12 | 3 |
| 9. სპარტაკი | 6 | 1 | 0 | 4 | 3-10 | 3 |
| 10. ლოკომოტივი | 6 | 0 | 2 | 3 | 7-11 | 2 |

### 1994-95

| | |
|---|---|
| დინამო-ზესტაფონი | 2:1 |
| სპარტაკი-ვიტ ჯორჯია | 3:0 |
| ბაია-ლოკომოტივი | 2:0 |
| სამტრედია-გაგრა | 3:0 |
| სიონი-ოლიმპი | 0:4 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბაია | 6 | 5 | 1 | 0 | 17-2 | 16 |
| 2. ოლიმპი | 6 | 5 | 1 | 0 | 18-4 | 16 |
| 3. სამტრედია | 6 | 4 | 0 | 2 | 10-5 | 12 |
| 4. სპარტაკი | 6 | 3 | 0 | 3 | 8-11 | 9 |
| 5. დინამო | 6 | 2 | 3 | 1 | 9-10 | 9 |
| 6. ლოკომოტივი | 6 | 2 | 1 | 3 | 9-8 | 7 |
| 7. ვიტ ჯორჯია | 6 | 1 | 2 | 3 | 4-8 | 5 |
| 8. სიონი | 6 | 1 | 2 | 3 | 3-11 | 5 |
| 9. ზესტაფონი | 6 | 0 | 2 | 4 | 4-15 | 2 |
| 10. გაგრა | 6 | 0 | 2 | 4 | 3-12 | 2 |

## ლელო ფეხბურთის გულშემატკივრებს — შუალედური შედეგები

# ვის ისურვებდით ნაკრების მწვრთნელად?

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ახალი პრეზიდენტის არჩევნებამდე ჯერ კიდევ რამდენიმე დღით ადრე „ლელოში" გამოვაქვეყნეთ მიმართვა ფეხბურთის ქომაგებისადმი და ვთხოვეთ, ეპასუხათ შეკითხვაზე, თუ ვის ისურვებდნენ ეროვნული საფეხბურთო ნაკრების მთავარ მწვრთნელად.

გამოკითხვამ დიდი ინტერესი რომ გამოიწვია, ცხადად გამოჩნდა წერილებსა თუ ზეპირ შეტყობინებებში. როგორც ვწერდით, შედეგებს ამ თვის ბოლოს შევაჯამებთ, მაგრამ ისევ და ისევ მკითხველთა თხოვნით, პასუხების შუალედური გაანალიზებაც გადავწყვიტეთ.

აბსოლუტური უმრავლესობა, ვინც თავისი პოზიცია დააფიქსირა, კატეგორიულად მოითხოვს ნაკრების თავკაცად **თემურ ქეცბაიას** დანიშვნას. კანდიდატთა ნუსხაში მეორე ადგილზეა **რევაზ ძოძუაშვილი**, სახელდებიან აგრეთვე **შოთა არველაძე, გია გეგუჩაძე, გაიოზ დარსაძე**. მეტი - არავინ.

მკითხველისთვის საინტერესოდ მივიჩნიეთ ერთ-ერთი გულშემატკივრის, **ბადრი გელიტაშვილის** კომენტარი:

„მჯერა, თვით ფეოლას მსგავსი ქართველი მწვრთნელიც რომ გვყავდეს, სასწაულებს ისიც კი ვერ მოახდენს, თუ ნაკრებში ერთხელ და სამუდამოდ არ დაინერგება ფინანსური მოტივაციების ეფექტიანი სისტემა. რამდენიც უნდა ვისაუბროთ პატრიოტიზმზე, ქვეყნის სიყვარულსა და ერთგულებაზე, ბედნიერი გამონაკლისების გარდა, ადამიანთა აბსოლუტური უმრავლესობა (და მათ შორის მწვრთნელებისაც და ფეხბურთელებისაც), გააზრებულად თუ არაცნობიერად, თავისი შესაძლებლობების მაქსიმუმს გამოავლენს იქ, სადაც მეტ სარგებლობას მოელის!

ასე რომ, ამ პრობლემებზე კომპლექსურად ზრუნვის გარეშე ჩვენი ნაკრებისგან იმ დიდი შედეგების მიღწევის იმედი, რაზეც დიდი ხანია, ვოცნებობთ, არ უნდა ვიქონიოთ!!!

**თენგიზ თომაშვილი**



გულშემატკივართა გამოკითხვაში თემურ ქეცბაია ლიდერობს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფუტზალი

# იბერიას გზა ელიტისკენ

დიდი ხანია, „დიდ" ფეხბურთში თუნდაც მცირე საერთაშორისო წარმატებისთვის აღარ მიგვილწევია, სამაგიეროდ, ბოლო პერიოდში ევროპულ არენაზე დადებით შედეგს სისტემატურად აჩვენებენ ჩვენი ფუტზალელები. განსაკუთრებით აღსანიშნავი კი საქართველოს ჩემპიონის, თბილისის „იბერიას" მიღწევაა, რომელმაც რამდენიმე დღის წინ ევროპის ფუტზალის თასის პირველი ჯგუფური ეტაპი გადალახა და ელიტრაუნდისთვის ემზადება.

„ლელო" „იბერიას" ასპარეზობას სისტემატურად აშუქებს, ამიტომ მხოლოდ მოკლედ შეგახსენებთ, რომ თბილისელებმა წარმატებას სომხურ „ერებუნთან", ჰოლანდიურ „მარლენესა" და რუმინულ „დევასთან" ჭიდილში მიაღწიეს. ჯგუფიდან ჩვენ და ჰოლანდიელები გავედით.

დღეს ნიონში მდებარე უეფას შტაბბინაში ელიტრაუნდის წილისყრაა. პირველი კალათიდან „იბერიას" შესაძლოა, შეხვდნენ „ინტერვიუ მადრიდი" (ესპანეთი, მოქმედი ჩემპიონი), „ვიზ-სინარა ეკატერინბურგი" (რუსეთი), „მურსია (ესპანეთი) და „ქაირათი" (ყაზახეთი).

დანარჩენი სავარაუდო მეტოქეების ჩამონათვალი კი ასეთია: „ლუპარენსე" (იტალია), „ჩრუდიმი" (ჩეხეთი), „შარლერუა" (ბელგია), „ბენფიკა" (პორტუგალია), „არაზი" (აზერბაიჯანი), „მარლენე" (ჰოლანდია), „ლვოვი" (უკრაინა), „ნიკარს რიგა" (ლატვია), „ათინა" (საბერძნეთი), „პუნტარი" (სლოვენია), „პოტპიჩანი" (ხორვატია).

ელიტრაუნდი 14-22 ნოემბერს გაიმართება, ფინალურ რაუნდში მხოლოდ ჯგუფების გამარჯვებულები გავლენ. ოთხი გამარჯვებული ჩემპიონს მომავალი წლის აპრილში, ეკატერინბურგში გამოავლენს.

ელიტრაუნდამდე მცირე დროა დარჩენილი, ამიტომაც უცხოური შეკრების ორგანიზება ველარ ხერხდება. „იბერია" თბილისში, სკა-ს დარბაზში ემზადება. დაგეგმილია საკონტროლო მატჩების ჩატარებაც. „იბერიას" წევრები მეტოქეს ბაქოდან ელიან, საიდანაც ან „ნეფთჩი" გვეწვევა, ანაც „ეკოლი". ამათ შორის ვინც ჩამოვა, ჩვენები მას ამხანაგურად ორჯერ შეხვდებიან.

„იბერიას" ბირთვს ბრაზილიელი ფეხბურთელები შეადგენენ, რომლებმაც პირველი ჯგუფური ბარიერის დაძლევაში დიდი წვლილი შეიტანეს. თუმცა მათ მხარი ქართველებმაც აუბეს, „იბერიას" შემადგენლობაში ხომ ისეთი გამოცდილი ფეხბურთელები თამაშობენ, როგორებიც **გიორგი ალთუნაშვილი** და **ალექსანდრე ძაბირაძე** არიან. გუნდს **დავით სოლოღაშვილი** და **ვახტანგ წერეთელი** წვრთნიან. ეს უკანასკნელი მოთამაშემწვრთნელის ფუნქციებს ასრულებს.

გუნდის სრული შემადგენლობა კი ასე გამოიყურება: **ბომი, სალომაო, დუდა, რონი, ლეანდრო, რუდოლფო, ჟოანი** (ყველა ბრაზილია), **შაიტანოვი** (უკრაინა), **ჯამბურია, ძაბირაძე, ალთუნაშვილი, წერეთელი.**

ელიტრაუნდამდე „იბერია", შესაძლოა, კიდევ უფრო გაძლიერდეს. ევროპის ფუტზალის თასის რეგლამენტით, განაცხადში ახალი ფეხბურთელების შეყვანა ნებადართულია იმ შემთხვევაში, თუ მოთამაშე მანამდე ამ ტურნირის მონაწილე სხვა გუნდის ღირსებას არ იცავდა. მოლაპარაკება მიმდინარეობს ორ ბრაზილიელ მოთამაშესთან და სავარაუდოდ, ისინი „იბერიასთან" კონტრაქტს უახლოეს დღეებში გააფორმებენ.

ბრაზილიელი ლეგიონერების წარმატებულმა თამაშმა მათი ნატურალიზაციის იდეა გააჩინა. უდავოა, რომ ისინი საქართველოს ნაკრებსაც საგრძნობლად გააძლიერებენ. თუმცა ეს უკვე სხვა თემაა და უახლოეს მომავალში მას ცალკე შევეხებით.

„იბერია" ექვსი წლის წინ დაარსდა და მას შემდეგ რეგულარულად ხდება ჩვენი ქვეყნის ჩემპიონი. ევროთასებზეც სისტემატურად გამოდის და თუ აქამდე ცოტა აკლდებოდა პირველი ეტაპის გადალახვამდე, წლეულს კლუბის ხელმძღვანელობის, მწვრთნელებისა და ფეხბურთელების ერთობლივმა შრომამ შედეგი გამოიღო და ელიტრაუნდში გავაღწიეთ. კლუბის დამფუძნებელი ავთანდილ წერეთელი და კომპანია „სამგორი" ქართული საზომებით საკმაოდ დიდ სახსრებს ხარჯავს შემადგენლობის გასაძლიერებლად და კლუბის წევრებისთვის სათანადო პირობების შესაქმნელად. ელიტრაუნდში გასვლა იმანაც განაპირობა, რომ „იბერიას" არც შეკრებები მოჰკლებია და არც საკონტროლო მატჩები. თბილისური კლუბი რამდენიმეჯერ იყო ბაქოში, სადაც ადგილობრივებთან რამდენიმე ამხანაგური შეხვედრა ჩაატარა. „იბერიამ" ასევე იასპარეზა ხარკოვის საერთაშორისო ტურნირზე, სადაც პირველობა არავის დაანება.

მოკლედ, დღეს „იბერიას" ახალი მეტოქეების ვინაობას შევიტყობთ და ფინალურ ოთხეულში მოხვედრის შანსებზე ამის შემდეგ ვიმსჯელოთ. ნებისმიერ შემთხვევაში, ქართული კლუბი ამ ბარიერის გადასალახადაც იბრძოლებს და როგორც იბერიელები აცხადებენ, თავს არავისთან შეირცხვენენ.

**ლევან ჯანეზაშვილი**



თბილისის იბერია

ლაშა დვალიშვილის სტუდია და
ტელეკომპანია მზე გთავაზობთ
ინგლისისა და ესპანეთის საფეხბურთო
ჩემპიონატების შეხვედრებს თქვენი შერჩევით

ინტერაქტივი ესპანეთი

| | |
|---|---|
| დეპორტივო-სევილია | 80 44 0 10 |
| რეალი-ვალიადოლიდი | 80 44 0 11 |
| ვალენსია-ბარსელონა | 80 44 0 12 |
| მალიორკა-ხეტაფე | 80 44 0 13 |
| მალაგა-ალმერია | 80 44 0 14 |
| ოსასუნა-ატლეტიკო | 80 44 0 15 |

ინტერაქტივი ინგლისი

| | |
|---|---|
| ასტონ ვილა-ჩელსი | 80 44 01 |
| არსენალი-ბირმინგემი | 80 44 02 |
| მანჩესტერ იუნ-ბოლტონი | 80 44 03 |
| სანდერლენდი-ლივერპული | 80 44 04 |
| ბლექბერნი-ბარნლი | 80 44 05 |
| უიგანი-მანჩესტერ სიტი | 80 44 06 |

ფეხბურთი და ბიზნესი



უკრაინაში საფეხბურთო ინფრასტრუქტურა შენდება. ასეთი იქნება ლვოვის სტადიონი

# ქართველებისგან მეტს ველოდით...

**მიუხედავად** ფეხბურთში დაბანდებული უზარმაზარი სახსრებისა, უკრაინა მაინც პოსტსაბჭოური ქვეყანაა და „წითელი წარსულის" გავლენა დღემდე ძლიერია. უკრაინელი ჟურნალისტები გაოცებას ვერ მალავდნენ იმ ფაქტით, რომ თურმე საქართველოში ტელევიზიები საფეხბურთო მატჩების ჩვენებაში თანხებს იხდიან. ტელეკომპანია „ფუტბოლის" ჟურნალისტი ალა ბუბლიი ამბობს, რომ უკრაინაში საფეხბურთო კლუბებს უზარმაზარ თანხებს ახარჯავენ. ამის მიუხედავად, არც საფეხბურთო ბიზნესი და არც ტელერეპორტაჟების ყიდვა-გაყიდვა მომგებიანი ბიზნესი არ არის. უკრაინული ტელეკომპანიები, თურმე, ჩემპიონატის მატჩების ტრანსლაციაში ფულს არ იხდიან, პირიქით, ამბობს ქალბატონი ალა, ადგილობრივი პირველობის გასაშუქებლად ტელევიზიებს თანხას პროფლიგა იქით უხდისო. მისი თქმით, ის ფაქტი, რომ საქართველოში ტელევიზიებს ეროვნული ჩემპიონატის მატჩების რეპორტაჟებში ფულის გადახდა უწევთ, უდავოდ პროგრესული მეთოდია.

„ლელოს" კი ესაუბრება სააქციო საზოგადოება „ობოლონის" საგარეო ურთიერთობების დირექტორი, ბიზნესმენი სერგეი კრავეცი. ვფიქრობთ, უინტერესო არ უნდა იყოს, როგორ უყურებს ის საფეხბურთო ბიზნესს, ან ზოგადად - რატომ ინტერესდება უკრაინელი ბიზნესმენი ფეხბურთით...

**- ბატონო კრავეც, როგორი შთაბეჭდილება დაგრჩათ ქართულ ფეხბურთზე?**

- სიმართლე გითხრათ, არ მეგონა, თუ ასეთ დონეზე იქნებოდა ქართული ფეხბურთი.

**- „ასეთ დონეში" რას გულისხმობთ?**

- ვგულისხმობ იმას, რომ გაცილებით მეტს ველოდი. თუნდაც უკრაინას ძალიან ბევრით ჩამორჩებით. ჩემი თაობისთვის ქართული ფეხბურთი ლეგენდასთან იყო გაიგივებული და გულწრფელად ვამბობ, სწორედ ამ გავლენის ქვეშ ვიყავი თქვენთან ჩამოსვლამდე, მაგრამ... რეალობა სულ სხვა აღმოჩნდა.

**- „ობოლონისთვის" ფეხბურთი ბიზნესის კუთხითაა საინტერესო თუ როგორც სოციალური სფერო?**

- ეს სოციალური პროექტია. თუმცა კლუბის დაფინანსება სავაჭრო მარკის პრესტიჟზე სასიკეთო გავლენას ახდენს და საკმაოდ სერიოზულადაც. ეს გულისხმობს მედიის ყურადღებას, კლუბის სახელწოდების ხშირად ხსენებას, რაც თავისთავად რეკლამაა... და ასე შემდეგ...

**- „ობოლონის" უმაღლეს ლიგაში გადასვლამ თქვენი პროდუქციის რეალიზაციაზე დადებითად იმოქმედა?**

- ძნელია ზუსტი დაანგარიშება, თუ რა ფაქტორები მოქმედებს გასაღების ზრდაზე, ან კლებაზე. თუმცა მიახლოებითი ანგარიში, რა თქმა უნდა, გვაქვს. ვიმეორებ, ეს უფრო სოციალური პროექტია, იქ ფეხბურთიც უყვართ და ლუდიც. ძალიან დიდ თანხას ვაბანდებ სტადიონის, ბაზის, საფეხბურთო სკოლის მშენებლობაში... ამას გარდა, უკრაინის პრემიერლიგის ოფიციალური სპონსორები ვართ. ჩვენი მარკეტინგის სამსახური ასეთ ინვესტიციებს ახალისებს. ფეხბურთი და ლუდი ხომ ერთმანეთთან ახლოს არიან.

**- უკრაინული ფეხბურთი მომგებიანია? აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში სატელევიზო კონტრაქტებიდან შემოსავლების მიღება დღემდე პრობლემურია...**

- ჩვენთან ჯერ მხოლოდ მეორე წელია, რაც პრემიერლიგა ჩამოყალიბდა. სულ კამათია იმაზე, კარგია თუ არა ასეთი ფორმატი, მაგრამ საქმე დაიწყო და წინ მიდის, უკეთესობა აშკარაა. დაიწყო კარგად ორგანიზებული ტრანსლაციებიც და, ბუნებრივია, სასპონსორო და ტელევიზიის თანხებიდან, კლუბები საკუთარ წილს მიიღებენ. კონკრეტულ თანხებს სეზონის დასრულების შემდეგ შევიტყობთ. ალბათ, სწორედ სატელევიზიო შემოსავლები უნდა გახდეს ჩვენი ბიუჯეტის ახალი წყარო. ამაში დარწმუნებული ვარ. თუმცა სადღეისოდ ტელევიზიებს არ გააჩნიათ კლუბებისთვის გადასახდელი თანხები.

**- სახელმწიფოს დახმარების გარეშე უკრაინული ფეხბურთი დღევანდელ სიმაღლეზე ასვლას მოახერხებდა?**

- ბოლო დროს ფეხბურთის განვითარებაზე ბიზნესი უფრო ზრუნავს, მაგრამ თავის დროზე სახელმწიფო კლუბებს რომ არ დახმარებოდა, არ აეშენებინა სტადიონები და საჭირო ინფრასტრუქტურა, არა მგონია, ბიზნესისთვის ფეხბურთი საინტერესო ყოფილიყო. ვფიქრობ, 2012 წლის ევროპის ჩემპიონატის შემდეგ უკრაინაში ფეხბურთი კიდევ უფრო განვითარდება.

**- ცნობილია, რომ ევროპის ჩემპიონატის ორგანიზებისთვის უკრაინამ 37 მილიარდი დოლარის დაბანდება გადაწყვიტა...**

- დიახ, ასეა. 37 მილიარდი ჩვენი ფეხბურთისა და მთლიანად ქვეყნისთვის უზარმაზარი პროგრესის წინა პირობაა. ეს თანხა ხომ მხოლოდ ფეხბურთს არ მოხმარდება. აუცილებლად უნდა აღვნიშნო, რომ უეფა ყველაფერს აკეთებს ჩვენთან ფეხბურთის განვითარებისთვის.

**- რუსულ მედიაში წერენ, ევროპის ჩემპიონატის მასპინძლობის უფლების უკრაინაზე გადაცემით, უეფამ პოლიტიკური გადაწყვეტილება მიიღო და ამით დასავლეთთან ინტეგრაცია წაახალისაო.**

- ჩვენ ასე არ მიგვაჩნია. უეფა არ არის პოლიტიკური ორგანიზაცია და შესაბამისად, არც პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს იღებს. ის მხოლოდ სპორტული პრინციპებით ხელმძღვანელობს. ალბათ, ოდესმე რუსეთიც დაიმსახურებს მსოფლიოს ან ევროპის ჩემპიონატის მასპინძლობას, რაც ძალიან გამიხარდება. 2014 წლის ზამთრის ოლიმპიადა სოჭში რომ გაიმართება, მშვენიერი ფაქტია და ეს ჩვენს რუს მეგობრებსაც მივულოცე.

**- ოლიმპიადის პერიოდში მეზობელ ქვეყანაში ლუდს უფრო კარგად გაასაღებთ?**

- იმედია. ჩვენ პრაგმატული მოსაზრებებით ვხელმძღვანელობთ. სხვათა შორის, 2012 წლის ევროპის ჩემპიონატის მასპინძელ ობიექტებში ჩვენი სტადიონი და ბაზაცაა შეტანილი. თუკი ჩვენს სტადიონსა და ბაზაზე ვარჯიშს რომელიმე ნაკრები მოისურვებს, ბუნებრივია, სიამოვნებით მივიღებთ. ალბათ, ევროპული გრანდები არ გვესტუმრებიან. მე კი მსურს, საქართველოს ვუმასპინძლოთ (იცინის). ახლა მე გკითხავთ - თქვენი აზრით, ეს რეალურია?

**- ჯერჯერობით, სამწუხაროდ, ზღაპრის დონეზეა...**

- მაგრამ მე მაინც ვისურვებდი. მომავალ წელს ხომ ახალი შესარჩევი ციკლი დაიწყება და ვინ იცის, იქნებ, თქვენი ნაკრები მანამდე გაძლიერდეს?

**- გასაგებია, რომ უკრაინამ ჩემპიონატის მასპინძლობა სპორტული ინფრასტრუქტურის მშენებლობებით დაიმსახურა. თუმცა ისმის პრეტენზიები, რომ სასტუმროები ცოტაა, გზები უხარისხოა და ასე შემდეგ...**

- დიახ, ამგვარი პრობლემები ნამდვილად არის, მაგრამ ისინი უკვე წყდება და 2012 წლისთვის მოგვარდება. თამაშებს კიევი, ხარკოვი, დონეცკი და ლვოვი უმასპინძლებენ. ყველაზე მეტი პრობლემა ლვოვშია, რაც მშენებლობის გრაფიკთან ჩამორჩენითაა გამოწვეული. რეალურად, პრობლემა სერიოზული არ არის.

**- თქვენი აზრით, ევროპის ჩემპიონატის შემდეგ უკრაინული ფეხბურთი ბიზნესისთვის მომგებიანი სფერო გახდება?**

- ეჭვიც არ მეპარება. პროგრესი აშკარა და ყოველდღიურია, თუმცა, 5-10 წელია საჭირო, განვითარებულ ევროპულ ქვეყნებს რომ დავეწიოთ და ხარჯები ამოვიღოთ.

**- ლიტველი ბიზნესმენის ვლადიმირ რომანოვის არ იყოს, უცხოური კლუბის შესყიდვაზე თქვენც ხომ არ გიფიქრიათ?**

- არ გვიფიქრია. თუკი უცხოეთში რამეს ვიყიდით, მხოლოდ ლუდის ქარხანას. არც რომელიმე უცხოურ კლუბს ვაფინანსებთ. „ობოლონი" უკრაინაზე შეყვარებული ხალხის მიერ დაარსებული კომპანიაა და შემოსავალიც მთლიანად უკრაინას უნდა მოხმარდეს.

**მერაბ მამულაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოხმაურება

# კმაყოფილი იტალია და ბედნიერი ჯილა

## ...კანავარო კი სუფთაა

**მარჩელო ლიპიმ** უკვე მეორეჯერ გაიყვანა იტალიის ეროვნული ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე. თუ როგორ დასრულდა 2006 წლის მუნდიალი, ყველას კარგად მოგეხსენებათ, - აძურას სრული ტრიუმფით. რა იქნება 2010 წლის ჩემპიონატზე, ძნელი სათქმელია, მაგრამ ექსპერტებს ნაკლებად სჯერათ იტალიის მორიგი წარმატების. თითქოს რაღაც აკლია დღევანდელ აძურას: ექსტრაკლასის ფეხბურთელები, თავდაჯერებულობა, ტექნიკური არსენალი და კიდევ პატარა, მაგრამ მნიშვნელოვანი ნიუანსები. მაგრამ ნუ დაგვავიწყდება, რომ ანალოგიური მოსაზრებები გვესმოდა 2006 წლის ჩემპიონატის დაწყებამდეც. მაშინ ბევრს საუბრობდნენ იმაზე, რომ იტალიას ნახევარდაცვა არ უვარგოდა, შეტევა კი გადაბერებული ჰყავდა. მაშინაც არავის ეგონა, თუ „სკუადრა აძურა“ მუნდიალზე რაიმე ღირებულს შემოგვთავაზებდა - ამიტომ, უაზრო პესიმიზმს, ჯობია დაველოდოთ მოვლენათა განვითარებას და ვნახოთ, რა გუნდი ეყოლება სამხრეთ აფრიკაში მარჩელო ლიპის.



მარჩელო ლიპიმ
დუბლინში ბევრი ინერვიულა



გახარებული სკუადრა აძურა გაისად ტიტულს დაიცავს

ირლანდიელებთან აძურამ მთლიანობაში კარგი შთაბეჭდილება დატოვა, ყოველ შემთხვევაში, არც პრესაა უკმაყოფილო და არც მწვრთნელ-ფეხბურთელები. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, იტალიამ მსოფლიოს ჩემპიონატის საგზური მოიპოვა და ასეთ დროს, კრიტიკა უადგილოც კი გახლავთ. მატჩის გმირი **ალბერტო ჯილარდინო** გახდა, ვინც მეორე ნახევარში ჩაერთო თამაშში და მატჩის უკანასკნელ წუთზე ქულის მომტანი გოლი გაიტანა. იტალიაში დაბრუნებული ჯილა ჟურნალისტებთან ემოციებს ვერ მალავდა:

*„ძალიან ამაყი ვარ იმით, რაც ირლანდიაში გავაკეთეთ. ჩვენმა ნაკრებმა შესანიშნავი ფეხბურთი ითამაშა და მსოფლიოს ჩემპიონატის საგზური სრულიად დამსახურებულად მოიპოვა. ამაყი ვარ საკუთარი თავითაც, რადგან გადამწყვეტი გოლი გავიტანე და აძურას მილიონობით გულშემატკივარი გავახარე. თუმცა მე ჯერ კიდევ არ მიჩვენებია საუკეთესო თამაში - დარწმუნებული ვარ, ნამდვილ ჯილარდინოს მსოფლიოს ჩემპიონატზე იხილავთ. რაც შეეხება შესარჩევ ეტაპს, მართლაც კარგად ჩავატარეთ. ერთი თამაშიც არ წაგვიგია, რაც ყველაფერზე ნათლად მეტყველებს. ახლა მთავარია კვიპროსთანაც გავიმარჯვოთ და ციკლი მაჟორულ ნოტაზე დავასრულოთ. წარმატების საიდუმლო? - იტალიის ნაკრები ერთ მუშტად შეკრული გუნდია და ეს მიუხედავად იმისა, რომ თითოეული ფეხბურთელი უდიდეს კონკურენციას აწყდება. ახალმა მოთამაშეებმა ნაკრები კიდევ უფრო გააძლიერეს, მათ ენერგია და სისწრაფე შემატეს გუნდს. მარჩელო ლიპი იდეალურად აბალანსებს გუნდს, რაც სამომავლოდ კიდევ უფრო დიდ შედეგს გამოიღებს. ბევრს ჰგონია, რომ მოტივაციასთან გვაქვს პრობლემები, ჩვენ ხომ მსოფლიოს ჩემპიონები ვართ და თითქოს რაღა უნდა მოვიგოთ. მაგრამ ეს ასე არ არის, ჯერ კიდევ მოწყურებულები ვართ დიდ გამარჯვებებს და სამხრეთ აფრიკაშიც ტრიუმფისთვის მივემგზავრებით“.*

ფედერკალჩოს პრეზიდენტს ჟურნალისტებთან საუბარი ძალიან არ უყვარს, მაგრამ ამჯერად გამონაკლისი დაუშვა და პრესას თავისი ემოციები გაუზიარა. **ჯანკარლო აბეტე** შესანიშნავ ხასიათზეა, რაც მისი კომენტარიდანაც იგრძნობა:

*„გულშემატკივრები იმდენად შეეჩვივნენ ნაკრებისგან გამარჯვებებს, რომ როგორც წესი, ლოკალური წარმატებები დიდად აღარც ახარებთ. ისინი ტრიუმფის მოლოდინში არიან და ამის შანსი 2010 წლის მუნდიალზე გვექნება. მიუხედავად ამისა, ირლანდიური ფრეთი ქვეყანამ ძალიან გაიხარა, რადგან ჩვენ მსოფლიოს ჩემპიონატის საგზური მოვიპოვეთ. დღეს ფეხბურთის საერთო დონე გათანაბრებულია და შესარჩევი ბარიერის დაძლევა სულაც არ არის იოლი საქმე. ხომ ხედავთ, ტოპგუნდებსაც კი სერიოზული პრობლემები შეექმნათ და გავლენ თუ არა მუნდიალზე, ჯერ კიდევ კაცმა არ იცის. თუნდაც საფრანგეთი ავიღოთ, რომელსაც პლეი ოფებში მოუწევს აფრიკული საგზურისთვის ბრძოლა, ან თუნდაც არგენტინა, რომელიც დღემდე დიდი საფრთხის წინაშეა. დუბლინურმა ქულამ ჩვენ ყველაფერ ამას აგვაცილა, რაც პირადად მე ძალიან მიხარია“.*

რაც დრო გადის, ეროვნულ ნაკრებში დაბრუნების სურვილი უძლიერდება **ფრანჩესკო ტოტის**. თავდაპირველად „პუპონე“ მოზომილ კომენტარებს აკეთებდა და ამბობდა, შევხვდები ლიპის და თუ მას ჩემი გამოძახების სურვილი აქვს, ნაკრებზე შეიძლება ვიფიქროო. შემდეგ უკვე ღიად დააფიქსირა აძურაში დაბრუნების სურვილი და ამის შესახებ არაერთხელ განაცხადა. მიუხედავად ამისა, ლიპის ყურადღება ვერ მიიქცია და როგორც ჩანს, ახალი მეთოდით დაიწყო მოქმედება. გუშინ, ტოტის სანაკრებო პერსპექტივაზე **კლაუდიო რანიერიმ** გააკეთა განცხადება, სავარაუდოდ ტოტის თხოვნით:

*„თავის დროზე, ტოტიმ სანაკრებო კარიერის დასრულება გადაწყვიტა, რაც მისი ჯანმრთელობის არცთუ ისე სახარბიელო მდგომარეობით იყო განპირობებული. ფრანჩესკოს ახლაც ტრავმა აქვს, მაგრამ მთლიანობაში გაცილებით უკეთ გრძნობს თავს. ამიტომ, ვფიქრობ, რომ დროა „სკუადრა აძურაში“ დაბრუნდეს. ვიცი, რომ თავად ტოტის ამის დიდი სურვილი აქვს და ახლა მთავარია ლიპიმ მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება. ვფიქრობ, მარჩელო და ფრანჩესკო ერთმანეთს პირისპირ უნდა შეხვდნენ და ამ თემაზე ისაუბრონ. ჩემი პირადი მოსაზრებით, იტალიის ნაკრებს ტოტი ძალიან სჭირდება - მისი გამოცდილების და კლასის ფეხბურთელი, არათუ იტალიაში, მსოფლიოში ძალიან ცოტაა“.*

იტალიურ მედიას ნაკლებად სჯერა, რომ ლიპი ეროვნულ ნაკრებში ტოტის დააბრუნებს. ალბათ ეს ერთგვარი უპატივცემულობაც იქნება იმ ფეხბურთელებისა, რომლებმაც შესარჩევ ეტაპზე დიდი ძალა და ენერგია დახარჯეს. ვნახოთ, საბოლოო სიტყვა მარჩელომ უნდა თქვას, რომელიც ირლანდიელებთან თამაშის შემდეგ, ჟურნალისტებთან ურთიერთობით ნამდვილად არ იკლავს თავს.

დაბოლოს, ერთი კარგი ამბავიც: **ფაბიო კანავაროს** საქმე ოფიციალურად დაიხურა. ფედერკალჩოს ვებგვერდზე შემდეგი განცხადება გამოქვეყნდა:

*„ეროვნულმა დოპინგსაწინააღმდეგო კომიტეტმა ფრანჩესკო პლოტინოს ხელმძღვანელობით, დაასრულა მუშაობა ფაბიო კანავაროს საქმეზე. ფეხბურთელი სრულიად უდანაშაულოა და მასზე არ გავრცელდება არავითარი სანქცია, როგორც სანაკრებო, ისე საკლუბო დონეზე“.*

როგორც ხედავთ, კანავარო ცამდე მართალი ყოფილა და სულ ტყუილად ატეხილა ამხელა აურზაური. კაცმა რომ თქვას, იტალიის ნაკრების კაპიტანი მართლაც არ ჰგავს იმ ადამიანს, დოპინგს და ათასგვარ სისაძაგლეს რომ მიეტანება.

მწვრთნელი

# ანჩელოტი აძურასა და რომაზე ოცნებობს



კარლო ანჩელოტი

**კარლო ანჩელოტის** ერთ-ერთი ოცნება, რომ იტალიის ეროვნული ნაკრების განვრთნაა, ძველი ამბავია. ამის შესახებ კარლეტოს ადრეც არაერთხელ უთქვამს და გუშინ კიდევ ერთხელ გაიმეორა. ამჯერად, ჟურნალისტის კითხვა ასეთი იყო:

*„ჩაიბარებდით 2010 წლის მუნდიალის შემდეგ „სკუადრა აძურას“? - აი, პასუხიც: „თუ მართლაც შემომთავაზეს ნაკრების განვრთნა, დიდი სიამოვნებით დავთანხმდები. სანაკრებო ფეხბურთში აბსოლუტურად განსხვავებული სპეციფიკაა, რომელიც ძალიან მიზიდავს. თუნდაც შემადგენლობის შერჩევა ავიღოთ - საინტერესო სამუშაოა, როდესაც ფეხბურთელებს მთელი ევროპის მასშტაბით აკვირდები და მხოლოდ საუკეთესოებს არჩევ. მჯერა, რომ ჩემს სამწვრთნელო კარიერაში ეს ეტაპიც დადგება. არ გამოვრიცხავ, რომ ფაბიო კაპელოს მსგავსად უცხო ქვეყნის ნაკრებს ჩავუდგე სათავეში, მაგრამ ჩემი ოცნება მაინც „აძურას“ უკავშირდება. იტალიის ნაკრების განვრთნა ბავშვობიდან მსურდა და თუ ამის საშუალება მომეცა, უბედნიერესი ადამიანი ვიქნები. სხვათა შორის, მაქვს კიდევ ერთი ბავშვობის ოცნება, რომელიც დღემდე არ ამისრულებია: ყოველთვის მინდოდა „რომას“ მწვრთნელი ვყოფილიყავი. პატარა ვიყავი, როდესაც „ჯალოროსის“ გულშემატკივრობა დავიწყე და მას შემდეგ, ამ გუნდის მიმართ ყოველთვის განსაკუთრებული დამოკიდებულება მაქვს. ვნახოთ, იქნებ ოდესმე „რომაც“ ჩავიბარო“.*

როგორც ხედავთ, ანჩელოტის ოცნებები და მიზნები იტალიას უკავშირდება - ალბათ ამოწურავს თუ არა „ჩელსისთან“ ხელშეკრულების ვადას, სამშობლოს მიაშურებს. აი, რას ამბობს კარლეტო თავის ყოფილ კლუბ, „მილანზე“:

*„გუნდს მოტივაციის ნაკლებობას ვამჩნევ და სწორედ ამ მიმართულებით აქვს სამუშაო ლეონარდოს. როგორც ჩანს, კაკას წასვლის შემდეგ ფეხბურთელებმა სტიმული დაკარგეს და ენთუზიაზმის გარეშე ასპარეზობენ. ბრაზილიელის გაყიდვა მართლაც შეცდომა იყო, მაგრამ წარსულში ქექვა საჭირო აღარ არის. მოთამაშეებმა უნდა გაითავისონ, რომ მის გარეშეც შეუძლიათ მაღალი მიზნების მიღწევა. სიმართლე გითხრათ, არ მეგონა, თუ ასეთ სუსტ „მილანს“ ვიხილავდი. ეს მხოლოდ ლეონარდოს ბრალი არ არის, პრობლემა კომპლექსურია და მას საფუძვლიანი მიხედვა სჭირდება. დიდი იმედი მაქვს სილვიო ბერლუსკონის, ვისთვისაც „როსონერი“ ყველაზე ძვირფასია. დარწმუნებული ვარ, გარკვეულ ზომებს მიიღებს და გუნდს ამ მძიმე კრიზისიდან“ გამოიყვანს“.*

ანჩელოტის ინგლისური და იტალიური ფეხბურთის შედარება სთხოვეს და შემდეგი მოისმინეს:

*„სამწუხაროდ, უნდა ვაღიარო, რომ ინგლისში გაცილებით მაღალი დონეა როგორც მოედანზე, ისე მის მიღმა. ამას რომ ვამბობ, გული მეც მტკივა, რადგან კარგად მესმის, რომ ალბიონზე მხოლოდ სტუმარი ვარ და ადრე თუ გვიან მაინც მშობლიურ გარემოს უნდა დავუბრუნდე. პირველი, რასაც უნდა მივხედოთ, ინფრასტრუქტურაა. სტადიონები ძალიან მოძველებულია და დროა, ახალი არენების მშენებლობა დავიწყოთ, ან რეკონსტრუქცია მაინც ჩავუტაროთ ძველ სტადიონებს. ვიცი, რომ ამ კუთხით გარკვეული ძვრები არის, მაგრამ უფრო აქტიური მუშაობაა საჭირო. ძალიან კარგი იქნებოდა 2012 წლის ევროპის ჩემპიონატისთვის იტალიას რომ ემასპინძლა, ასეთ შემთხვევაში, ამ საკითხს გაცილებით მარტივად და უპრობლემოდ მოვაგვარებდით. გარდა ამისა, მეტი ყურადღება უნდა მივაქციოთ მენეჯმენტს, კადრებს, რომლებიც ჩვენთან ნაკლებად ინიშნებიან პროფესიული ნიშნით. იტალიაში ხშირ შემთხვევაში ერთი ან ორი კაცი წყვეტს კლუბში ყველაფერს, ინგლისში კი მთელი სისტემა მოქმედებს - კლუბი პატარა სახელმწიფოა, სადაც ყველა და ყველაფერი ერთმანეთს აკონტროლებს. სწორედ ასე უნდა ვიმუშაოთ იტალიაშიც და ვითარება მალევე შეიცვლება უკეთესობისკენ. ერთადერთი, რაზეც სიტყვა ვერ მომიბრუნდება, ეს სამწვრთნელო სკოლები და აღმზრდელობითი სამუშაოებია - აი, ამ კუთხით, მართლაც გამორჩეულები ვართ მთელ მსოფლიოში“.*

გვერდი მოამზადა
**ლაშა წიკლაურმა**

მკითხველს აინტერესებს...

*- თუ შეიძლება, დააზუსტოთ, როგორ ირკვევა მსოფლიოს ჩემპიონატის მეხუთე მონაწილე სამხრეთ ამერიკის ზონიდან და როგორ ხდება ევროპის ზონაში პლეი ოფის 8 მონაწილის გამოვლენა (ნუკრი ჯოჯუა)?*

პასუხი: - **სამხრეთ ამერიკაში პირველი 4 გუნდი ავტომატურად იღებს მუნდიალის ბილეთს. ხოლო მეხუთე ნაკრები კიდევ ერთი საგზურისთვის პლეი ოფში გაეჯიბრება ჩრდილოეთ ამერიკის ზონაში მეოთხე ადგილზე გასულ გუნდს. რაც შეეხება ევროპას, 9 მეორეადგილოსნიდან ყველაზე უარესი შედეგის მქონე ნაკრები (თითქმის გარკვეულია, რომ ეს იქნება ნორვეგია) ავტომატურად ეთიშება ბრძოლას, ხოლო დანარჩენი 8 - პლეი ოფში გაარკვევს 4 საგზურის მფლობელს. სულ, ევროპას მუნდიალზე 13 ადგილი აქვს გამოყოფილი.**

ბაიერნი



ფრანკ რიბერი და არიენ რობენი. ბაიერნის ორივე მარგალიტი დაშავებულია

# რობენს რიბერი და ოლიჩიც მიჰყვნენ

## ვან გაალი იძულებულია, ტონი დააბრუნოს

მიუნხენის „ბაიერნს" საკადრო პრობლემები მოეძალა. **არიენ რობენის** ტრავმის შესახებ უკვე ვწერდით, ახლა კი, რეკორდმაისტერს **ფრანკ რიბერი** და **ივიცა ოლიჩიც** დაუშავდნენ. ფრანგი ნახევარმცველის ტრავმა არც ისე სერიოზულია, მაგრამ ცნობილია, რომ რიბერი, სავარაუდოდ, „ბაიერნის" მომდევნო ორ შეხვედრას გამოტოვებს. აი, ოლიჩმა და რობენმა კი სამკვირიანი იძულებითი შვებულებები გამოიწერეს.

*„ეს იგივე ტრავმაა, რაც რიბერის მოსამზადებელი შეკრების დროსაც ჰქონდა. თითქმის გადაწყვეტილია, რომ ის ბუნდესლიგის მომდევნო ტურში, „ფრაიბურგთან" ვერ ითამაშებს. დიდი შანსია, რომ ვერც ჩემპიონთა ლიგის მატჩში, „ბორდოსთან" შეძლოს ჩვენი დახმარება. მერე კი, აუცილებლად მწყობრში იქნება. ყოველ შემთხვევაში, ჩვენ ამის იმედი გვაქვს,"* - აცხადებს ბავარიელთა სპორტული დირექტორი **კრისტიან ნერლინგერი.**

ამრიგად, მიუნხენურ კლუბს ამ მომენტისთვის სამი უმთავრესი ფიგურა ჰყავს ტრავმირებული: რობენი, რიბერი და ოლიჩი. ჩვენი გერმანელი კოლეგები დარწმუნებულები არიან, რომ მთავარი მწვრთნელი **ლუის ვან გაალი** „ფრაიბურგთან" მატჩისთვის **ლუკა ტონის** განაცხადში აუცილებლად შეიყვანს. ოლიჩის ტრავმა რეკორდმაისტერის ჰოლანდიელ თავკაცს სხვა გზას, უბრალოდ, არ უტოვებს.

**გოტფრიდ ლენცი**

ვაკანსია

# დაუმი, კლინსმანი თუ შუსტერი?

## თერიმის შემდეგ თურქები გერმანელ მწვრთნელებს უმიზნებენ

მას მერე, რაც თურქეთის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **ფატიჰ თერიმმა** თანამდებობიდან გადადგომაზე გააკეთა განცხადება, არ წყდება სპეკულაციები იმის შესახებ, თუ ვინ ჩაიბარებს თურქეთის პირველ გუნდს. უპირველესი კანდიდატი **კრისტოფ დაუმია.**

*„ფატიჰ თერიმი ჯერ კიდევ თურქეთის ნაკრების მწვრთნელია და სანამ არ წავა, მის შემცვლელზე ლაპარაკი ნაადრევი მგონია. ოთხშაბათს თერიმი უკანასკნელად უხელმძღვანელებს თურქეთის პირველ გუნდს და მეც მხოლოდ ოთხშაბათის შემდეგ ვიქნები მზად იმისათვის, რომ მოლაპარაკებები დავიწყო, მაგრამ აქვე მინდა ვთქვა რომ თურქეთის ნაკრებშიც ვიმუშაო, თანაც „ფენერბაჰჩეშიც" დავრჩე, ეს შეუძლებელია,"* - განუცხადა დაუმმა „კიოლნერ ექსპრესს" და როგორც ირკვევა, თურქებმა მას უკვე შესთავაზეს ნაკრების გაწვრთნა.

იმის გამო, რომ „ფენერის" შეფებს დაუმის გაშვება არ სურთ, თურქები თანახმა იყვნენ, გერმანელი სპეციალისტისთვის ორივე პოსტზე მუშაობა შეეთავაზებინათ, მაგრამ კრისტოფმა ეს კატეგორიულად გამორიცხა.

თურქულ პრესაში დაიწერა, რომ დაუმის გარდა, სერიოზული კანდიდატები არიან უმუშევრები, **იურგენ კლინსმანი** (ბოლოს „ბაიერნს" წვრთნიდა) და **ბერნდ შუსტერი** (ბოლოს „რეალს" წვრთნიდა). სიაში ყოფილა ბრაზილიის ნაკრების ყოფილი თავკაცი **ლუიშ ფელიპე სკოლარიც,** რომელიც ახლა უზბეკეთში მუშაობს, ისევე, როგორც **სვენ გორან ერიქსონი, მირჩა ლუჩესკუ** და **რობერტო მანჩინი.**

გამორიცხული არც ისაა, რომ თურქებმა უცხოელ სპეციალისტზე უარი თქვან. ასეთ შემთხვევაში ფავორიტი ექსთავდამსხმელი **ჰაქან შუქური** იქნება და მასთან ერთად, „ბეშიქთაშის" დამრიგებელი **მუსტაფა დენიზლი.**

**გოტფრიდ ლენცი**



გახდება იურგენ კლინსმანი თურქეთის ნაკრების მწვრთნელი?

დისციპლინის საკითხი

# თავლაფის დასხმა თუ ალალი ბოდიში?



სერ ალექსმა უკან დაიხია...

**ალექს ფერგიუსონმა** მსაჯ **ალან უაილის** ბოდიში შეუთვალა, რაც ზოგმა ინგლისურმა გამოცემამ მისი მხრიდან თავის დამცირებად აღიქვა. თუმცა თავმოყვარეობაზე ლაპარაკს თავი დავანებოთ და ამბავი მოვყვეთ. უპირველესად გავიხსენოთ, რომ ფერგიუსონმა „მანჩესტერ იუნაიტედისა" და „სანდერლენდის" ფრედ, 2:2-ზე დასრულებული შეხვედრის შემდეგ უაილის ფიზიკურ სისუსტეში დასდო ბრალი. ლეგენდარულმა მწვრთნელმა თქვა, რომ მსაჯი სულის მოსათქმელად თითოეული ფეხბურთელის გაფრთხილებას ნახევარ წუთს უნდებოდა. ასეთმა ბრალდებამ მსაჯთა ამქრის დიდი წყრომა გამოიწვია, ხოლო ტექნიკური საშუალებების გამოყენებით დამტკიცდა, რომ ფერგი მართალი არ იყო. და აი, ინგლისის ჩემპიონთა თავკაცმა ოფიციალური ბოდიშის წერილი გამოაქვეყნა:

*„ბოდიშს ვუხდი მისტერ უაილის, თუკი ჩემმა კომენტარმა იგი პირადად შეურაცხყო. ბოდიშს ვუხდი ფეხბურთის ასოციაციას შეხედულებების საჯაროდ გამოთქმისთვის. ახლა, რომ ვიგონებ, ვხვდები - შესაძლოა, საკუთარი მოსაზრებები არასწორი ფორმით გამოვხატე. მისტერ უაილის მასმედიის ყურადღების ცენტრში მოქცევა არც მიფიქრია. სანაკრებო შესვენების შემდეგ ინგლისში რომ დავბრუნდები, მინდა მას პირადად დავუკავშირდე და მოვუბოდიშო. მინდა ყველას გასაგონად ვთქვა, რომ მისტერ უაილის პატიოსნების გამო ყოველთვის დიდ პატივს ვცემდი.*

*ერთადერთი, რაც ჩემი კომენტარით მინდოდა ხალხისთვის მეთქვა, ის არის, რომ ფეხბურთის განვითარება არბიტრებისგან სულ უფრო მეტ ფიზიკურ მომზადებას მოითხოვს. იმედი მაქვს, ჩემი მოსაზრება ამჯერად სწორად გავრცელდება და გაუგებრობას აღარ გამოიწვევს".*

მაგრამ გამოიღებს კი ფერგიუსონის ბოდიში შედეგს? ნუთუ, მართლა ზოგად პრობლემებს გულისხმობდა „მანჩესტერ იუნაიტედის" მწვრთნელი, როდესაც კონკრეტულად უაილის ლანძღავდა? სპორტული სამართლის სფეროში ბრიტანეთის ტოპვექილმა **მელ გოლდბერგმა** სერ ალექსს შეუთვალა, რომ ალან უაილი მხოლოდ მაშინ დაკმაყოფილდება, როდესაც მათ შორის მტყუანს და მართალს სასამართლო გაარჩევს. გოლდბერგმა ბრძანა:

*„ფერგიუსონმა უაილის შესახებ ტყუილები თქვა, რასაც შეიძლება იურიდიული კვალიფიკაცია მიეცეს. ვფიქრობ, თუკი მისტერ უაილის ფეხბურთის ასოციაციის ვერდიქტი არ მოეწონება, თავისუფლად შეუძლია საქმე სასამართლოში აღძრას და ორი აზრი არ არის, რომ იქ გაიმარჯვებს. მსაჯთა პროფკავშირი Prospect მომხრეა, რომ ბატონმა უაილიმ სასამართლოს მიმართოს".*

**ილია ბაბუნაშვილი**

ჰერტა

# ფუნკელი: მე ვიხსნი ბერლინს!

## ფრანკფურტიდან გაგდებული დედაქალაქში პატივით მიიღეს

ბერლინის „ჰერტას" სათავეში **ფრიდჰელმ ფუნკელი** ჩაუდგა - მწვრთნელი, რომელიც არც ისე დიდი ხნის წინათ ფრანკფურტის „აინტრახტიდან" გაათავისუფლეს. წინასწარ ვერავინ იტყვის, რამდენად წარმატებული სეზონი ექნება „ჰერტას" ამ სპეციალისტის ხელში, რადგან ფუნკელი ფრანკფურტული კლუბიდან სწორედ წარუმატებლობების გამო გაათავისუფლეს და ამ მწვრთნელს სერიოზულ გუნდში მუშაობას აღარავინ უწინასწარმეტყველებდა, მაგრამ ახლა ბერლინშია და მუშაობას უკვე შეუდგა. სამაგიეროდ, ერთი რამ ყველამ იცის: „ჰერტა" მის ხელში აღარ ითამაშებს ისე ამაზრზენად, როგორც **ლუსიენ ფავრის** მოღვაწეობის ბოლო პერიოდში თამაშობდა, რადგან ფეხბურთელებმა თავისას მიაღწიეს და შვეიცარიელი მწვრთნელი გააგდეს.



ჰერტას გადარჩენა ფრიდჰელმ ფუნკელს დაევალა

ასეა თუ ისე, ფაქტი ის არის, რომ „ჰერტა" ახლა ბოლო ადგილზეა და შესაბამისად, ამ გუნდისთვის საკითხი ასე დგას: ყოფნა, თუ არყოფნა? ანუ, პოზიციიდან გამომდინარე, ბერლინელებს მეორე ბუნდესლიგაში დაქვეითების საფრთხე ემუქრებათ. ფრიდჰელმ ფუნკელი კი დარწმუნებულია, რომ „ჰერტას" აქვს იმის პოტენციალი, ელიტაში ადგილი შეინარჩუნოს.

*„ჰერტაში" ცოტა ხნით არ მოვსულვარ. მინდა, რომ ამ გუნდში დიდხანს ვიმუშაო. ჩვენ აუცილებლად უნდა შევინარჩუნოთ ადგილი ელიტაში. სხვანაირად წარმოუდგენელია, რადგან გუნდს აქვს იმის პოტენციალი, რომ არ გავარდეს,"* - აცხადებს ფუნკელი.

55 წლის ფუნკელის სამწვრთნელო კარიერაში, „ჰერტა" სახელის მიხედვით ყველაზე დიდი გუნდია. *„ეს ჩემთვის უდიდესი გამოწვევაა. ჩემი მიზანია, რომ პირველი წრე მინიმუმ მე-13 ადგილზე დავასრულოთ,"* - ამბობს ბერლინელთა ახალი დამრიგებელი.

ფუნკელმა „ჰერტა" უკვე გაიცნო. მან იცის, რომ ამ კლუბის მწვრთნელობა ძალიან ძნელი საქმეა - ბოლო წლებში „ჰერტამ" არაერთი მწვრთნელი შეიწირა. *„მე ვიცი, როგორ უნდა მოვუარო ამ ფეხბურთელებს. ჩემს გუნდში ძირითად შემადგენლობაში თამაში გარანტირებული ვერავის ექნება. ყველა ვარჯიშზე, თითოეულმა მოთამაშემ უნდა დაამტკიცოს, რომ სასტარტოში თამაშის ღირსია!"* - სიმკაცრეს იჩენს ფუნკელი. თუმცა „ჰერტას" თავკაცი პირველი სამუშაო დღეების შემდეგ, თავისი ახალი შეგირდების მონდომებით კმაყოფილია.

*„გუნდმა ბუნდესლიგაში ზედიზედ 7 თამაში წააგო. სწორედ ამიტომ, ძალიან მაგრად უნდა ვიშრომოთ და მოთმინება გვმართებს. შესაძლოა, რამდენიმე კვირა დაგვჭირდეს იმისათვის, რომ გასავარდნ ზონას თავი დავაღწიოთ,"* - უთხრა ფუნკელმა „ბერლინერ მორგენპოსტს". მას „ჰერტასთან" კონტრაქტი ერთი წლით, ანუ, სეზონის ბოლომდე აკავშირებს. თუ ბერლინული კლუბი ელიტაში ადგილს შეინარჩუნებს, ფუნკელის ხელშეკრულება ავტომატურად კიდევ ერთი წლით გაგრძელდება.

**გოტფრიდ ლენცი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## უცხოური ფეხბურთი

ესპანეთის ნაკრები



მიკელ არტეტა



მანუელ ალმუნია



ალვარო ნეგრედო

# დაფარული რეზერვი

## ელ პირატე, მხეცი, პედრიტო და სხვები

**დიდი** ხანია უკვე, რაც ვისენტე დელ ბოსკემ დააკომპლექტა ესპანეთის ნაკრები და მსოფლიოს ჩემპიონატის საგზურიც გაინაღდა. „სელექსიონის“ მიღმა ბევრი ნიჭიერი ფეხბურთელი დარჩა, რომელთაც ერთი შანსიც კი არ მისცემიათ. ევროპის ჩემპიონს ერთ-ერთი ყველაზე გრძელი სათადარიგოთა სკამი აქვს, იმდენი ნიჭიერი ფეხბურთელი გამოჩნდა ბოლო წლებში, რომ თითოეულ პოზიციაზე 3-4 ფეხბურთელი მოდის. იკერ კასილიასი, კარლეს პუიოლი, ჩავი ერნანდესი, დავიდ ვილია და სხვები რომ არ იყვნენ, როგორი იქნებოდა „ლა ფურია როხა“? არ ვამტკიცებთ, რომ ამ ფეხბურთელებმა (რომელთაც ქვემოთ წარმოგიდგენთ) დღეისათვის ნაკრებში მყოფები უნდა შეცვალონ, უბრალოდ, გთავაზობთ ალტერნატიულ სასტარტო შემადგენლობას, რომელსაც იმ ფეხბურთელებისგან „დავაკომპლექტებთ“, რომელთაც ესპანეთის ეროვნული ნაკრების მაისურა არ ღირსებიათ:

### მეკარე

**მანუელ ალმუნია** (არსენალი, 32 წლის) - დიახ, ლონდონის „არსენალის“ გოლკიპერი 32 წლისაა და ეროვნულ ნაკრებში ერთხელაც არ მიუწვევიათ. ინგლისში გადასვლამდე ალმუნიამ მხოლოდ ერთი სეზონი ჩაატარა მაღალ დონეზე ლა ლიგაში. მართალია, დღეისათვის ესპანელი მხოლოდ სათადარიგო გოლკიპერია ლონდონურ კლუბში, მაგრამ ის ყოველთვის მზად არის იხსნას გუნდი და მისი იმედი **არსენ ვენგერს** ყოველთვის აქვს.

### მცველები

**ხესუს გამესი** (მალაგა, 24 წლის) - წესით, ეს სეზონი გამესს „სევილიაში“ ან „ატლეტიკოში“ უნდა დაეწყო, მაგრამ ორივე ტრანსფერი ბოლო წამს ჩაიშალა. შარშანდელ სეზონში გამესმა ფლანგზე თამაშით კარგად დაგვამახსოვრა თავი, მაგრამ ის „პატარა“ კლუბში დარჩა, შესაბამისად ნაკრებში მოხვედრის შანსიც შეიმცირა. ხესუს გამესი ერთნაირად ძლიერია, როგორც დაცვაში, ასევე შეტევებში.

**ალექსისი** (ვალენსია, 24 წლის) - „ხეტაფეს“ ყოფილი მცველი ძალზე ცუდ დროს გადავიდა „ვალენსიაში“, როცა ამ კლუბს პრობლემები ჰქონდა მოედანზეც და მის გარეთაც. ახალწვეულმა თავი ვერაფრით გამოიჩინა, მაგრამ გავიდა ხანი და ახლა ის ნამდვილად საუკეთესოა „ღამურების“ დაცვის კვარტეტში. ალექსისი კარგია საჰაერო ორთაბრძოლებში.

**მარკ ტორეხონი** (რასინგი, 23 წლის) - ერთი შეხედვით, ტორეხონი მოჭიდავეს უფრო წააგავს, ვიდრე ფეხბურთელს. ორი წლის წინათ მას მშვენიერი სეზონი ჰქონდა **დანიელ ხარკესთან** („ესპანიოლის“ გარდაცვლილი კაპიტანი) ერთად. შემდეგ ტორეხონი ჩაიკარგა, ახლა კვლავ კარგად ათამაშდა კანტაბრიელთა რიგებში.

**მანე** (ხეტაფე, 27 წლის) - თამაშის სტილით ძალიან ჰგავს ესპანეთის ნაკრების მარცხენა მცველ **ხოან კაპდევილას.** მიუხედავად შეტევებში ჩართვის სიყვარულისა, მანე ამას სხვებივით არ აკეთებს, არასოდეს ავიწყდება თავისი მთავარი ფუნქცია. რაც მთავარია, მანე სტაბილურად კარგად თამაშობს მთელი სეზონი.

### ნახევარმცველები

**პედრო ლეონი** (ხეტაფე, 22 წლის) - პედრო ლეონის პრობლემაც „პატარა“ კლუბში თამაშია. ის დაბადებულია ფლანგზე ასპარეზობისთვის, თუმცა პედრო ლეონს ნახევარდაცვის ცენტრშიც შეუძლია თამაში, რადგან ჭკვიანური პასი მისი პლუსია.

**მიკელ არტეტა** (ევერტონი, 27 წლის) - არტეტას ბრალი სულაც არ არის, რომ ესპანეთი და კონკრეტულად „ბარსელონა“ ნიჭიერ პლეიმეიკერებს ისეთი ტემპებით „უშვებს“, როგორც ბოცვრებს. როგორც მისი სხვა კონკურენტები, 27 წლის ბასკიც ბურთის უზადო კონტროლით, პასის კულტურით გამოირჩევა, ევროპის ნაკრებთა დიდი ნაწილი ინატრებდა არტეტას დარ ნახევარმცველს.

**ხავი მარტინესი** (ბილბაო, 21 წლის) - უნივერსალი, უყვარს სიღრმისეული ჩართვები შეტევებში. არადა 190 სმ სიმაღლისაა და თითქოს ამ პოზიციაზე თამაში უნდა უჭირდეს. არადა, პირიქითაა - ფიზიკური უპირატესობა საჰაერო ორთაბრძოლებში ეხმარება კიდეც და დრიბლინგში ხელს არ უშლის.

**ესტებან გრანერო** (რეალი, 22 წლის) - „ელ პირატეს“ უსაზღვრო პოტენციალი აქვს, მაგრამ ახალგაზრდა ნახევარმცველს ცოტა „ხელის შეშველება“ სჭირდება. გრანეროს ძლიერი ცაცია აქვს და ასევე იმის ოსტატია, რომ მეტოქეთათვის შეუმჩნევლად „გაძვრეს“ საჯარიმოში. თუმცა ნაკრებში მოხვედრამდე, მას უფრო რთული ამოცანა აქვს გადასაჭრელი - „რეალის“ ვარსკვლავურ შემადგენლობაში უნდა დაიმკვიდროს ადგილი.

### თავდამსხმელები

**ალვარო ნეგრედო** (სევილია, 24 წლის) - „ვალეკასის მხეცი“ კინაღამ მოხვდა კონფედერაციის თასზე, მაგრამ ბოლოს ვისენტე დელ ბოსკემ აქცენტი ისევ **დავიდ გუისაზე** გააკეთა. ნეგრედოს უთამაშებლობა შაბათს დასრულდა - „ლა ფურია როხასკენ“ გზა მას დავიდ ვილიას ტრავმამ გაუკაფა.

**პედრო** (ბარსელონა, 22 წლის) - 22 წლის კანარელი მალე, ალბათ, მოირგებს ეროვნული ნაკრების მაისურას, ისეთი ტემპით პროგრესირებს „ბარსელონაში“. პედრიტო უფრო ფლანგის შემტევია, ვიდრე ცენტრფორვარდი, თუმცა მას გოლის გატანის შესანიშნავი ალღო აქვს. პედრო ნეგრედოსთან შესანიშნავ წყვილს შექმნიდა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



ესტებან გრანერო



პედრო ლეონი



პედრო

ინტერვიუ — კევინ კურანი

# ყველაფერი ჩემი ბრალია!

## ერთი წელი გერმანიის ნაკრების გარეშე: კევინი ნანობს, მაგრამ...

**ზუსტად** ერთი წლის წინ, 2008 წლის 11 ოქტომბერს, გერმანიის ნაკრები რუსეთის პირველ გუნდს მასპინძლობდა და იმ შეხვედრაში (2:1 გერმანელთა სასარგებლოდ), პირველი ტაიმის შემდეგ კევინ კურანიმ დორტმუნდის „ვესტფალენშტადიონი“ დატოვა. „შალკეს“ თავდამსხმელი გერმანიის ნაკრებში გამოძახებული იყო, მაგრამ მწვრთნელმა იოახიმ ლიოვმა განაცხადში არ შეიყვანა, რის გამოც, განაწყენებულმა ფეხბურთელმა პროტოკოლი დაარღვია და ნაკრებიდან თვითნებურად ისე წავიდა, რომ არავისთვის არაფერი უკითხავს. მას მერე კურანი ბუნდესგუნდიდან მოკვეთილია. თვითონ კი ძალიან უნდა დაბრუნება, მაგრამ ბუნდესმწვრთნელი შეუვალია და „შალკეს“ თავდამსხმელს ნაკრებში არ აბრუნებს. კურანის „კიკერი“ გაესაუბრა.

**- ჰერ კურანი, გერმანიის ნაკრებს მაინც ქომაგობთ?**

- რა თქმა უნდა! მართალია, გუნდიდან მომკვეთეს და აღარ მიძახებენ, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ბიჭებს არ უნდა ვუქომაგო. რუსეთთან მატჩს ტელევიზორში ვუყურე და ძალიან მინდოდა, რომ მეც მოედანზე ვყოფილიყავი, მაგრამ... რას ვიზამ, ვერავის ვერაფერს დავაბრალებ - ბუნდესგუნდში რომ აღარ ვთამაშობ, ეს მხოლოდ და მხოლოდ ჩემი ბრალია.

**- რამდენად ხშირად ნანობთ ხოლმე მაშინდელ საქციელს?**

- ადამიანი მთელი ცხოვრების განმავლობაში უამრავ გადაწყვეტილებას იღებს. მათ შორის, ზოგი მართებულია, ზოგიც მცდარი. იმ მომენტში, როცა „ვესტფალენშტადიონს“ ვტოვებდი, ნამდვილად არ მიფიქრია იმაზე, რომ ჩემთვის ყველა ასე ცუდად დამთავრდებოდა. ფაქტია, მცდარი გადაწყვეტილება მივიღე და მერე ძალიან ბევრჯერ ვინანე.

**- მას მერე იოახიმ ლიოვს თქვენთვის ერთხელაც არ დაურეკავს.**

- არა. ერთი წელია, ლიოვთან კონტაქტი არ მქონია. ძალიან სამწუხაროა, რომ ასე მაგრად დამსაჯეს, მაგრამ თავს ზემოთ ძალა არ არის.

**- გამოდის, რომ გერმანიის ნაკრებში თამაშზე საბოლოოდ ხელი გაქვთ ჩაქნეული და იმედი აღარ გაქვთ, რომ შეცდომას გაპატიებენ?**

- როგორც ვთქვი, ვალდებული ვარ, გერმანიის ნაკრების მთავარი მწვრთნელის გადაწყვეტილება მივიღო. მე მხოლოდ ის შემიძლია, რომ „შალკეში“ კარგად ვითამაშო და ვამტკიცო, რომ გოლების გატანა შემიძლია.

**- ერთი წლის წინ მთელი „შალკე“ გვერდში დაგიდგათ...**

- და დიდი მადლობა ყველას, ვინც მაშინ მხარი დამიჭირა. მე ამ ადამიანებს სამაგიეროს „შალკესთვის“ გატანილი გოლებით გადავუხდი.

**- ამ სეზონის ბოლოს გელზენკირხენულ კლუბთან კონტრაქტი გიმთავრდებათ. რას აპირებთ?**

- ამაზე საუბარი ჯერ ძალიან ადრეა. ახლა „შალკეს“ გარდატეხის პერიოდი უდგას - თუ შეიძლება, რომ ასე ითქვას. გუნდში ბევრი რამ იცვლება. მთავარია, პირველი წრე მაქსიმალურად კარგად ჩავატაროთ. ზამთარში კი, ფაქტია, უნდა დავსხდეთ და დავილაპარაკოთ.

**- დღეს ბევრი საუბრობს იმაზე, რომ „შალკეს“ ძალიან მძიმე ფინანსური მდგომარეობა აქვს. მზად არის თუ არა კევინ კურანი იმისათვის, რომ ხელფასის გარკვეულ ნაწილზე უარი თქვას, ოღონდაც „შალკეში“ დარჩეს?**

- ფეხბურთში ყველაფერი შესაძლებელია და არაფერია გამორიცხული. ზოგადად, ფეხბურთელები ხელფასის შემცირებაზე ძალიან აგრესიულად რეაგირებენ ხოლმე, მაგრამ თუ დავინახავ, რომ ეს აუცილებელი და ძალიან საჭიროა, დავფიქრდები.



კევინ კურანი გერმანიის ნაკრებიდან ერთი წლის წინ მოკვეთეს

**- სხვა კლუბებიდან შემოთავაზებები არ გაქვთ?**

- არა.

**- რამდენად მნიშვნელოვანია თქვენთვის ის, რომ „შალკემ“ ევროტურნირებზე იასპარეზოს?**

- უკვე ისეთ ასაკში ვარ, რომ ყველაფერი მინდა. ორი აზრი არ არსებობს, ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია ის, რომ „შალკე“ ყოველ წელს ჩემპიონთა ლიგაში თამაშობდეს. ვფიქრობ, რომ ეს რეალურია.

**- როგორ გგონიათ, არის თუ არა ფელიქს მაგათი „შალკეს“ წარმატების გარანტი?**

- ამაში დარწმუნებული ვარ! მაგათმა თავის საქმე ძალიან კარგად იცის. ესეც არ იყოს, „შალკეში“ მე ნამდვილად ვხედავ იმის პოტენციალს, რომ გუნდმა ყოველ წელს ჩემპიონთა ლიგაში ითამაშოს და გერმანიის ჩემპიონობისთვის იბრძოლოს.

**- დიდი ხანია, ბომბარდირთა დავის ლიდერი აღარ ყოფილხართ. კურანის გოლების გატანა დაავიწყდა?**

- არანაირად. თუმცა ამას ჩემთვის დიდი მნიშვნელობა არ აქვს. მთავარია, ვიგებდეთ და რა მნიშვნელობა აქვს, ვინ გაიტანს გოლებს. ასეთ დეტალებს მხოლოდ მაშინ ენიჭება ხოლმე მნიშვნელობა, როცა გუნდი წარუმატებლად ასპარეზობს.

**გოტფრიდ ლენცი**

სანაკრებო ამბები

# იყო თუ არ იყო მზად?

## აურზაური კრიშტიანოს გამო

როგორც ჩანს, პორტუგალიის ნაკრებსა და მადრიდის „რეალს“ შორის ურთიერთობა საბოლოოდ გაფუჭდა, განხეთქილების ვაშლი კი **კრიშტიანო რონალდოს** 100 მილიონად დაზღვეული ფეხია. „რეალის“ დირექტორი **ხორხე ვალდანო** ამტკიცებს, რომ მადეირელი არ იყო მზად უნგრეთის ნაკრებთან საკვალიფიკაციო მატჩისთვის, თავის მხრივ პორტუგალიელთა თავკაცი **კარლოშ კეიროში** დარწმუნებულია, რომ რონალდოს ეროვნული გუნდისთვის მეტად მნიშვნელოვან მატჩში თამაში თავისუფლად შეეძლო. შეგახსენებთ, რომ მსოფლიო ფეხბურთის ვარსკვლავმა ამ თამაშში ტრავმა გაიმიზეზა და ახლა ერთი თვით იძულებითი შესვენება მოუწევს.

უნგრელებთან მატჩში მსოფლიოს ყველაზე ძვირფასმა ფეხბურთელმა კოჭი ზუსტად იმ ადგილას იტკინა, სადაც 30 სექტემბერს ჩემპიონთა ლიგის მატჩში „მარსელის“ წინააღმდეგ დაიზიანა. რონალდომ მოედანზე ნახევარი საათიც ვერ გაძლო, „რეალის“ ექიმებმა გამოაცხადეს, რომ MRI სკანირებამ საკმაოდ სერიოზული ტრავმა აჩვენა მარჯვენა კოჭზე. ყველაზე ოპტიმისტური პროგნოზითაც კი ფეხბურთელს უვარჯიშოდ 3 კვირა მოუწევს ყოფნა. რონალდო ვერ ითამაშებს ჩემპიონთა ლიგის ორივე მატჩში „მილანის“ წინააღმდეგ და გამოტოვებს ორ ტურს პრიმერაში. ყველაზე ადრე მას მოედანზე 8 ნოემბერს უნდა ველოდოთ, „ვისენტე კალდერონზე“ მადრიდის „ატლეტიკოს“ წინააღმდეგ.

რონალდოს ტრავმამ „რეალის“ გენერალური დირექტორი ხორხე ვალდანო გააცოფა. ის აღშფოთებულია პორტუგალიის ნაკრების შტაბის საქციელით: *„გამოკვლევამ აჩვენა, რომ ეს არ იყო ახალი ტრავმა. მან უბრალოდ გაიმიზეზა ძველი ტრავმა, რაც ძალზე იოლად მოხდებოდა, ფეხის ერთი მირტყმით. მიზეზი კი ცხადზე ცხადია - ის არ იყო უნგრეთის ნაკრებთან მატჩისთვის მზად. მესმის, რომ ფეხბურთელს ძალიან სურდა ნაკრებს დახმარებოდა და პორტუგალიის ნაკრებსაც ჰაერივით სჭირდებოდა ქულები, მაგრამ მაინც გაკვირვებას იწვევს პორტუგალიელთა ქცევა, მათ ფაქტობრივად გაწირეს ფეხბურთელი“.*

კარლოშ კეიროში ვალდანოს ბრალდებას უარყოფს, მისი თქმით, კრიშტიანო მატჩისთვის სრულ მზადყოფნაში იმყოფებოდა: *„რონალდო მოედანზე იმიტომ გამოვიდა, რომ დარწმუნებული ვიყავი, ის 100 პროცენტით მზად იყო სათამაშოდ. დასკვნა ნაკრების ექიმებმა გამოიტანეს, ყველანი დარწმუნებული ვიყავით, რომ ფეხბურთელი მზადაა. ამასთან, კრიშტიანოს დავავალე, თუკი ოდნავ მაინც იგრძნობდა ტკივილს ფეხში, ეგრევე გაჩერებულიყო და შეცვლა ეთხოვა. ჩვენთვისაც მთავარი არა მისი უნგრეთთან თამაში, არამედ მისი დაცვა და შემდეგ მატჩში გამოყენება იყო. რას ვიზამთ, ეს ფეხბურთია - კრიშტიანოს ტრავმის გამო მოუწია მოედნის დატოვებამ. ის ძალიან დაგვაკლდება ბოლო მატჩში, რომელიც ჩვენთვის ასე ბევრს ნიშნავს“.*

სხვათა შორის, თავად ფეხბურთელმა შეძლო დაპირისპირების ოდნავ განელება და ყველაფერი „თავის თავზე აილო“: *„თავს კარგად ვგრძნობდი, მეგონა ბოლომდე მზად ვიყავი. იყო მცირე ყრუ ტკივილი, მაგრამ ისე ძალიან მინდოდა ნაკრებს დავხმარებოდი, რომ ამის შესახებ არაფერი ვთქვი. მინდოდა ჩემს ქვეყანას მსოფლიოს ჩემპიონატზე გასვლაში დავხმარებოდი. და თავიდან რომ მქონდეს არჩევანი, იგივეს ვიზამდი. „რეალს“ დიდებული ექიმები ჰყავს, დარწმუნებული ვარ, ისინი უფრო მალე დამაყენებენ ფეხზე, ვიდრე ვარაუდობენ“.*



# ბილიჩმა ჯავრი ლოთებზე იყარა

ხორვატიის ნაკრების თავკაცმა **სლავენ ბილიჩმა** მსოფლიოს ჩემპიონატის ბოლო შესარჩევი მატჩისთვის ყაზახეთის ნაკრების წინააღმდეგ ორი ფეხბურთელი მოკვეთა. ბილიჩმა არ დააკონკრეტა, თუ რა დააშავეს **იოზიპ შიმუნიჩმა** და **ივიცა კრიჟანაცმა**, უბრალოდ აღნიშნა, რომ დასჯის მიზეზი მათი უდისციპლინო საქციელია. კვირას ბილიჩმა ორივე ფეხბურთელმა შინ გააგზავნა. ხორვატიას გადამწყვეტი მატჩი ასტანაში ელის, თუმცა გუნდის ბედი უკვე მის ხელთ აღარაა, თუკი უკრაინელები გაიმარჯვებენ, ხორვატიის ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატზე ოცნებას დაემშვიდობება. არადა, უკრაინის მეტოქე ცეროდენა ანდორაა.

*„მუშაობის დასაწყისში ჩვენ ჩამოვაყალიბეთ წესები, რომლის დარღვევაც არავისთვის შეიძლება, მათ სწორედ ეს წესები უგულვებელჰყვეს. ამიტომაც მათი დასჯა გადავწყვიტე. ვწუხვარ, ორივე საჭირო ფეხბურთელია, მაგრამ ვერაფრით დავუშვებდი ასეთ საქციელს“*, - განაცხადა პრესკონფერენციაზე ბილიჩმა. მან გუნდის კიდევ ორ წევრს, **ანას შარბინის** და **ნიკიჩა იელავიჩს** უკანასკნელი გაფრთხილება მისცა. ხორვატული მედია უფრო შორს წავიდა და გამოიკვლია, რომ პარასკევ საღამოს შიმუნიჩი და კრიჟანაცი გუნდის სასტუმროში ნასვამები დაბრუნდნენ.

# უმადური იბრა

შვედმა ფორვარდმა **ზლატან იბრაჰიმოვიჩმა** კიდევ ერთხელ გამოიყენა შანსი და მედიასთან საუბარში უდიერად მოიხსენია კლუბი, რომელშიც გაიბრწყინა - მილანის „ინტერი“. *„ინტერში“ არც ისე ბევრი დიდი ფეხბურთელია, როგორც ეს „ბარსელონაშია“. იქ თუ რომელიმე პოზიციაზე პრობლემა შეგვექმნეობოდა, მისი აღმოფხვრა ძნელი იყო. ბარსაში თუ ვინმე დაიმტვრევა, ყოველთვის გამოიძებნება მისი სრულფასოვნად შემცვლელი. ეს სწორედ ის არის, რის გამოც „ბარსელონა“ დიდი გუნდია, „ინტერი“ კი - არც ისე. გუნდი სულ პირველობას უნდა ესწრაფვოდეს, მისთვის მეორე ადგილი არაფრის მომტანი უნდა იყოს. მე ზუსტად ასე ვარ, მხოლოდ პირველობა მსურს, მეორე, მესამე და ბოლო ადგილს ჩემთვის ერთი ფასი აქვს“*, - განუცხადა ზლატან იბრაჰიმოვიჩმა „ბარსელონას“ ყოველკვირეულ ჟურნალს.







# კალუც ჩელსის ერთგულია

გუშინ კოტდივუარელმა ფორვარდმა **სალომონ კალუმ** „ჩელსისთან“ ახალ, სამწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი. ასე რომ, დასავლურლონდონურ კლუბში აფრიკელი 2012 წლამდე რჩება. *„ძალიან მიხარია, რომ სალომონმა ასე გადაწყვიტა, ის გუნდის მნიშვნელოვანი ფიგურაა. კალუ ყოველთვის მოტივირებული გადის მოედანზე, ის შრომას არ თაკილობს. მომავალში მისი როლი „ჩელსიში“ გაიზრდება, მე ამაში დარწმუნებული ვარ“*, - განაცხადა გუნდის იტალიელმა მთავარმა მწვრთნელმა **კარლო ანჩელოტიმ**.

კალუმ **ჯონ ტერის**, **ეშლი კოულის** და **დიდიე დროგბას** საქციელი გაიმეორა. ამ ფეხბურთელებმა კლუბთან კონტრაქტი გაახანგრძლივეს. შეგახსენებთ, რომ „ჩელსი“ დასჯილია და ორი სატრანსფერო ფანჯრის განმავლობაში ახალი ფეხბურთელების ყიდვა არ შეუძლია. კალუ მე-4 სეზონია „ჩელსიში“, ამ ხნის განმავლობაში მან 31 გოლი გაიტანა. არადა, ის სასტარტო შემადგენლობაში იშვიათადაა.

U20. ეგვიპტე 2009




ეს ტაიტია

# პირამიდების ჩრდილქვეშ

## ორი დიდი სენსაცია და ერთი შაქირი

ეგვიპტეში მსოფლიოს 20-წლამდელთა პირველობა დასკვნით ფაზაშია, დარჩა მხოლოდ ოთხი მატჩი: ორი ნახევარფინალი, მატჩი მე-3 ადგილისთვის და ფინალი. ტურნირი 24-მა გუნდმა დაიწყო, ახლა კი ბრძოლას ოთხი აგრძელებს, ბრაზილია, განა, უნგრეთი და... კოსტა რიკა. უკვე გასაგებია, თუ რომელი ნაკრებია ტურნირის მთავარი სენსაციის შემოქმედი, კოსტარიკელებს ამ ეტაპზე ნამდვილად არავინ ელოდა, მათმა მიღწევამ გადაფარა უნგრელთა ასევე სენსაციური წინსვლა. სამაგიეროდ, ტურნირს უკვე დააკლდნენ ისეთი ფავორიტები, როგორიც გერმანია, ესპანეთი, ნიგერია და იტალიაა.

პირველად ტურნირის ნამდვილ შაყირზე მოგახსენებთ - ტაიტი პაწაწინა ქვეყანაა, რომელიც წყნარ ოკეანეში რამდენიმე ასეული კუნძულისგან შედგება. ფრანგული პოლინეზიის მთელი ეს მხარე სახელგანთქმულია შავქვიშიანი უმაღლესი ხარისხის პლაჟებით. მოკლედ, აქამდე კუნძულებს მსოფლიო ფეხბურთთან სერიოზული შეხება არ ჰქონდათ. და აი, ტაიტის მკვიდრთა (180 ათასი მოსახლე) ნაკრებმა სტუმრად 2:1 მოუგო ახალ ზელანდიას და ისტორიაში პირველად ოკეანიის წარმომადგენელმა (აქ ავსტრალიასა და ზელანდიას არ ვგულისხმობთ) ფიფას ეგიდით გამართულ ტურნირის ფინალურ ეტაპზე გასვლა შეძლო (აქ ვგულისხმობთ ნებისმიერ ტურნირს, სადაც 11 ფეხბურთელი 11-ს უპირისპირდება). მოკლედ, ტაიტიმ ვეებერთელა რეგიონს ისტორია შეუქმნა, მაგრამ გაგრძელება ვერ გამოუვიდა ხეირიანი...

ეგვიპტეში კუნძულელებმა სამივე მატჩი წააგეს ჯგუფში, მაგრამ წაგებაც არის და წაგებაც - ტაიტიმ ბურთი ვერ გაიტანა, სამაგიეროდ 21 მიიღო. ჯერ ესპანეთმა დაამარცხა გუნდი - 8:0, შემდეგ ამავე ანგარიშით - ვენესუელამ. აი, ახალგაზრდა ნიგერიელმა „არწივებმა“ კი ტაიტელები აშკარად დაინდეს, პირველი ტაიმის 4:0 მოგების შემდეგ მხოლოდ ერთი გოლი გაუტანეს უსუსურ გუნდს. ჯგუფურმა ეტაპმა ორი კარგი ნაკრები შეიწირა, ინგლისი და აშშ, რომლებიც ვერ აღმოჩნდნენ სათანადოდ მომზადებულები ამ ტურნირისთვის. პლეი ოფის პირველმა წრემ კი გემბანსმილმა მასპინძლები, ესპანელები და ნიგერიელები დატოვა. მეოთხედფინალში მათი ბედი იტალიელებმა და გერმანელებმა გაიზიარეს. აღსანიშნავია, რომ ოთხი შემორჩენილი გუნდი ოთხ კონტინენტს წარადგენს: სამხრეთ და ჩრდილოეთ ამერიკას, აფრიკასა და ევროპას. კიდევ ერთი დასტური, რომ ფეხბურთი მთელს მსოფლიოში თანაბრად ვითარდება.

დღეს ეგვიპტეში ორი ნახევარფინალია, ორივე ქაიროს საერთაშორისო სტადიონზე გაიმართება. ჯერ მოედანზე განელები და უნგრელები გავლენ, შემდეგ კი ბრაზილიელები და კოსტარიკელები. პირველ წყვილში ერთმანეთისგან დიამეტრალურად განსხვავებული სტილის გუნდები ხვდებიან. ბოლო ორი კვირაა აფრიკის ჩემპიონები ეგვიპტის პუბლიკას შემტევი ფეხბურთით ანებივრებენ. 6 გატანილი გოლით ბომბარდირთა სათავეშია განელი ფორვარდი **დომინიკ ადია**. ბრწყინვალედ თამაშობენ **რენსფორდ ოსეი** და **ანდრე აიევი**. განა ბევრს უტევს, თუმცა დაცვის ხაზში მოიკოჭლებს, ხუთ მატჩში მან 6 გოლი გაუშვა.

უნგრელთა მთავარი კოზირი დისციპლინირებული თამაშია, თუმცა შეცდომა იქნება, თუკი **შანდორ ეგერვარის** გუნდს დაცვითი ფეხბურთის მიმდევრად მივიჩნევთ. უნგრელთა შეტევებს ძალიან ნიჭიერი ფორვარდი **კრისტიან ნემეტი** აგვირგვინებს, გუნდის ნახევარდაცვის მთავარი საზრუნავიც ამ ბიჭისათვის საგოლე შანსების შექმნაა. უნგრელებმა დიდი ძალისხმევის ფასად მოაღწიეს აქამდე, მერვედფინალში მათ პენალტების სერიაში აჯობეს ჩეხებს, 120 წუთი გახდა საჭირო იტალიის ნაკრების დასამარცხებლად. აფრიკელებს ერთი დიდი უპირატესობა აქვთ, თამაშს ტოვებს უნგრელთა ნახევარდაცვის მთავარი შემოქმედი **ვლადიმირ კომანი**. უნგრელები 37-წლიანი პაუზის შემდეგ პირველად თამაშობენ დიდი ტურნირების ნახევარფინალში. მაშინ მათ საბჭოთა კავშირის ნაკრებს მოუგეს ევროპის ჩემპიონატზე - 1:0.

**სელას ტეტე** (განას მთავარი მწვრთნელი): *„ჩვენ ტურნირს შემორჩენილი ბოლო აფრიკული გუნდი ვართ. ისე უნდა ვითამაშოთ, რომ მთელმა კონტინენტმა იამაყოს ჩვენით. ყველაფერს გავილებთ, მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულის მოსაპოვებლად. უკან დასახევი გზა არ გვაქვს“.*

**შანდორ ეგერვარი** (უნგრეთი): *„მატჩისთვის უდიდესი მონდომებით ვემზადებით. აქამდე განის ნაკრები ყველაზე საუკეთესო ფეხბურთს აჩვენებდა ტურნირზე. ჩვენი კაპიტნის, ვლადიმირ კომანის დისკვალიფიკაცია ჩვენს ამოცანას კიდევ უფრო ართულებს“.*

ბრაზილიის და კოსტა რიკის ნაკრებებმა 16 დღის წინათ უკვე ითამაშეს, ჯგუფური ეტაპის პირველ მატჩში. მაშინ „სელეშაომ“ შავი დღე აყარა კოსტა რიკას, პორტ საიდში 5:0 მოუგო. ვინ იფიქრებდა, რომ კოსტა რიკის ნაკრები ნახევარფინალში გავიდოდა, მაშინ ლათინური ამერიკის შვილები ტაიტელებთან ერთად ჩემპიონატის უსუსტეს გუნდად მიიჩნიეს. პლეი ოფში კოსტა რიკამ მასპინძლები და თითქმის მასპინძლები (არაბთა გაერთიანებულ საამიროებს აქ როგორც სამშობლოში, ისე გულშემატკივრობენ. შეგახსენებთ, რომ ეგვიპტეც არაბული ქვეყანაა) დაამარცხეს. ამის მიუხედავად, „ლოს ტიკოსი“ ნახევარფინალური წყვილის აშკარა აუტსაიდერია.

**მაიკონი** (ბრაზილიის ნაკრების ფორვარდი): *„ჩვენ ერთხელ უკვე დავამარცხეთ კოსტა რიკა, მაგრამ ეს შეხვედრა უკვე სხვა ხასიათის იქნება. არა მგონია, მეტოქემ ის შეცდომები გაიმეოროს, რომლის წყალობითაც ჩვენ მათ ხუთი უპასუხო გოლი გავუტანეთ“.*

**მარკოს ურენა** (კოსტა რიკის ნაკრების ფორვარდი): *„მთავარია, ჩვენი შანსები გამოვიყენოთ. პირველ მატჩშიც შეგვეძლო გოლების გატანა, მაგრამ თავდამსხმელებმა ვერ ვივარგეთ. ერთ რამეში დარწმუნებული ვარ, ბრაზილიას იოლი გასეირნება არ ელის“.*

ბომბარდირები: 6 - **დომინიკ ადია** (განა); **აარონ ნიგესი** (ესპანეთი), **იონათან დელ ვალე** (ვენესუელა), **ვლადიმირ კომანი** (უნგრეთი), **ხოსე რონდონი** (ვენესუელა), **რენსფორდ ოსეი** (განა); 3 - **ფრან მერიდა** (ესპანეთი), **ალან კარდეკი** (ბრაზილია), **კერმიტ ერაზმუსი** (ს. აფრიკა), **ალექს ტეიშეირა** (ბრაზილია), **კიმ მინ ვო** (კორეა), **კრისტიან ნემეტი** (უნგრეთი).

გვერდი მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძემ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ათი ყველაზე...


შესანიშნავი პოლონელი მეკარე იან ტომაშევსკი (მარცხნივ), რომელმაც ინგლისის ნაკრები იმსხვერპლა


ემილ კოსტადინოვის სასიკვდილო დარტყმა საფრანგეთის ნაკრების კარში

# ხელმოცარულთა გახსენება

**ოთხშაბათს, მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის ბოლო ტურია. ყველა ჯგუფში გაირკვევა გამარჯვებული და მეორე ადგილზე გასული. გამარჯვებულები, ბუნებრივია, ავტომატურად მიიღებენ სამხრეთ აფრიკის საგზურებს, მეორეზე გასულთა შორის კი რვა საუკეთესო დაწყვილდება და პლეი ოფის პრინციპით გაარკვევს მუნდიალზე წამსვლელი კიდევ ოთხი გუნდის ვინაობას. ერთი სიტყვით, წინ გადამწყვეტი დღეა, რაზეც ის ქვეყნები გაახსენდა, რომელთაც სხვადასხვა დროს თავიანთი ფიასკოთი დიდი ხმაური გამოიწვიეს. მოდი, გავიხსენოთ...**

## 10. ინგლისი 1974

70-იანი წლები ინგლისური ფეხბურთისთვის ნავსიანი იყო - ქვეყნის ნაკრები 1970-იდან 1980 წლამდე ვერც ერთ დიდ ტურნირზე ვერ მოხვდა, თუმცა წარუმატებლობათა ამ სერიაში 1974 წლის ამბავი გამორჩეული გახლდათ. იმისათვის, რომ გერმანიის საგზური მიელო, ინგლისს შესარჩევის ბოლო ტურში „უემბლიზე" პოლონეთი უნდა დაემარცხებინა, მაგრამ ფრედ 1:1 ითამაშა. პოლონეთის ნაკრების დიდებული მეკარე **იან ტომაშევსკი** იმ საღამოს „დაფრინავდა". აღსანიშნავია, რომ თამაშის წინადღეს, საკუთარ გამარჯვებაში დარწმუნებულმა **ბრაიან კლაფმა**, ტომაშევსკის საჯაროდ კლოუნი უწოდა...

## 9. ჰოლანდია 1986

1978 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში დამარცხების შემდეგ, 1980-იანი წლების შუაში ჰოლანდიაში უნიჭიერეს ფეხბურთელთა ახალმა ვულკანმა ამოხეთქა. მათ შორის იყვნენ **მარკო ვან ბასტენი, რუუდ გულიტი, ფრანკ რაიკაარდი** და სხვანი. მაგრამ, თვით ასეთმა ნიჭიერმა თაობამაც კი იწვნია მწარე მარცხი. ეს 86-ის შესარჩევ ციკლში მოხდა, როდესაც ჰოლანდიელები პლეი ოფში ბელგიელებს შეხვდნენ და შინ გაშვებული მეტი გოლის გამო მექსიკაში ვერ გაემგზავრნენ. **ჟორჟ გრიუნმა** ნიდერლანდელებს საპასუხო შეხვედრის მიწურულს გაუტანა მუხთალი გოლი.

## 8. სსრკ 1978

ბევრი ანტისაბჭოურად განწყობილი ქართველი გულშემატკივრის გასახარად, ლეგენდარული კიევის „დინამოს" ბაზაზე აგებულმა საბჭოთა ნაკრებმა (კიეველებს 1975 წელს თასების თასი და ევროპის სუპერთასი ჰქონდათ მოგებული) მოულოდნელად სალონიკიში ბერძნებთან წააგო და ჯგუფში პირველი ადგილი უნგრელებს გაატანა.

## 7. იტალია 1958

როდესაც იტალიელებზე ვლაპარაკობთ, შეგვიძლია გავიმეოროთ ზუსტად იგივე, რაც ინგლისელებზე ვთქვით, როდესაც 1970-იან წლებს მიმოვიხილავდით - 50-იანი წლები იტალიელთათვის კოშმარული იყო. კოშმარი იმით დაიწყო, რომ 1949-ში „ილ გრანდე ტორინოს" თვითმფრინავი სუპერგას მთას შეეჯახა და მთელი გუნდი დაიღუპა - მაშინდელი იტალიის ნაკრები სწორედ „ტორინოზე" იყო აგებული - თუმცა, ამის მიუხედავად, ქედმოუხრელი „სკუადრა აძურა" 1958 წლის მუნდიალზე მოხვედრას გეგმავდა. იტალიელებს ხელი შესარჩევი შეჯიბრების ბოლო ტურში, ბელფასტში მოეცარათ, ისინი ჩრდილოირლანდიელებმა დაამარცხეს და... ამ დამარცხების შემდეგ „აძურას" 1960 წლამდე (!) თამაში აღარ მოუგია.

## 6. პორტუგალია 1998

**ლუიშ ფიგუს, რუი კოშტას და ჟოაო პინტუს** „ოქროს თაობას" დიდი ეუსებიოს ეპოქის, ანუ 1966 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ მუნდიალზე თავის გამოჩენის მართლაც დიდი შანსი ჰქონდა, მაგრამ ისევე როგორც 1990 და 1994 წლებში, პორტუგალიელთა „სელესაო" ვერც 1998 წლის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე მოხვდა. მეტიც, შესარჩევ ჯგუფში პორტუგალიელებმა მეორე ადგილიც კი ვერ დაიკავეს, გერმანელებისა და უკრაინელების შემდეგ მესამეზე გავიდნენ. მეხსიერებას განსაკუთრებით ბერლინური ფრე შემორჩა, როდესაც სტუმრები 1:0-ს იგებდნენ და რუი კოშტას საკამათო გაძევების შემდეგ მასპინძლებმა ანგარიში გაათანაბრეს.

## 5. ინგლისი 1994

ევრო 92-ზე ჩაფლავების შემდეგ ინგლისის ნაკრების მწვრთნელმა **გრემ ტეილორმა** რაღაცნაირად მოახერხა თანამდებობის შენარჩუნება, მაგრამ საქმის გამოსწორება ვერ შეძლო - მისი ხელმძღვანელობით ინგლისელები 1994 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის მიღმა დარჩნენ. შესარჩევ შეჯიბრებაში ინგლისელებმა სტუმრად ნორვეგიასა და ჰოლანდიასთან წააგეს, ხოლო სან მარინოსთან თამაშის მეშვიდე წამზე გოლიც კი გაუშვეს.

## 4. იუგოსლავია 1994

1994 წლის ჩემპიონატის შესარჩევში იუგოსლავიამ საერთოდ მონაწილეობა ვერ მიიღო - ქვეყანაში ომი ატყდა და იგი სერბეთად, ხორვატიად, ბოსნია-ჰერცეგოვინად, მაკედონიად და სლოვენიად დაიშალა - არადა, თეორიულად იუგოსლაველთა ნაკრები იმ წლების ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი გუნდი უნდა ყოფილიყო. მაშინ თამაშობდნენ: **დრაგან სტოიკოვიჩი, ზვონიმირ ბობანი, დეიან სავიჩევიჩი, დავორ შუკერი, დარკო პანჩევი, სინიშა მიხაილოვიჩი, რობერტ პროსინეჩკი და სრეჩკო კატანეცი**. შთამბეჭდავი სიის გაგრძელება კიდევ შეიძლებოდა.

## 3. შოტლანდია 1970

60-იანი წლების მიწურულსა და 70-იანის დასაწყისში შოტლანდიურმა ფეხბურთმა მთელ ევროპაში განსაკუთრებული სიმპათია მოიპოვა. 1967 წელს „სელტიკმა" ევროპის ჩემპიონთა თასი მოიგო, 1972-ში კი „გლეზგო რეინჯერსმა" თასების მფლობელთა თასი. შოტლანდიის ნაკრებსაც ორი ასეთი გიგანტის წყალობით მაღალი დონის ფეხბურთელები არ აკლდა. მაშინ თამაშობდნენ **ჯიმი ჯონსტონი** და **ჯონ გრეიგი**, რომელთაც ინგლისურ გუნდებში გადახვეწილი ვარსკვლავები, **დენის ლოუ** და **ბილი ბრემნერი** ემატებოდნენ, მაგრამ 1970 წლის ჩემპიონატის შესარჩევში სქოთებმა მძლავრ გფრ-ს ვერაფერი მოუხერხეს. ისინი ჰამბურგში, ისტორიაში კლასიკად შესულ შეხვედრაში, 3:2 დამარცხდნენ.

## 2. ჰოლანდია 2002

ჰოლანდიელებს მსოფლიო დონის ვარსკვლავები არც იმხანად აკლდათ. ზოგი მათგანი ჩამოვთვალოთ: **ედგარ დავიდსი, კლარენს ზეედორფი, რუუდ ვან ნისტელროი, მარკ ოვერმარსი, იააპ სტამი**... მწვრთნელადაც ჰოლანდიელებს არც მეტი, არც ნაკლები, **ლუის ვან გაალი** ჰყავდათ, მაგრამ ამ თანავარსკვლავედმა პორტუგალიისა და ირლანდიის შემდეგ შესარჩევ ჯგუფში მხოლოდ და მხოლოდ მესამე ადგილი მოიპოვა. გადამწყვეტი შეხვედრა ჰოლანდიელებმა დუბლინში 1:0 წააგეს.

## 1. საფრანგეთი 1994

ამ ათეულში პირველ ადგილზე საფრანგეთის ნაკრების 1993 წლის თავგადასავალს რომ დაწერდნენ, რად უნდოდა ლაპარაკი. ის, რაც **ჟერარ ულიეს** ხელმძღვანელობით „ლურჯებს" 17 ნოემბერს „პარკ დე პრენსზე" ბულგარელებთან შეხვედრაში გადახდათ, გულშემატკივარს არასდროს დაავიწყდება. ფრანგებს ბოლო ორ საშინაო შეხვედრაში ერთადერთი ქულა ჰყოფნიდათ, რათა 94-ში ჩემპიონატზე გამგზავრებულიყვნენ. მაგრამ ჯერ ისრაელთან დამარცხდნენ 2:3, შემდეგ კი, ბულგარელებთან 1:0-ს იგებდნენ, მაგრამ შეცვლაზე შესულმა **ემილ კოსტადინოვმა** მსაჯის დამატებულ წუთებში ორი გოლი გაუტანა... მაშინ საფრანგეთის ნაკრების ყველაზე გამორჩეული ფეხბურთელები იყვნენ **ერიკ კანტონა, დავიდ ჟინოლა, ჟან-პიერ პაპენი, დიდიე დეშამი** და **მარსელ დესაი**.

**ილია ბაბუნაშვილი**



რაიკაარდი, ვან ბასტენი და გულიტი. ევროპის ჩემპიონობის მოგებამდე მათ წარმატებას უწინასწარმეტყველებდნენ 1986 წლის მუნდიალზეც...



ფიგუ და რუი კოშტა. მათ თაობას პორტუგალიური ფეხბურთისთვის დიდი წარმატება უნდა მოეტანა

ეროვნული ბიბლიოთეკა



ოლიმპიზმი

ინტერვიუ გია ნაცვლიშვილთან

# საქართველო მარაქაში გარევას ცდილობს

ბოლო დღეებში მთელი მსოფლიოს სპორტული სამყაროს ყურადღება კოპენჰაგენისკენ იყო მიმართული, სადაც საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის კონგრესი ჩატარდა. მისი უმთავრესი საკითხი არჩევნები იყო - 2016 წლის ოლიმპიადის მასპინძელი ქალაქისა და სოკ-ის ახალი პრეზიდენტის. სწორედ ამიტომ, კონგრესმა არა მარტო მსოფლიოს სპორტული წრეების, არამედ პოლიტიკური ელიტის ყურადღებაც მიიპყრო - დანიის დედაქალაქში თავიანთი ქალაქების მხარდასაჭერად აშშ-ისა და ბრაზილიის პრეზიდენტები და ესპანეთის მეფე ჩავიდნენ. შეგახსენებთ, რომ ოლიმპიადის მასპინძლობა საბოლოოდ ეგზოტიკურმა რიო-დე-ჟანეირომ მოიპოვა, რომელიც ჩიკაგოს, მადრიდის და ტოკიოს ფონზე აუტსაიდერი ჩანდა, თუმცა პელეს ფაქტორმა ბევრი რამ გადაწყვიტა. რაც შეეხება ახალ საპრეზიდენტო არჩევნებს, ის ახალი პირობითად გამოდგა - მხოლოდ მოქმედი პრეზიდენტი, ბელგიელი ჟაკ როგე მონაწილეობდა და პოსტიც უპრობლემოდ შეინარჩუნა. ეს მისი ბოლო საპრეზიდენტო ვადაა, რომლის შემდეგაც პოსტს დატოვებს.

კონგრესზე საქართველოს დელეგაციამ ნაყოფიერად იმუშავა და ამის თაობაზე სეოკ-ის პრეზიდენტი გია ნაცვლიშვილი გვესაუბრება, რომელიც ამ უქმეებზე დაბრუნდა დანიიდან.

- კონგრესის უმთავრესი ამბავი 2016 წლის ოლიმპიადის მასპინძელი ქალაქის არჩევნები იყო და ამით დავიწყოთ... თავიდან რიო-დე-ჟანეიროს თითქოს არც ისე დიდი შანსი ჰქონდა...

- ეს არჩევნები შედარებით სუფთა იყო. როცა რუსები მონაწილეობენ, მაშინ დიდი სიბინძურეა, ახლა კი ასე არ ყოფილა.

სიმართლე გითხრათ, ოთხი წარმოდგენილი კანდიდატიდან პირადად მე ჩიკაგოს კანდიდატურას ვემხრობოდი, რადგან დახვეწილი პროექტი წარმოადგინეს. კოპენჰაგენში კანდიდატებს სოლიდური პერსონები მფარველობდნენ - აშშ-ის პრეზიდენტი ბარაკ ობამა, ესპანეთის მეფე ხუან კარლოსი, ბრაზილიის პრეზიდენტი ლულა და სილვა... სპორტი და, უპირველესად, ოლიმპიადები პოლიტიკის შემადგენელი ნაწილი გახდა. 15-20 წლის წინ პოლიტიკოსთა ასეთი დაინტერესება არ ყოფილა. გახსოვთ, ლონდონის კანდიდატურას როგორ უჭერდნენ მხარს ბრიტანეთის მაშინდელი პრემიერი ტონი ბლერი და მისი მეუღლე, რომლებიც ცალ-ცალკე მართავდნენ უამრავ შეხვედრას. არაფერს ვამბობ ვლადიმერ პუტინის საქციელზე, რომლის მსგავსიც ისტორიაში არ ყოფილა. არავინ იცის, რამდენი გადაიხადეს რუსებმა და ის ყველაზე ბინძური არჩევნები იყო. პრაქტიკულად, მინდორზე ატარებენ ოლიმპიადას. მაგალითად, ჩიკაგოს ბაზების 70 პროცენტი მზად აქვს და ლაპარაკი იყო მათ განახლებაზე და არა ახლის აშენებაზე. ამის მიუხედავად და კიდევ იმის ფონზე, რომ ამ კანდიდატურას ქვეყნის პრეზიდენტი უჭერდა მხარს, ჩიკაგო პირველივე ტურში გამოვარდა, რაც ძალიან ბევრისთვის სენსაცია იყო. საბოლოო წარმატებას თუ არა, ფინალში მის გასვლას ყველა ელოდა. ესეც ერთი ნიშანი იმისა, რომ შედარებით სუფთა არჩევნები იყო. თავს არ დავდებ, რომ კულისებში არანაირი მუშაობა არ მიმდინარეობდა, მაგრამ ისეთი არაფერი ყოფილა, საბოლოო შედეგზე არსებითი გავლენა მოეხდინა.

რაც შეეხება რიოს, პირადად მეც და ბევრი სხვაც აუტსაიდერად მივიჩნევდით, მაგრამ მას ერთი პლუსი ჰქონდა - სამხრეთ ამერიკაში ოლიმპიადა არასოდეს ჩატარებულა.

**- მაგრამ მაგ თამაშებამდე ორი წლით ადრე - 2014 წელს ბრაზილია ფეხბურთში მსოფლიოს ჩემპიონატს მასპინძლობს. ველოდით, რომ რიოს მინუსი სწორედ ეს იქნებოდა - ასეთ გამოუცდელ ქვეყანას დროის ესოდენ მოკლე მონაკვეთში ორი ამხელა ტურნირის მასპინძლობა ანდეს.**

- პირიქით - მათ ეს ფაქტორი გამოიყენეს კიდეც. მოგეხსენებათ, ბრაზილიელებმა ფეხბურთის მეფე პელეც ჩამოიყვანეს და ამტკიცებდნენ, რომ ეს სრულიად სხვადასხვა ტურნირია და პირიქით - ფეხბურთის მსოფლიოს ჩემპიონატი ოლიმპიადის რეპეტიცია იქნებაო. ორი ამხელა დონის ტურნირის ჩატარების ნაკლი საჭირო თანხების მოზიდვის რისკია, მაგრამ ეტყობა, შეძლებენ ამას, მთავრობამ ისეთი გარანტიები წარმოადგინა. ბრაზილია ძალიან სწრაფი ტემპით ვითარდება, რაც ორივემ ჩვენი თვალით ვნახეთ, როცა 2007 წელს რიოში ძიუდოისტთა მსოფლიოს პირველობას დავესწარით. სიმართლე გითხრათ, მაშინ მეგონა, რომ მხოლოდ ცენტრი იქნებოდა განვითარებული, მაგრამ გაოცებული დავრჩი მშენებლობის ტემპებით. ქალაქი ძალიან სწრაფად ვითარდება. ვფიქრობ, რიოს გამარჯვებაში გადამწყვეტი როლი ამანაც ითამაშა. თუმცა კადრებში ნახავდით, ბრაზილიის პრეზიდენტი როგორ ტიროდა, ვერაფრით გააჩერეს. რიოს გამარჯვება მათთვისაც მოულოდნელი იყო. ბოლო ტურში რომ გავიდნენ, უკვე დიდი შანსი ჰქონდათ, მაგრამ თავიდან ასე არ იყო. როცა წინ ტოკიო და ჩიკაგო გიდგას, ასეთი განვითარებული ქვეყნების სამრეწველო დედაქალაქები, რისი იმედი უნდა გქონდეს, მაგრამ რიომ ყველას აჯობა.



**- კულუარებში რითი ხსნიდნენ მათ წაგებას? თან არც მადრიდია ხელწამოსაკრავი.**

- მადრიდის და ესპანეთის შანსები მუდამ მაღალია, რადგან სოკ-ის ყოფილი პრეზიდენტი, ამჟამად კი საპატიო პრეზიდენტი, ესპანელი ხუან ანტონიო სამარანჩი სოკ-ში დღესაც ბევრ რამეს წყვეტს. ყველა გამოსვლა იწყებოდა ასეთი ფრაზით: „ბატონო პრეზიდენტო, ბატონო საპატიო პრეზიდენტო!" იქ ვინც მოვლენათა წარმმართველია, ყველა მისი დატოვებულია და ერთმა ისიც კი მითხრა, დილით ჯერ ჟაკ როგეს ვურეკავ დღის გეგმებზე, მერე - სამარანჩსო. რაც უნდა ვთქვათ, ოლიმპიზმის ამ დონეზე აყვანაში სამარანჩს უდიდესი ღვაწლი მიუძღვის. აქედან გამომდინარე, შედეგი სენსაციური იყო, მაგრამ რიოს გამარჯვება მაინც კარგი პრეცედენტი მგონია. ვფიქრობ, შეძლებენ თამაშების ღირსეულად მასპინძლობას. იქნებ, ლონდონის თამაშების დონის არ იყოს, მაგრამ კარგი ოლიმპიადა იქნება. თვითონ რიოც კარგი ქალაქია და ძალიან გულღია, სტუმართმოყვარე ხალხიც ცხოვრობს.

**- 2007 წელს რაც ერთად ვნახეთ რიოში, იქიდან გამომდინარე, გჯერათ, რომ ღირსეულად გაართმევენ თავს ამ თამაშების მასპინძლობას? ქალაქისთვის უდიდესი პრობლემა იქნება ტრანსპორტი და კრიმინალური ვითარება, რაც რიოში ნამდვილად არაა მოსაწონი.**

- სიმართლე გითხრათ, რიოში ყოფნისას რთული კრიმინალური ვითარება არ მიგრძვნია. ქალაქში ღამეც დავდიოდი, ბარ-რესტორნებშიც ვიყავი, მაგრამ მსგავსი საშიშროება ვერ ვიგრძენი. ბუნებრივია, კრიმინალი ყველგან ხდება და მსგავსი რამ ჩიკაგოში უცხოა. მე ეს საშიშროება ვერ ვიგრძენი. რიოში ძალიან მხიარული ხალხია, გულღია, ტაშფანდურის და გართობის მოყვარული. რამეს ჰკითხავდი და, ერთის მაგივრად ოცდაათ პასუხს გაგცემდნენ. როცა სოჭში ტარდება ოლიმპიადა, სადაც გარშემო ყოველდღე ბომბები ფეთქდება და რამდენიმე კაცი კვდება, გასაკვირი არაა, რიოს რომ მისცეს თამაშების ჩატარების ნება. ნამდვილად არ მგონია, რომ ბრაზილია რუსეთზე საშიში ქვეყანაა. გავითვალისწინოთ, რომ უსაფრთხოებაზე მხოლოდ მასპინძელი ქვეყანა არ ზრუნავს და ეს საყოველთაო ზრუნვის საგანია. ათენის ოლიმპიადას კოსმოსიდან აშშ აკვირდებოდა და ეს პრობლემა ერთობლივად გვარდება. მთავარია, რომ არჩევნები არ იყო ისეთი ბინძური და სკანდალური, რასაც, სამწუხაროდ, ბოლო ხანებში მივეჩვიეთ.

**- რიოს წარმოდგენილ ინფრასტრუქტურის მაკეტზე რას იტყვით, რა პრინციპით ჰქონდათ აგებული?**

- ძალიან საინტერესო პროექტი წარმოადგინეს. „მარაკანა" ერთ-ერთი ცენტრი იქნება, მაგრამ ახალ ბაზებსაც აშენებენ და რაც მთავარია - ძალიან თანამედროვე, ლამაზ, მოდერნისტულ არენებს. ცხადია, აშენებენ ოლიმპიურ სოფელს და ბაზებიც ძირითადად მის ირგვლივ იქნება განლაგებული, რაც საცობების და ქალაქში გადაადგილების პრობლემას მოხსნის. გასაგებია, რომ საწყლოსნო სახეობები, ჩვეულებრივ, ცოტა მოშორებით იქნება, მაგრამ ყველაფერი იმდენად კარგად ჰქონდათ წარმოდგენილი, კითხვებიც კი არ გაჩენილა. მაკეტის დონეზე ძალიან კარგად იყო და იმედია, ცხოვრებაშიც ბოლომდე განახორციელებენ, ცეკვა-სიმღერისადმი ცოტა გადამეტებულმა მიდრეკილებამ თუ არ შეუშალათ ხელი. მაგრამ კონტინენტზე ეს პირველად ტარდება და, ალბათ, განსაკუთრებულად მოინდომებენ. ბრაზილიელებს ევროპული პროფესიონალიზმი აკლიათ, თუმცა მსგავს საკითხებში მასპინძლებს ყოველთვის ეხმარებიან და მაინც მგონია, კარგი თამაშები იქნება.

**- ემოციური ბრაზილიელების რეაქციაც საინტერესოა, როცა რიო გამარჯვებულად გამოაცხადეს.**

- სიხარულისგან ცაში დაფრინავდნენ. პელეს ფაქტორმა გაამართლა - მე თუ მკითხავთ, მან მოუგო ობამას. მოგეხსენებათ, არჩევნების შემდეგ კონგრესი ისევ გაგრძელდა სხვა პრობლემების განსახილველად და პირველი საკითხი ოლიმპიური თამაშების ავტონომია ანუ მთავრობების ჩაურევლობა იყო. ამაზე მსჯელობა მთელი დღე გაგრძელდა. რიოს არჩევაც ამის დადასტურება იყო - ვინც უნდა ჩამოვიდეს, ჩვენ ვირჩევთ იმას, ვინც გვინდა. ჩიკაგოს გამოვარდნის ერთ-ერთ ფაქტორად ეს მომენტი მიმაჩნია. ხაზგასმით ითქვა, რომ სახელმწიფოსთან თანამშრომლობა კარგია და აუცილებელი, მაგრამ არ უნდა დავუშვათ ჩარევა.

**- კონგრესზე ჩვენთვის საინტერესო სხვა საკითხები თუ განიხილეს?**

- ეს კონგრესი ჩვენთვის მნიშვნელოვანი იქ გამართული შეხვედრებით იყო. უახლოეს წლებში გარკვეულ სერიოზულ ღონისძიებებს ვგეგმავთ და მათი მხარდაჭერა ძალზე მნიშვნელოვანია. წლეულს აღვნიშნავთ საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის დაარსების 20 წლისთავს, რომელიც გახანგრძლივებული ღონისძიება იქნება და არა ერთჯერადი. ამ ფარგლებში უკვე ჩავატარეთ ჩოგბურთის ტურნირი, თვის ბოლოს კი საგარეჯოში, სოფელ ბადიაურში ნახერხიან არენაზე ქართული ჭიდაობის ფესტივალი გაიმართება. ეს იქნება რამდენიმე ათას მაყურებელზე გათვლილი დიდი შოუ. 20 წლისთავისადმი მიძღვნილ ღონისძიებებზე დასასწრებად ცოტა მოგვიანებით ევროპის ოლიმპიურ კომიტეტთა პრეზიდენტი პატრიკ ჰიკი ჩამოვა. მოგეხსენებათ, ის პარალელურად ირლანდიის ეოკ-საც ხელმძღვანელობს და მათთან ძალიან კარგი ურთიერთობა გვაქვს - ცოტა ხნის წინ ხელშეკრულებაც გავაფორმეთ. ჩვენთვის ჰიკი სერიოზული ძალაა და მისი მხარდაჭერა ძალზე მნიშვნელოვანია ევროპის ახალგაზრდობის ოლიმპიური ფესტივალისთვის ბრძოლაში, სადაც კონკურენციას ჩეხური ბრნო გვიწევს. მანამდე ირლანდიის ეოკ-ის გენერალური მდივანი ჩამოდის, რომელიც ბაზების საკითხში ექსპერტია და შესამოწმებლად ჩამოვა. ამ ფესტივალის ფარგლებში დავიწყეთ მუშაობა ცალკეულ ქვეყნებთან და საერთაშორისო ფედერაციებთან, რადგან აქ კენჭისყრაში ყველა მონაწილეობს და ხმათა უმრავლესობაა საჭირო. დაახლოებით აპრილ-მაისში ჩამოვლენ სამარანჩი და ფიფას ყოფილი პრეზიდენტი, ამჟამად სოკ-ის წევრი ჟოაო აველანჟი. იქნებ ვინმემ თქვას, რაღა დროს ეგენიაო, მაგრამ მათ სოკ-ში დღესაც ძალზე ბევრი ეთქმით. აველანჟი 94 წლისაა, მაგრამ ასაკი აქტიურ საქმიანობაში ხელს არ უშლის. მან ძალზე თბილად გაიხსენა საქართველოში თავისი სტუმრობა, ჩვენ კი მაშინდელი ფოტოები გადავეცით. ის დეკემბერში მოვიწვიეთ, მაგრამ თვითონ გვთხოვა, ბრაზილიელი ვარ და იქნებ წელიწადის ცოტა თბილ დროს ჩამოვიდეო. ამიტომ გადაიდო მისი სტუმრობა მაისისთვის, რაზეც უპრობლემოდ დავეთანხმეთ. ჩვენთვის მთავარია, ჩამოვიდეს და კონკრეტულ დროს მნიშვნელობა არა აქვს. ნოემბერში ველოდებით კრივის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტს, ტაივანელ ვუს - ამ სახეობაში მსაჯთა ფაქტორი დიდია და მათი კეთილგანწყობა ძალზე გვჭირდება. ასევე ჩამოვლენ ძიუდოს და ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციების პრეზიდენტები. გვესტუმრება აწ უკვე ჩემი კოლეგა სერბეთიდან, ახლო წარსულის ძალზე ცნობილი კალათბურთელი ვლადე დივაცი, რომლის დიდი პოპულარობა იქაც თვალნათლივ იგრძნობოდა. თან დივაცი სპორტის ჩინოვნიკებში ის იშვიათი გამონაკლისია, რომლებიც წარსულში ცნობილი სპორტსმენები იყვნენ. საერთაშორისო სტრუქტურებში არსებობს გარკვეული დაყოფა. მაგალითად, ესპანურენოვანი ქვეყნები, პატარა სახელმწიფოები, იგივე ბალკანური სახელმწიფოები, რომლებსაც, ომის მიუხედავად, ერთმანეთში მაინც მჭიდრო კონტაქტები აქვთ. ამის გათვალისწინებით ჩვენც ასე ზონური დაყოფით ვიმუშავეთ. მაგალითად, სან მარინოს, ანდორას და ამ ტიპის პატარა ქვეყნებს ერთად შევხვდით. იმავე სან მარინომ, რომელიც ასევე გვესტუმრება, საინტერესო წინადადება შემოგვთავაზა სასტენდო სროლაში - სპორტის ამ სახეობის განვითარება სურს და ჩვენი სპორტსმენების იქ ჩასვლა შემოგვთავაზა. საპასუხოდ ჩვენ ძიუდოისტების აქ სავარჯიშოდ ჩამოყვანა შევთავაზეთ. არ დაგიმალავთ და, რუსებსაც შევხვდი, რომლებიც სოჭის გამო ძალზე აგრესიულად არიან განწყობილები, თუმცა ისინი რამდენიმე ხმას აკონტროლებენ. მაგალითად, ბელარუსს, უკრაინას, რომელთანაც არა აქვთ პოლიტიკურად კარგი ურთიერთობა, მაგრამ სერგეი ბუბკა მაინც რუსული სკოლის აღზრდილია. ჩვენ მათი გაკონტროლებული ქვეყნების გარეშეც გვეიმედება წარმატებისა, მაგრამ შანსი გამოვიყენეთ. სხვათა შორის, ბადიაურის ტურნირზე ახლო წარსულის ძალიან ბევრი რუსი მოჭიდავეა მოწვეული, მათი უმეტესობა კი ჩრდილო კავკასიიდანაა - ოსები, ჩეჩნები, ინგუშები, დაღესტნელები. ვიმედოვნებთ, იქაური ოლიმპიური კომიტეტი დართავს ჩამოსვლის ნებას. თან, იქ მოჭიდავეები ავტორიტეტები არიან და ხელისუფლებაში დიდი გავლენა აქვთ. გვინდა, ამ ხალხს ვაგრძნობინოთ, რომ მეზობლები ვართ და არა მტრები.

ირაკლი თავაძე

ძალოსნობა

## ზვიადი, თემური და ალუდა

საქართველოს ძალოსანთა ახალგაზრდული ნაკრები პოლონეთის ქალაქ ვლადისლავოვოში გაემგზავრა 13-17 ოქტომბერს 23-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატზე საასპარეზოდ. ევროპირველობაზე, რომელსაც ვლადისლავოვოს ოლიმპიური ცენტრი უმასპინძლებს 27 ქვეყნის 200-მდე ძალოსანი ცდის ძალებს.

ჩემპიონ-პრიზიორები ქალთა და ვაჟთა შორის გამოვლინდებიან. ბიჭები საუკეთესოებს რვა წონით კატეგორიაში გაარკვევენ. ახალგაზრდული ნაკრების მთავარი მწვრთნელის **ზურაბ ანთაურის** განკარგულებაში სამი ძალოსანი იქნება - დედოფლისწყაროელი **ზვიად სამუკაშვილი** (56კგ), ზუგდიდელი **თემურ ჩხეიძე** (85კგ) და ქუთაისელი **ალუდა მანაგაძე** (94კგ).

ნაკრებთან ერთად პოლონეთში გაემგზავრა ოლიმპიური ჩემპიონი, ძალოსნობის ეროვნული ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი **გიორგი ასანიძე.**

სამბო

## გზა ქართუ ბანკმა დაულოცა

ბულგარეთის დედაქალაქი 15-19 ოქტომბერს ახალგაზრდა და ჭაბუკ სამბისტთა მსოფლიოს ჩემპიონატს უმასპინძლებს. საქართველოს ორივე ნაკრები სოფიაში დღეს გაემგზავრება. წინასაჩემპიონატო ორკვირიანი შეკრება ჩვენმა სამბისტებმა თბილისში, დიღუბის მანეჟში გაიარეს. ნაკრების გამგზავრების ხარჯები

"ქართუ ბანკმა " გაიღო. სოფიაში 28 ქვეყნის წარმომადგენლები იასპარეზებენ.

გაგაცნობთ საქართველოს გუნდების შემადგენლობას.

**ჭაბუკთა ნაკრები**

**გივი ნადირაშვილი** (48კგ, ფოთი)
**ბექა დიაკონიძე** (52კგ, ვანი)
**გენადი ჩილგაძე** (56კგ, ქუთაისი)
**გიორგი ვარძელაშვილი** (60კგ, გორი)
**ბექა ტულუში** (65კგ, ფოთი)
**ბერდია აბაშვილი** (70კგ, მცხეთა)
**იაგო მესტვირიშვილი** (81კგ, საგარეჯო)
**გიორგი ნოზაძე** (87კგ, ხაშური)
**სლავა რეზესიძე** (+87კგ, დმანისი)
*მთავარი მწვრთნელი:*
*ბადრი ჯანიაშვილი.*

**ახალგაზრდული ნაკრები**

**გიორგი გეჯაძე** (48კგ, კასპი)
**ვაჟა ლატარია** (52 კგ, ფოთი)
**ბექა ბუცხრიკიძე** (57 კგ, ფოთი)
**ზვიად ოდოშაშვილი** (62კგ, კასპი)
**ლევან ნახუცრიშვილი** (68კგ, თბილისი)
**ნოდარ კუნდუხაშვილი** (82კ, გორი)
**ლაშა გურული** (90კგ, ქუთაისი)
გიორგი გოლოთაშვილი (100კგ, გორი)
მირიან გინჯელაშვილი (+100კგ, ახმეტა)
*მთავარი მწვრთნელი:*
*ემილ რაში*

### სპორტული ფედერაციების, ორგანიზაციების და კლუბების საყურადღებოდ!

„ლელო" ქართული სპორტის მემატიანეა, მაგრამ თქვენ ამიერიდან შესაძლებლობა გეძლევათ, სპეციალური გვერდების მომზადებით, მომავალს უფრო ვრცლად შემოუნახოთ თქვენი საქმიანობის დღევანდელობა და წინსვლა, ქართული სპორტის განვითარებაში შეტანილი წვლილი.

დაწვრილებითი ცნობებისთვის ისარგებლეთ ჩვენი გაზეთის მე-2 გვერდზე საცნობარო ბლოკში მითითებული კავშირის ნებისმიერი საშუალებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭიდაობა ჩვენი, ქართული...



# შემდეგი გაჩერება ბადიაური

## კახეთი საქართველოს მხარეთა ეროვნულ ჩემპიონატს უმასპინძლებს

მთაგორიანი ლამაზი სოფელია გალავანი (მცხეთის რაიონი), მშრომელი მოსახლეობით, ისტორიული წარსულითა და სპორტული ტრადიციებით ცნობილი. განსაკუთრებით მოჭიდავეებით ამაყობენ აქაურები. აბა, ვის არ სმენია ძმების — **აბესალომ და არჩილ ნიკლაურების** ვაჟკაცობის ამბავი. სამბოში საბჭოთა კავშირის პრიზიორმა აბესალომ ნიკლაურმა საქართველოს ფალავნობა მოიპოვა ქართულ ჭიდაობაში. არადა, მისი წონა 75 კილოს არ აღემატებოდა, 45 წლისამ ინგლისის ჩემპიონობასაც გამოჰკრა ხელი სამბოში, მერე მწვრთნელობა დაიწყო და სპორტის ამ სახეობაში ორი თანასოფლელი აღზარდა — **არჩილ ჩოხელი** და **ჯონდო მუზაშვილი**, რომლებმაც მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონობა მოიპოვეს, თანაც არაერთხელ, რომ არაფერი ვთქვათ საერთაშორისო სარბიელზე მოხვეჭილ ვერცხლსა და ბრინჯაოზე.

ძიუდოში საქართველოს მრავალგზის ჩემპიონმა არჩილ ნიკლაურმა კი თითოჯერ თბილისის საერთაშორისო ტურნირი და საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალების პირველობა მოიგო... ნაადრევად გამოაკლდა ოჯახს. სოფლის ვეტერან მოჭიდავეთა ინიციატივითა და მცხეთა-მთიანეთის სამხარეო ადმინისტრაციის ხელმძღვანელობის, მცხეთის გამგეობის (გამგებელი **თემურ აბაშიძე**) მხარდაჭერით გალავანში არჩილ ნიკლაურის ხსოვნის ტურნირი (ორგანიზატორი **ვახტანგ ჩანადირი**) გაიმართა, რომელშიც ახლომდებარე რაიონებისა და სოფლების ფალავნებმაც იასპარეზეს. შეჯიბრებაში მოზარდებიც ჩაებნენ. განსაკუთრებით ისახელა თავი 12 წლის ნავდარაანთკარელმა **გიგი ჩანადირმა**, რომელმაც ეფექტური ჭიდაობისთვის პრიზად ყოჩიც კი დაიმსახურა. უფროსებში ელვისებური ფანდებით მოხიბლეს ქომაგები **გიორგი ცოციაშვილმა, ზაქრო მუმლაურმა, გიორგი ბიჩელაშვილმა, ბიძინა გოგოჭურმა.** ქართული ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტმა **უშანგი ყურაშვილმა** ტურნირის საუკეთესო მოჭიდავის სპეციალური პრიზით დააჯილდოვა თავდაცვის სამინისტროს სპეცდანიშნულების ბრიგადის წევრი, ქარელელი **მამუკა მაზმიშვილი**, რომელმაც სამი კვირის წინათ საქართველოს შეიარაღებული ძალების პირველობა მოიგო ქართულ ჭიდაობაში, ხოლო გაზაფხულზე მსგავს წარმატებას ძიუდოში მიაღწია.

— რომ გავიგე, გალავანში შეჯიბრება ტარდებოდა, შინ რა გამაჩერებდა, — მითხრა ასპარეზობის შემდეგ მამუკამ. — მეგობრებთან ერთად ჩამოვედი. წლეულს ნამდვილად აღფრთოვანებული ვარ: ქართულ ჭიდაობაში ამდენი შეჯიბრება არასდროს გამართულა. ბიჭებსაც ეტყობათ, რომ კვირიდან კვირამდე იმაღლებენ ოსტატობას. სულ უფრო ძნელი ხდება კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ასვლა. დარწმუნებული ვარ, ყველაფერი ეს საქართველოში საერთოდ ჭიდაობის განვითარებაზე დადებითად იმოქმედებს.

— ნურავის ეწყინება და, წლეულს ქართულ ჭიდაობაში მართლაც იმდენი შეჯიბრება ჩატარდა საქართველოში, სპორტის სხვა სახეობებს ერთად აღებულს რომ არ გაუმართავთ. — ჩაერია საუბარში ასპარეზობის მთავარი მსაჯი, კახეთის რეგიონის ქართული ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტი **გიორგი სპანდერაშვილი.** — უწინ მხოლოდ უქმეებზე თუ ვაწყობდით ღონისძიებებს, ახლა სხვა დღეებშიც ლამის არის სათვალავი აგვერიოს. რაც მთავარია, ტურნირები მონაწილეთა და ქომაგთა სიმრავლით გამოირჩევა, ტიტულოვანი სპორტსმენებიც აქტიურად ერთვებიან საპრიზო ადგილებისთვის ბრძოლაში. აი, ახლაც 26 ოქტომბერს სეოკ-ის შექმნის 20 წლისთავთან დაკავშირებით ბადიაურში (საგარეჯო) გრანდიოზული შეჯიბრებაა დანიშნული 20 ათასი ლარის საპრიზო ფონდით. ამჯერად ქართულ ჭიდაობაში მხარეებს შორის საქართველოს გუნდური ჩემპიონატი გაიმართება, წლევანდელ სეზონს კი თბილისის სპორტის სასახლეში ფალავნობა დააგვირგვინებს. პირველობისთვის იქ უცხოელი მოჭიდავეებიც იასპარეზებენ. საპრიზოდ 50 ათასი ლარია გამოყოფილი. ყველაფერი ეს ქართული ჭიდაობის ამჟამინდელი ფედერაციისა და მისი თავკაცის უშანგი ყურაშვილის დამსახურებაა, ასევე, იმ დიდი თანადგომის შედეგი, რასაც ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი, სპორტის დეპარტამენტი და რაიონული გამგეობები გვიწევენ...

ახლა კი გალავანში გამართული ტურნირის გამარჯვებულთა და პრიზიორთა ვინაობას გაგაცნობთ:

30 კგ. 1. **გიგი ჩანადირი**, 2. **ვანო ნავდარაშვილი**, 3. **საბა კაპანაძე** (სამივე — გალავანი).

35 კგ. 1. **თორნიკე ნაგლიაშვილი** (მცხეთა), 2. **დიტო კობაური** (დუშეთი), 3. **ლაშა ცქიტიშვილი** (ქსოვრისი).

40 კგ. 1. **გიორგი თანდაშვილი** (დუშეთი), 2. **გიორგი ინაშვილი**, 3. **გიგა ბედოშვილი** (ორივე — გალავანი).

45 კგ. 1. **ლევან ბერბერაშვილი** (თიანეთი), 2. **გოჩა ოქრუაშვილი**. 3. **ზურაბ თათარაშვილი** (ორივე — წილკანი).

50 კგ. 1. **ლაშა ჩანადირი** (გალავანი), 2. **გიორგი ლაბაური** (ქსოვრისი), 3. **გიორგი ჭინჭარაული** (დუშეთი).

55 კგ. 1. **ჯუმბერ ჩიხიშვილი** (წეროვანი), 2. **თამაზ ჯახაშვილი** (ძალისი), 3. **თორნიკე ბორძიკული** (გალავანი).

60 კგ. 1. **შმაგი ყაჭიური**, 2. **ბიძინა გოგოჭური** (ორივე — დუშეთი), 3. **სოსო იარაჯული** (თიანეთი).

65 კგ. 1. **თემურ ოქრუაშვილი** (წილკანი), 2. **თორნიკე მამულაშვილი**, 3. **ალეკო ქავთარაძე** (ორივე — დუშეთი).

70 კგ. 1. **მამუკა მაზმიშვილი** (ქარელი), 2. **იმედა სააკაშვილი**, 3. **გიორგი მახარაშვილი** (ორივე — ქსოვრისი).

80 კგ. 1. **გიორგი ბიჩელაშვილი** (თიანეთი), 2. **ზაქრო მუმლაური** (დუშეთი), 3. **დავით ოსიშვილი** (წილკანი).

**აბსოლუტური.** 1. **გიორგი ცოციაშვილი** (წილკანი), 2. **ვასილ მილდისაშვილი**, 3. **ზაქრო მუმლაური** (ორივე — დუშეთი).

პირველ-მესამე ადგილებზე გასული მოჭიდავეები მცხეთა-მთიანეთის მხარეში პრეზიდენტის რწმუნებულის პირველმა მოადგილემ **გივი ამირხანაშვილმა**, ამავე რეგიონის ძიუდოს ფედერაციის პრეზიდენტმა **თემურ ცოფურაშვილმა** და **უშანგი ყურაშვილმა** დააჯილდოვეს.

**ვაჟა დანელია**

ავტორის ფოტო

რაგბი

ინტერვიუ ლევან მაისაშვილთან

# პროფესიონალიზმი ქცევის ნორმაა

## თანამედროვე რაგბი ტექნიკური და ფიზიკური პოტენციალის სინთეზია

**„ლელომ" საქართველოს ჩემპიონატი უდანაკარგოდ, ასპროცენტიანი შედეგით დაასრულა და ჩემპიონის ტიტული დამსახურებულად ირგუნა, თუმცა სეზონი ჯერ არ დამთავრებულა, წინ საქართველოს თასის გათამაშების ნახევარფინალია. მიუხედავად ამისა, გარკვეული დასკვნებისა და შეფასებების გაკეთება განვლილი ბატალიების თაობაზე უკვე შესაძლებელია. საამისოდ „ლელოს" მთავარ მწვრთნელს ლევან მაისაშვილს ვესაუბრეთ, რომელიც საქართველოს ცხრამეტწლამდელთა ნაკრების მწვრთნელიცაა.**

- განვლილ ჩემპიონატში გუნდის თამაშს, ცხადია, დადებითად ვაფასებ. სეზონის დაწყების წინ რა მიზანიც დავისახეთ, მეტი წილი უკვე შევასრულეთ. ჩემპიონის ტიტული მოვიპოვეთ. დარჩა საქართველოს თასი, რომელიც ასევე აუცილებლად უნდა მოვიგოთ და დუბლი შევასრულოთ.

„ლელო" ჩემპიონი პირველად 2004 წელს გახდა, მას შემდეგ პირველად შევძელით, ბოლომდე შეგვენარჩუნებინა იმ მოთამაშეთა 80 პროცენტი, ვინც სეზონი დაიწყო. შევიმუშავეთ მოქმედების გეგმა და დავიწყეთ მისი მიზანმიმართულად რეალიზება. შეცდომები და ხარვეზები, რა თქმა უნდა იყო. მათ სამომავლოდ აუცილებლად გავითვალისწინებთ, გამოვასწორებთ და იმედი მაქვს, რომ წინ წავალთ.

**- ხომ ვერ დაგვიკონკრეტებდით, ხარვეზებსა და შეცდომებში რას გულისხმობთ, რა აქვს გუნდს კიდევ გასაუმჯობესებელი?**

- უფრო მეტი მუშაობა გვმართებს ფიზიკურ კონდიციებსა და ტექნიკაზე. მოთამაშეებს უნდა ვასწავლოთ სწორი გადაწყვეტილებების მიღება ამა თუ იმ სათამაშო სიტუაციაში, რაც, ზოგადად, გამოცდილებასთან ერთად მოდის. მერე ასამაღლებელია მორაგბეთა პროფესიონალიზმი. ბევრს ჰგონია, პროფესიონალი იმიტომაა, ხელაფასს რომ იღებს. ყველამ უნდა შეიგნოს, რომ პროფესიონალიზმი ქცევის ნორმაა არა მარტო მოედანზე თამაშისას, არამედ მის მიღმაც.

ანაზღაურებას რომ იღებ, შესაბამისი პასუხისმგებლობის ტვირთიც უნდა ატარო. გუნდში სამომავლოდ იმ მოთამაშეებს დავეყრდნობით, ვინც ამას გაითავისებს და პროფესიონალის ყველა ნორმის შესაბამისად მოიქცევა.

**- წლეულს „ლელოს" საკმაოდ გრძელი სკამი ჰქონდა. მოთამაშეთა უმრავლესობას თამაშმა თითქმის არ მოუწია.**

- წლეულს გუნდში დიდი კონკურენცია იყო. შარშან ასე არ ყოფილა. განაცხადში 35 მორაგბე გვყავდა, პლუს დუბლშემადგენლობა, საიდანაც ასევე შეგვეძლო, პერსპექტიული მოთამაშეები ძირითად გუნდში გამოგვეყენებინა. თავად განსაჯეთ, ბევრი ისეთი მორაგბე, რომელიც 2004 წელს საჩემპიონო გუნდის ძირითად შემადგენლობაში იყო, ამჯერად სათადარიგოთა შორის აღმოჩნდა. ბევრმა სრულად ვერ გაითავისა, რა იყო მისი საკეთებელი. იმედი მაქვს, მომავალი სეზონისთვის თავიანთ დამოკიდებულებას გადახედავენ და მოუმატებენ. არადა, მათ ადგილზე სხვები მოვლენ.

**- მომავალ წელს კონკურენცია ალბათ უფრო გაიზრდება. აგერ, ჭაბუკთა A ლიგაში თქვენი გუნდი ფინალშია და იქიდანაც სერიოზულ შევსებას ელით.**

- A ლიგაში ძალიან პერსპექტიული ბიჭები გვყავს, მაგრამ ყველანაირად ვეცდები, რომ ძირითად გუნდში არ ითამაშონ. ცხადია, თუ ისეთი ნიჭიერები იქნებიან, როგორიც უჩა მჭედლიშვილია, გზას ვერ გადაუღობავ. დანარჩენები კი დუბლების, ანუ ესპუართა გუნდში ითამაშებენ. მიზეზი ისაა, რომ ასაკით ჯერ კიდევ პატარები არიან და არ შეიძლება უმალვე უმაღლესი ლიგის ბრძოლებში მათი ჩართვა. ისინი ესპუარებში უფრო გამოიწრთობიან. ამ გუნდის არსებობაც ხომ ძირითადად ამას ემსახურება.

**- თუ შეიძლება, გააანალიზეთ გუნდის ცალკეული რგოლების, უფრო ზუსტად, შერკინებისა და უკანა ხაზის თამაში წლევანდელ სეზონში.**

- შერკინება წლეულს შარშანდელზე უკეთ გამოიყურებოდა, თუმცა სტაბილურობა მაინც აკლდა. იყო თამაშები, სადაც მორკინალებმა კარგად გაართვეს თავი როგორც დინამიკაში, ისე შეჯგუფებაში თამაშს, მაგრამ იყო ისეთებიც, მაგალითად, ფინალში „ბათუმი XV"-ის წინააღმდეგ, სადაც გარკვეულ კომპონენტებში დავთმეთ.

რაც შეეხება უკანა ხაზს, აქ სასურველია, მოთამაშეებს უფრო კარგი ფიზიკური კონდიციები ჰქონდეთ. გასაუმჯობესებელია ხელდახელ თამაშის ტექნიკა. ჩემი უკანახაზელებისგან გაცილებით მეტს ვითხოვ და მათ ეს შეუძლიათ კიდეც. ფაქტობრივად, შესაძლებლობის 50 პროცენტს ვიყენებთ.

თამაშში მეტი თავდაჯერებულობა გვმართებს, რაც, წესით, კარგ ფიზიკურ მზადყოფნას ახლავს. თანამედროვე რაგბი ისეთია, რომ ტექნიკური და ძალისმიერი პოტენციალი ჰარმონიულად უნდა იყოს შერწყმული. ვცდილობთ, ამას მივაღწიოთ და მომავალი გვიჩვენებს, რა გამოვა.

**- ხომ არ არის უკვე ცნობილი, სეზონის დასრულების შემდეგ ვინ აპირებს გუნდის დატოვებას და პირიქით, ვინმე ახალს ხომ არ იმატებთ?**

- ეს თემა ჯერ დღის წესრიგში არ დგას. გაიხსნება სატრანსფერო ფანჯარა და თუ ვინმეს კარგ უცხოურ კლუბში გადასვლის შანსი გამოუჩნდება, დავსხდებით, დეტალურად ავწონ-დავწონით და ყველანაირი სატრანსფერო კანონის დაცვით ვიმოქმედებთ. თუ მსურველი კლუბი პირობებს დააკმაყოფილებს, პრობლემა არავის შეექმნება.

ამის მერე, უკვე სეზონის წინ, შესაძლოა, თავად დაგვჭირდეს სასელექციო სამუშაოს ჩატარება. უნდა ვნახოთ, რომელ პოზიციებზე გვექნება აქცენტი გასაკეთებელი. ახლაც კი, როცა გუნდი ჩემპიონია და დიდი კონკურენციაა, არის რამდენიმე სათამაშო ამპლუა, სადაც უკეთესი დონის მოთამაშეების ყოლაა სასურველი. ერთი სიტყვით, გუნდი საბოლოოდ რომ დაბალანსდეს, კიდევ ხუთი-ექვსი მორაგბეა საჭირო. გამორიცხული არაა, ვინმე დუბლებიდან დავიმატოთ, ანდა სულაც სხვა კლუბიდან მოვიწვიოთ.

**- თქვენ საქართველოს ცხრამეტწლამდელთა ნაკრების მწვრთნელიც ბრძანდებით. უმცროსი ბორჯღალოსნები მალე პორტუგალიაში ევროპის ჩემპიონატზე იასპარეზებენ. როგორ მიმდინარეობს ამ ტურნირისთვის მზადება?**

- ცხრამეტწლამდელთა ნაკრები ხვალ საფრანგეთში, საკურორტო ქალაქ კანში გაემგზავრება, სადაც ათდღიან საწვრთნელ შეკრებას გამართავს. უნდა აღინიშნოს, რომ მზადების პროცესში საკმაოდ იყო პრობლემები.




გაზაფხულზე სასელექციო სამუშაოები ჩავატარეთ. შევარჩიეთ მორაგბეები, რომლებიც ზაფხულში ბაკურიანში წავიყვანეთ საწვრთნელ შეკრებაზე, სადაც ფიზიკურად ვამზადებდით. მერე ისინი თავიანთ გუნდებს დაუბრუნდნენ, სადაც, იმედი გვაქვს, ამ მიმართულებით ვარჯიშს განაგრძობდნენ. თითოეულ მათგანს ინდივიდუალური დავალებები მივეცით.

ისე გამოვიდა, რომ ერთად გუნდი ვერაფრით შევკრიბეთ. ზოგი უმაღლეს ლიგაში თამაშობდა, ზოგიც ჭაბუკთა ლიგაში, სამი სულაც ლეგიონერია. ერთი სიტყვით, გუნდის თამაშის ტაქტიკა და მონახაზი კანში გასამართ შეკრებაზე უნდა დავამუშაოთ. იქ ორი საწვრთნელი შეხვედრაც უნდა გაგვემართა, მაგრამ ბოლო ინფორმაციით მხოლოდ ერთის თამაში მოგვიწევს ტულონელ თანატოლებთან. ვეცდებით, ეს მოკლე დრო მაქსიმალურად გამოვიყენოთ, რადგან ევროპის ჩემპიონატზე შეცდომის დაშვების უფლება აღარ გვექნება.

**ბესიკ ჯანგავაძე**

### განცხადება

დღეს, 13 საათზე, საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტში ძიუდოს ფედერაცია მართავს პრესკონფერენციას.

### განცხადება

30-წლიანი გამოცდილების სამკურნალო ფიზკულტურის მეთოდისტი **ზურაბ ჯავაშვილი** გთავაზობთ სამკურნალო ფიზკულტურისა და რეაბილიტაციის პროცედურებს შემდეგი მძიმე დაავადებების სამკურნალოდ:

1. ტრავმული ჰემიპარეზი;
2. სისხლის მიმოქცევის მოშლით გამოწვეული კიდურების დამბლა;
3. ავტოკატასტროფის დროს ტრავმების შედეგად სხეულის ატროფია;
4. მოტეხილობის შემდგომი კონტრაქტურები.

მაღალი შედეგისა და, უმეტეს შემთხვევაში საბოლოო განკურნებისათვის სასურველია მკურნალობის დაწყება შემთხვევიდან არა უგვიანეს 6 თვისა.

საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია მკურნალობა ბინაზე მისვლითაც.

მიღება წინასწარი ჩაწერით.

მისამართი: დ. ჭიჭინაძის №11

ტელეფონი: 66-39-09; 871- 20-05-21

ქართული სპორტის ყოველდღიური სიახლეები

სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის ვებგვერდზე:

www.sport.gov.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა



კალათბურთი

*დუდუ დადიანის მე-8 მემორიალი*

# ქართული სეზონი რუსთავში გაიხსნება

გუშინ კალათბურთის ფედერაციაში დუდუ დადიანის მემორიალის წილისყრა გაიმართა. რვა გუნდი ორ ჯგუფად განაწილდა. ჯგუფური ეტაპი 17 ოქტომბერს დასრულდება, 19-ში კი ჯგუფების პირველადგილოსნები ერთმანეთს ფინალში დაუპირისპირდებიან.

დღეს, 14 საათზე, ამ მოვლენასთან დაკავშირებით კაფე "მსოფლიო სპორტში" პრესკონფერენცია გაიმართება, მანამდე კი შეგიძლიათ, მემორიალის კალენდარს გაეცნოთ.

A ჯგუფი: სსაუ, თსუ, მაქაბი, ჭიათურა

B ჯგუფი: რუსთავი, დინამო, შსს, სოხუმი



**კალენდარი**

15 ოქტომბერი: 12:00 თსუ–მაკაბი, 14:00 სსაუ–ჭიათურა, 16:00 დინამო–შსს, 18:00 რუსთავი–სოხუმი

16 ოქტომბერი: 12:00 სსაუ–მაქაბი, 14:00 თსუ–ჭიათურა, 16:00 დინამო–სოხუმი, 18:00 რუსთავი–შსს.

17 ოქტომბერი: 12:00 ჭიათურა–მაქაბი, 14:00 სსაუ–თსუ, 16:00 სოხუმი–შსს, 18:00 რუსთავი–დინამო

19 ოქტომბერი: 16:00 ფინალი (A და B ჯგუფების გამარჯვებულები)

**დუდუ დადიანის მემორიალის ყველა ფინალი**

| | | |
|---|---|---|
| 2002 | დინამო-თსუ | 95:63 |
| 2003 | სტუ-დინამო | 87:76 |
| 2004 | სტუ-დინამო | 111:102 |
| 2005 | ავიამშენი-თსუ | 88:77 |
| 2006 | ენერჯი-ავიამშენი | 85:69 |
| 2007 | ენერჯი-ვითა | 88:66 |
| 2008 | ენერჯი-სასუ | 101:73 |

**ვაჟა სიმონიშვილი**

*ქართველი NBA-ში*

# ატლანტა: -9, ფაჩულია: +9,



ზაზა ფაჩულია (№27)

**ზაზა ფაჩულიას** "ატლანტამ" მეორე საგამოფენო მატჩი ჩაატარა, "დეტროიტს" ესტუმრა და ცხრაქულიანი სხვაობით დამარცხდა - 91:100.

მესამე პერიოდის ბოლოს "დეტროიტის" სასარგებლოდ სხვაობა 6 ქულას შეადგენდა, თუმცა ამ პერიოდის უკანასკნელ წამზე **ბენ გორდონმა** სამქულიანი ჩააგდო, მეოთხე პერიოდის დასაწყისში შევიდი **იონას იერებკოს** ორქულიანისა და იმავე გორდონის სამიანის შემდეგ სხვაობა 14 ქულამდე გაიზარდა და გამარჯვებულის ბედიც მასპინძელთა სასარგებლოდ გადაწყდა.

ქართველმა ცენტრმა, ფაჩულიამ 19 წუთში 6-დან 3 ორქულიანი, 4-დან 3 საჯარიმო გამოიყენა და 9 ქულას 6 მოხსნა (4 შეტევითი) მიამატა. ატლანტელთაგან **მერვინ უილიამსი** გამოირჩა – 19 ქულა ჩააგდო.

**დეტროიტი–ატლანტა 100:91**

ზაზა ფაჩულია: 19 წუთი, 9 ქულა, 6 მოხსნა, 3 ფოლი, 3 შეცდომა

**I პერიოდი**

| | |
|---|---|
| 04:53 | ზაზამ პორფორდი შეცვალა |
| 02:14 | ორქულიანი: არაზუსტი |
| 01:51 | საჯარიმოები: 2/2 (2ქ, 16:18) |

**II პერიოდი**

| | |
|---|---|
| 10:18 | ორქულიანი: 4ქ (24:23) |
| 09:47 | შეცდომა: 1 |
| 07:50 | მოხსნა: შეტ-0, დაც-1 |
| 07:44 | ფოლი: 1 |
| 07:44 | შეცდომა: 2 |
| 07:10 | ორქულიანი: არაზუსტი |
| 06:49 | ფოლი: 2 |
| 06:49 | ზაზა პორფორდმა შეცვალა |

**III პერიოდი**

| | |
|---|---|
| 08:03 | ზაზამ პორფორდი შეცვალა |
| 08:03 | ფოლი: 3 |
| 05:41 | მოხსნა: შეტ-1, დაც-1 |
| 05:37 | ორქულიანი: არაზუსტი |
| 05:36 | მოხსნა: შეტ-2, დაც-1 |
| 05:36 | შეცდომა: 3 |
| 04:47 | მოხსნა: შეტ-2, დაც-2 |
| 04:36 | მოხსნა: შეტ-3, დაც-2 |
| 03:45 | ჩატენვა: 6ქ (56:63) |
| 02:50 | ორქულიანი: 8ქ (58:63) |
| 00:39 | მოხსნა: შეტ-4, დაც-2 |
| 00:39 | საჯარიმოები: 2/1 (9ქ, 64:70) |

**IV პერიოდი**

| | |
|---|---|
| 10:51 | ზაზა პორფორდმა შეცვალა |

**ვაჟა სიმონიშვილი**

*ლეგიონერი. საბერძნეთი*

# ტრიკალა წინ მიიწევს

საბერძნეთის თასის გათამაშებაში "ტრიკალამ" "იკარიას" ძლევით ნახევარფინალის საგზური მოიპოვა. ტრიკალელებმა მეტოქე სტუმრად 86:59 დაამარცხეს.

**გიორგი ცინცაძემ** თანაგუნდელებს 7 ქულა შესძინა.

მომდევნო ეტაპზე "ტრიკალას" მეტოქე პაოკ-ი იქნება. მატჩი 14 ოქტომბერს გაიმართება.

**ვაჟა სიმონიშვილი**



გიორგი ცინცაძე

*ინტერვიუ გიორგი შერმადინთან*

# იასიკიევიჩუსი შერმადინის მოედნიდან გამოყვანას ითხოვდა

**ჩვენი** გაზეთის გუშინდელ ნომერში გაცნობეთ, რომ ალვერტისის გაცილების მატჩში, გიორგი შერმადინი რვადღიანი შესვენების შემდეგ დაუბრუნდა მოედანს. ისიც გითხარით, მან ცსკა-სთან მატჩში "პანათინაიკოსის" სნაიპერობა ნიკოლა პეკოვიჩთან გაიყო – 13-13 ქულა ჩააგდეს.

გიორგის საბერძნეთში რომ დავუკავშირდით, გაკვირვებულმა გვითხრა:

- ნამდვილად მახსოვს, რომ 14 ქულა ჩავაგდე, ერთი ქულა ჩამომაკლეს. მოედანზე რომ შევედი, მეტოქემ ჩემ წინააღმდეგ თამაშისას წესი დაარღვია. ორივე საჯარიმო გამოვიყენე. არმიელებმა მომდევნო ეპიზოდში ბურთი მალევე დაკარგეს, დიამანტიდისმა კარგი პასი მომცა და ჩავტენე. ასე მომიგროვდა 10-წამიან მონაკვეთში 4 ქულა. მალე მეოთხედიც დასრულდა და ტაბლოს რომ შევხედე, 3 ქულა მეწერა. საბოლოოდ, ეს ერთი ქულა ჩემთვის არავის მოუმატებია. ამიტომ, ზოგიერთმა საიტმა 13 ქულა მომაკუთვნა, თუმცა დღეს ერთი გაზეთი ვიყიდე, რომელშიც 14 ქულა მიწერია.

**- მატჩის სრული ოქმი არ გამოქვეყნებულა. იქნებ გვითხრა, კიდევ რა ციფრებია გაზეთში?**

- 15 წუთი ვითამაშე, 6-დან 6 საჯარიმო გამოვიყენე და 8-დან 4 ორქულიანი ჩავაგდე. გარდა ამისა, 7 მოხსნა მომიგროვდა.

**- მწვრთნელმა ცენტრის პოზიციაზე გათამაშა?**

- თავიდან, მოედანზე რომ შევედი, ცენტრის ფუნქციებს ვასრულებდი, მძიმე ფორვარდი პეკოვიჩი იყო. შემდეგ ჩერნოგორიელი ბოგრისმა შეცვალა და ცენტრად ის დადგა, მე მეოთხე ნომრის პოზიციაზე გადავედი. სხვათა შორის, უფრო მეტი მაშინ ჩავაგდე, მეხუთე ნომრად რომ ვთამაშობდი.

**- ცსკა-ს ამ თვეში უკვე მეორედ მოუგეთ...**

- არმიელებს ძლიერი გუნდი ჰყავთ, მაგრამ ცოტა გასაკვირია, ასე იოლად როგორ ვჯობნით. მაგალითად, გუშინ ერთ ეპიზოდში 20 ქულის სხვაობითაც დავწინაურდით, თუმცა ბოლოს სამქულიანები მივილეთ და საბოლოოდ 82:69 გავიმარჯვეთ. ეს ამბავი გასაკვირი იმიტომაცაა, რომ გვაკლია სამი წამყვანი კალათბურთელი: იასიკიევიჩუსი, ცარცარისი და ბატისტი.

**- ეს კითხვა თავიდანვე უნდა დამესვა, მაგრამ ციფრებზე საუბარმა შორს წაგვიყვანა და ახლა გკითხავ: ცხვირი ხომ აღარ გაწუხებს?**

- ახლა არ მტკივა, თუმცა ბოლომდე მოშუშებას მაინც დრო უნდა და განმეორებითი ტრავმისგან დაზღვეული რომ ვიყო, ამიტომ ნიღბით ვთამაშობ.

**- ნიღაბი რამდენ ხანს უნდა გეკეთოს?**

- ერთი თვე. არ ვიცი, როგორ შევეგუები. გუშინდელ მატჩში ძალიან მიშლიდა ხელს, მოხსნა მინდოდა...



**- კონკრეტულად რა სახის დაზიანება გქონდა?**

- ცხვირის ძვალი მქონდა გატეხილი. კოპის მსგავსი ბორცვი ახლაც მაქვს.

**- შაბალკინმა იდაყვის ჩარტყმის შემდეგ თუ მოგიბოდიშა?**

- მეორე დღეს დარბაზში შემხვდა და ძალიან შეწუხებული იყო. მასთან ერთად მწვრთნელმაც მომიბოდიშა. მაგრამ რას ვიზამ, სპორტში ტრავმებისგან არავინაა დაზღვეული.

**- გუნდთან ერთად ვარჯიში როდის განაახლე?**

- ცხვირის დაზიანების შემდეგ პირველი ვარჯიში შაბათს ჩავატარე. მეორე დღეს, ცსკა-სთან მატჩში მწვრთნელმა განაცხადში კი შემიყვანა, მაგრამ არ მეგონა, თუ პირველივე პერიოდში მათამაშებდა. უვარჯიშებლობის გამო სათანადო კონდიციებში არ ვიყავი, დავიღალე, თან ნიღაბიც მბორკავდა...

**- მწვრთნელ ჟელკო ობრადოვიჩზე მინდა გკითხო. იგი შენ შესახებ ყოველთვის თავშეკავებული საუბრობს. კომპლიმენტი არც მაშინ უთქვამს, 28 ქულა რომ ჩააგდე...**

- იგი თავშეკავებული მწვრთნელია. ბევრს არ ლაპარაკობს. ჩემს მომავალზე ერთადერთი მაშინ მესაუბრა, კონტრაქტს რომ ვაფორმებდი.

**- რა გითხრა?**

- "პანათინაიკოსის" წევრობით არ უნდა დაკმაყოფილდე. მთავარი ამ გუნდში მოხვედრა კი არა, თამაშია. ხუთეულში გამოჩენა იოლი არ არის, ამის მისაღწევად ინდივიდუალურად ბევრი შრომა დაგჭირდებაო.

**- ვარჯიშობ ინდივიდუალურად?**

- რა თქმა უნდა. დღეს დასვენება გვაქვს, თუმცა მეორე მწვრთნელის ხელმძღვანელობით მე და ბოგრისმა უნდა ვივარჯიშოთ. დარწმუნებული ვარ, ჟელკო ობრადოვიჩი აუცილებლად იკითხავს – ამ ვარჯიშზე ვინა და ვინ იყვნენო.

**- როგორც ჩანს, შარუნას იასიკიევიჩუსს დაუმეგობრდი...**

- იგი კარგი ადამიანია. ხალხთან ურთიერთობა და ლაპარაკი უყვარს, ინგლისურად, რუსულად და ბერძნულად თავისუფლად ლაპარაკობს. ჩემთან ძალიან ახლოსაა. მასაც ტრავმა აქვს და ველოდებით, როდის დაგვიბრუნდება.

**- იასიკიევიჩუსთან დანაძლევების ამბავი იქნებ გაიხსენო...**

- სერბეთში ერთ-ერთი მატჩის წინ მითხრა – დაგენაძლევები, დღეს 20 ქულამდე ვერ ახვალო. რაზე დავნაძლევდეთ-მეთქი, ვკითხე. თუ 20 ან მეტ ქულას ჩააგდებ, ამ საღამოს მთელ გუნდს რესტორანში ვეპატიჟები, თუ წააგე, შენ დაპატიჟეო.

**- შენი მხრიდან დათანხმება მეტად თამამი ნაბიჯი იყო.**

- თუ წავაგებდი, ერთ სუფრას კი გავშლიდი... მაგრამ, ნაძლევის ამბავი მწვრთნელებმაც გაიგეს და მქომაგობდნენ. მთელი გუნდი ჩემს მხარეს იყო და სროლა რომ წამივიდა, იასიკიევიჩუსი აყვირდა – გამოიყვანეთ მოედნიდან შერმადინიო... იმ დღეს სამქულიანიც ჩავაგდე.

**- იასიკიევიჩუსმა სერბეთში დაგპატიჟათ?**

- არა. გუშინ, ცსკა-სთან მატჩის შემდეგ რესტორანში რომ დავსხედით, მითხრა, რაც გინდა შეუკვეთე მე ვიხდიო.

**- გეცოდინება, ნიკა ცქიტიშვილიც საბერძნეთში ითამაშებს.**

- "პანიონიოსში" ჩაირიცხა ხომ? ძალიან გამიხარდა. რაც მეტი ქართველი ვიქნებით, მით უკეთესი. ერთმანეთის წინააღმდეგ თამაში ერთი-ორად საინტერესო იქნება. გუშინ გიორგი ცინცაძესაც ველაპარაკე, "ტრიკალაში" თავს კარგად გრძნობს.

**ვაჟა სიმონიშვილი**

ჩოგბურთი

# ქართველ ქალთა ბევრი პლუსი

თბილისის საერთაშორისო ტურნირის მოგებისთვის კუთვნილი 50 ქულა დაერიცხა 19 წლის **ოქსანა კალაშნიკოვას**, რისი წყალობითაც ჩვენი პირველი ჩოგანი კიდევ უფრო დაწინაურდა მსოფლიო კლასიფიკაციაში. ოქსანა 14 ადგილით წინაა, ვიდრე გასულ კვირაში, მას 346 ქულა აქვს და მსოფლიოს 171-ე ჩოგანია. მოკლედ, აგერ, უკვე რამდენი ხანია, ოქსანა კალაშნიკოვა ყოველ ორშაბათს აუმჯობესებს კარიერის მიღწევას. მცირე წინსვლა **ანა ტატიშვილსაც** აქვს - ის 302 ქულით მსოფლიოს 186-ე (+5) ჩოგანია. **მაკა ჩახნაშვილი** 254 ქულით კლასიფიკაციაში 215-ე (-2) პოზიციაზეა. 75 საფეხურით დაწინაურდა **სოფიო შაფათავა**, რომელსაც თბილისში ფინალში თამაშისთვის კუთვნილი 34 ქულა დაერიცხა, სოფიო 114 ქულით მსოფლიოს 358-ე ჩოგანია. 20 წლის **მანანა შაფაქიძე** ხუთასეულში შევიდა, 72 ქულით 458-ე პოზიცია დაიკავა, რაც გასული კვირის მაჩვენებელს 55 ადგილით სჯობს. სხვები: 510 (+1) **ეკა გორგოძე** - 60 ქულა; 519 (+37) **თათია მიქაძე** - 58; 520 (-10) **სოფიო ქვაცაბაია** - 58, 1125 (-) **ანა ჯიქია** - 3. აღსანიშნავია 18 წლის ჯიქიას პირველად მოხვედრა რეიტინგში. კარიერის საუკეთესო პოზიცია აქვთ კალაშნიკოვას, შაფაქიძეს, მიქაძეს და ჯიქიას.

წყვილთა რეიტინგში ქართველი გოგონები ასეთი თანმიმდევრობით მოხვდნენ: 181. ჩახნაშვილი, 183. კალაშნიკოვა, 184. ტატიშვილი, 287. შაფათავა, 389. შაფაქიძე, 464. გორგოძე, 479. მიქაძე, 552. ქვაცაბაია, 730. ჯიქია, 1040. **შარანგია.**

ჩვენთვის დამაიმედებელი ქალთა რეიტინგის შემდეგ, სჯობს, საერთოდ არ განვიხილოთ ჩვენი ვაჟების მდგომარეობა. ვიტყვით მხოლოდ, რომ საქართველოს პირველმა ჩოგანმა 6 საფეხურით წაიწია, **ნიკოლოზ ბასილაშვილი** ახლა მსოფლიოს 576-ე ჩოგანია. 6 სხვა ჩოგბურთელი ათასეულს მიღმაა.

ფრანგულ ჟუ ლე ტურში (50 ათასი $) განუთესავია მაკა ჩახნაშვილი, მისი პირველი მეტოქე საკვალიფიკაციო ბადიდან გამოსული ჩოგბურთელი იქნება (რომელი, ჯერ უცნობია). შესაძლებელია, მერვედფინალში მაკა ტურნირის პირველ ჩოგან **ელენა დოკიჩს** (ავსტრალია, 68) გადაეყაროს. წყვილთა თანრიგში მაკას მეწყვილე ფრანგი **ესტელ გისარია** (271). წყვილთა ბადეში სოფიო ქვაცაბაიაც ასპარეზობს, რომელიც ერთეულებს საკვალიფიკაციო ბატალიებში დაემშვიდობა, მისი მეწყვილე **ალიზ ლიმია** (საფრანგეთი, 818).

მადრიდის ტურნირის (50 ათასი $) ძირითად ბადეში ვერ გააღწია ეკა გორგოძემ, რომელმაც ფინალურ წრეში ესპანელ **როსიო დე ლა ტორესთან** (1096) წააგო - 6:1, 4:6, 5:7. თურქულ ანთალია-ბელეკში (10 ათასი $) ძალზე იოლად მოიპოვა ძირითადი ბადის საგზური თათია მიქაძემ. პირველ ნომრად განთესილმა ქართველმა ჩეხ **ლენკა დანელოვას** შანსი არ დაუტოვა ფინალურ წრეში - 6:1, 6:0. მთავარ ტურნირში თათია მე-7 ნომრად განთესილ ბელგიელ **აპოლონია მელზანის** (502) ეთამაშება. მე-8 ნომრად განთესილი მანანა შაფაქიძის მეტოქე კი იტალიელი **ვალენტინ კონფალონიერი** (581) იქნება. წყვილებში ქართველი გოგონები ერთად თამაშობენ, მათი პირველი მეტოქეები მაროკოელი **ფატიმა ელ ალამი** (522) და პორტუგალიელი **მაგალი დე ლატრე** (428) იქნებიან.

ამერიკის ქალაქ ტიბურონში „ჩელენჯერის სერიის“ ტურნირში (50 ათასი $) წარუმატებლად იასპარეზა **ნიკოლოზ ბასილაშვილმა,** მან პირველ საკვალიფიკაციო წრეში ფილიპინელ **სესილ მემიტთან** (581) წააგო - 3:6, 6:1, 3:6. დიახ, სწორედ იმ სესილ მემიტთან, რომელიც ადრე ამერიკის სახელით გამოდიოდა და ხშირად მონინავე ასეულის წევრი იყო.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

წყალბურთი

# ორიენტირი: ლონდონის ოლიმპიადა


ვლადიმერ ისელიძე

„ლაგუნა ვერეს“ აუზში საქართველოს წყალბურთელთა ნაკრებმა, რომელიც მთლიანად ილია ჭავჭავაძის უნივერსიტეტის სპორტკულუბ „ლიგამუსის“ წევრებით იყო დაკომპლექტებული, აზერბაიჯანის ეროვნულ გუნდს უმასპინძლა. სტუმრებმა მხოლოდ პირველ ტაიმში შეძლეს ერთგვარი წინააღმდეგობის გაწევა ჩვენებისთვის. შეხვედრის დანარჩენი მონაკვეთი ქართველი წყალბურთელებისთვის უფრო ვარჯიშს დაემსგავსა. მასპინძლებმა მატჩიც დიდი ანგარიშით (28:5) მოიგეს.

— საქართველოს ნაკრები შეთამაშებული გუნდია, — გვითხრა სტუმართა მთავარმა მწვრთნელმა **აზერ ბაბაევმა**. — ჩვენ უწინაც შევხვედრივართ ერთმანეთს, მაგრამ დღევანდელთან შედარება ნამდვილად არ შეიძლება. ქართველმა წყალბურთელებმა საგრძნობლად აიმაღლეს ოსტატობა, რაც ევროპის B ჩემპიონატზეც გამოჩნდა.

ჩვენი გუნდი ისლამური ოლიმპიური თამაშებისთვის ემზადება, რომელიც გაისად ირანში გაიმართება. მადლობა მინდა გადავუხადო საქართველოს საწყლოსნო სახეობების ფედერაციის, წყალბურთელა ნაკრებისა და „ლაგუნა ვერეს“ ხელმძღვანელობას, რომლებმაც ქართველ სპორტსმენებთან ამხანაგური თამაშისა და ერთობლივი წვრთნის საშუალება მოგვცეს.

ორთაბრძოლის დამთავრების შემდეგ საქართველოს ნაკრების მთავარ მწვრთნელ **ვლადიმერ ისელიძეს** შვეიცარიული შთაბეჭდილებების გაზიარება ვთხოვეთ:

— ევროპის B ჩემპიონატის შემდეგ დიდი დრო არ გასულა, მაგრამ ეს პერიოდი საკმარისი იყო, ცივი გონებით გამეანალიზებინა ლუგანოს შედეგები. გულახდილად გეტყვით, რომ ბიჭების თამაშით კმაყოფილი ვარ. შვიდი შეხვედრიდან ოთხი მოვიგეთ. თან ისეთ გრანდთან, როგორიც დიდი ბრიტანეთია. დებიუტისთვის ურიგო არ უნდა იყოს, თუმცა ბევრად უკეთესი შედეგი გვექნებოდა, მსაჯებს მალტასთან პაექრობისას რომ არ დავეჩაგრეთ. ორი პერიოდის შემდეგ რევაზ ჩომახიძე გაგვიძევეს. უსამართლობამ გუნდის წევრებზე ძალიან იმოქმედა, თორემ კუნძულელები ისედაც უნდა დაგვემარცხებინა. ჰოლანდიამ ალალად გვაჯობა. ოღონდ დღემდე ვერ ამიხსნია, მესამე პერიოდში მეტოქეს როგორ მივეცით დაწინაურების შესაძლებლობა, რადგან დანარჩენ სამში ტოლ-სწორად ვეთამაშეთ. არც ბელარუსთან უნდა წაგვეგო. მაგრამ ჩავლილზე წუწუნი არ ღირს. რაც მთავარია, შვეიცარიაში ბიჭებმა დიდი გამოცდილება შეიძინეს, ნახეს, როგორ თამაშობენ ძლიერი გუნდები. ძალიან გამოგვადგა მარსელში ფრანგებთან ერთობლივი წვრთნა. ფასდაუდები სამსახური გაგვიწია რევაზ ჩომახიძემ. იგი ჩვენთვის დიდ ძალას წარმოადგენს. ამ დღეებში საქართველოში ჩამოვა და ახალგაზრდა წყალბურთელებს ჩაუდგება სათავეში. ნიჭიერი, პერსპექტიული სპორტსმენები უნდა შევარჩიოთ და სხვადასხვა ასაკის სამი ნაკრები ჩამოვაყალიბოთ, რათა ეროვნული გუნდისთვის ღირსეული ცვლის მოსამზადებლად აქედანვე ვიზრუნოთ.

სამომავლოდ დიდი გეგმები გვაქვს დასახული. უპირველესი 2010-2012 წლების ევროპის ჩემპიონატზე ღირსეული გამოსვლა და ლონდონის ოლიმპიური თამაშების საგზურის მოპოვებაა... დღევანდელი ერთსულოვნება და თანადგომა თუ შევინარჩუნეთ, მიზანს აუცილებლად მივაღწევთ.

**ვაჟა დანელია**

ავტორის ფოტო

# სახელოვან მწვრთნელთა ხსოვნას მიეძღვნა





საწყლოსნო კომპლექს „ლაგუნა ვერეს“ აუზში დამთავრდა ახალგაზრდა წყალბურთელთა ტურნირი, რომელიც სახელოვანი მწვრთნელების — **ვლადიმერ ბარნაბიშვილისა** და **როსტომ ჩაჩავას** ხსოვნას მიეძღვნა. შეჯიბრება „ლაგუნა ვერეს“ დირექტორის **ვლადიმერ გოიაშვილისა** და საბჭოთა კავშირის ჩემპიონის, საერთაშორისო კატეგორიის არბიტრის **ზურაბ ჩაჩავას** (მას არაერთხელ უმსაჯია ოლიმპიურ თამაშებზე, მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონატებზე) ინიციატივით გაიმართა. მინიწყალბურთელთა პაექრობებში 11-16 წლის სპორტსმენები მონაწილეობდნენ.

დაძაბული ორთაბრძოლების შემდეგ 1997-1998 წლებში დაბადებულთა ფინალში „ლიგამუსმა“ (**ირაკლი რაზმაძე, გიორგი ჭედია, მირიან თუხარელი, ლევან მოსაშვილი, რეზო იმნაიშვილი, დავით შავგულიძე, ლაშა ოხანაშვილი, გიორგი ენუქიძე, სანდრო ლლონტი**, მწვრთნელი — **სოსო მაისურაძე**) „ლაგუნა ვერეს“ სძლია და პირველი ადგილი დაიკავა. მესამე ადგილზე არმიის სასპორტო კლუბის წყალბურთელები გავიდნენ.

1995-1996 წლებში დაბადებულთა გადამწყვეტ შეხვედრაში „ივერიამ“ (**ივანე ინწკირველი, სანდრო ყაზახიშვილი, გურამ გელაძე, ლუკა კახეთელიძე, გიორგი ზაქარეიშვილი, ანდრო ბითაძე, ნიკა ცანკაშვილი, ხვიჩა ჯავახია, კოტე ნადირაძე, ივანე ჩანტლაძე**, მწვრთნელები **ნოე კინწურაშვილი, ნატო ნადირაძე**) „ლიგამუსს“ აჯობა და მთავარი პრიზი მოიპოვა. მესამე ადგილი „ლაგუნა ვერეს“ ხვდა.

ამგვარი თანმიმდევრობით განაწილდა პირველი-მესამე ადგილები 1993-1994 წლებში დაბადებულ წყალბურთელთა მსგავსი დასახელების გუნდებს შორის. **ბორის მეგედისა** და **ზურაბ ქოიავას** გაწვრთნილმა „ივერიამ“ (**ირაკლი ფავლენიშვილი, გიორგი ქართველიშვილი, სანდრო ურუშაძე, გიორგი ცანკაშვილი, გივი სულაძე, მერაბ გელაშვილი, სანდრო სხირტლაძე, გუგა სამხარაძე**) აქაც ყველა მეტოქე დაამარცხა და პირველი ადგილი დაიკავა.

— ყოფილმა წყალბურთელმა, როსტომ ჩაჩავას აღზრდილმა ვახტანგ მებუკემ ამერიკიდან სპეციალურად ამ ტურნირისთვის გამოგვიგზავნა თასი, რომელსაც ყოველწლიურად გავათამაშებთ, — გვითხრა **ვლადიმერ გოიაშვილმა**. — ვლადიმერ ბარნაბიშვილი და როსტომ ჩაჩავა იმსახურებენ, რომ მათი ხსოვნის ტურნირები რეგულარულად გაიმართოს. ახალგაზრდებმა უნდა იცოდნენ, ვისი გორისანი არიან და წინაპართა სასახელო მაგალითებზე აღიზარდონ...

„ლაგუნა ვერეში“ 16-20 ოქტომბერს ახალგაზრდებს შორის საქართველოს თასი გათამაშდება. შეჯიბრებაში 1992-94 და 1995-1997 წლებში დაბადებული წყალბურთელები იასპარეზებენ.

**ვაჟა დანელია**

ავტორის ფოტოები

ჰოკეი

საქართველოს ჩემპიონატი. ვაჟები II წრე

# ქუთაისმა ბათუმში იჩემპიონა



**ბათუმი-ლანჩხუთი 4:1**

1:0 მჟავია (27), 2:0 თევდორაძე (30), 3:0 მჟავია (32), 4:0 ვარშანიძე (42), 4:1 ნილოსანი (59)

**ლანჩხუთი-ქუთაისი 0:4**

0:1 გაბრიჩიძე (52), 0:2 ს.სვანიძე (53), 0:3 გერაძე (60), 0:4 ს.სვანიძე (70)

**ბათუმი-ქუთაისი 0:4**

0:1 ს.სვანიძე (30), 0:2 ს.სვანიძე (38), 0:3 ს.სვანიძე (68), 0:4 ს.სვანიძე (70)

ბათუმი: გ.თედორაძე, ი.თედორაძე, ზაქარაძე, ხაჯიშვილი, ადამიანი, ბოგომოლოვი, ვარშანიძე, მჟავია, ბასილაძე, სოსელია, სურმანიძე

ქუთაისი: ამბროლაძე, გვანცელაძე, გერაძე, გ.სვანიძე, გედენიძე, ფიფია, კუხიანიძე, გაბრიჩიძე, დავითულიანი, ჯავახაძე, ს.სვანიძე (ტოფაძე)

დასრულდა საქართველოს 2009 წლის ჩემპიონატი ბალახის ჰოკეიში ვაჟებს შორის. პირველი წრის მსგავსად, საქართველოს ჩემპიონატის მეორე წრეც ბათუმში, სპორტკომპლექს „მარინას“ ხელოვნურსაფრიან მოედანზე გაიმართა. მრავალწლიანი იძულებითი პაუზის შემდეგ წლეულს პირველად მოხერხდა ეროვნული პირველობის ჩატარება დიდ, სტანდარტულ ჰოკეიში, რის გამოც სამ გუნდზე მეტი ვერ შეიკრიბა და ჩემპიონატში მხოლოდ „ქუთაისმა“, „ბათუმმა“ და „ლანჩხუთმა“ იასპარეზეს. პირველ წრეში „ბათუმმა“, რომელიც სულ რაღაც ერთი წლის წინ ჩამოყალიბდა, პატარა სენსაცია მოახდინა-„ლანჩხუთი“ 4:1 დაამარცხა, მარად ჩემპიონ „ქუთაისს“ კი ტოლ-სწორად ეთამაშა (0:0) და მასთან ერთად 4 ქულა დააგროვა. (პირველ წრეში ვაჟთა ჩემპიონატში კონკურსგარეშე საქართველოს ქალთა ნაკრებმაც იასპარეზა და მასთან მოპოვებული ქულები გუნდებს მეორე წრეში არ გადაჰყვათ). ჩემპიონატის მასპინძელმა „ბათუმმა“ საშემოდგომო ეტაპიც კარგად დაიწყო, პირველი მატჩის მსგავსად, აჭარელებმა „ლანჩხუთი“ 4:1 დაამარცხეს. შეხვედრის ბედი პირველი ტაიმის მიწურულს გადაწყდა, როცა აქტიურად მოთამაშე აჭარელებმა სტუმრებს 5 წუთში სამი გოლი გაუტანეს. თევდორაძისა და მჟავიას (2) გოლებს მეორე ტაიმში ვარშანიძემ კიდევ ერთი დაუმატა, ლანჩხუთელებმა თამაშის მიწურულს მხოლოდ პრესტიჟის ბურთის გატანა შეძლეს, სტუმართაგან თავი **ჯაგა ნილოსანმა** გამოიჩინა. დაძაბული გამოდგა „ქუთაისისა“ და „ლანჩხუთის“ დაპირისპირება. გურულები 52-წუთამდე უძალიანდებოდნენ ჩემპიონატის ფავორიტს, თუმცა საბოლოოდ გაცილებით ძლიერმა ქუთაისმა ღამაჯერებლად გაიმარჯვა - 4:0

ჩემპიონის ბედი „ბათუმი“-„ქუთაისის“ შეხვედრაში გაირკვა. თამაში საინტერესო და დაძაბული გამოდგა. შეხვედრას აჭარის ჰოკეის ფედერაციის პრეზიდენტი ლევან ფუტკარაძე სჯიდა და საკმაოდ წარმატებითაც გაართვა თავი მოვალეობას. ჯერ კიდევ 1:0-ზე, როცა ზღვისპირელებს გათანაბრებაც შეეძლოთ, **ფუტკარაძემ** ერთ-ერთ აჭარელ ჰოკეისტს ზედმეტი ლაყბობა არ აპატია და ორწუთიანში გაუშვა... ზღვისპირელები ყველაფერს ეცადნენ, რომ ჩემპიონისთვის განკუთვნილი თასი ბათუმში დაეტოვებინათ, თუმცა ქუთაისელთა ვეტერანის **სოსო სვანიძის** ბრწყინვალე თამაშს ვერაფერი დაუპირისპირეს. სვანიძე მართლაც შეუჩერებელი იყო, მან ქუთათურები პირველი ტაიმის მიწურულს დააწინაურა, მეორე ტაიმში კი მასპინძლებს კიდევ სამი ბურთი გაუტანა და „ქუთაისს“ ჩემპიონობა მოაპოვებინა. საქართველოს ჩემპიონატში მოასპარეზე გუნდები საქართველოს ჰოკეის ფედერაციის საპატიო პრეზიდენტმა **დავით ფრუიძემ**, აჭარის ფედერაციის პრეზიდენტმა **ლევან ფუტკარაძემ**, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კულტურის, სპორტის და განათლების მინისტრის მოადგილემ **რაულ თავართქილაძემ** დააჯილდოვეს. ჩემპიონატის საუკეთესო მოთამაშედ ბათუმელი **ირაკლი თედორაძე** დასახელდა.

როგორც საქართველოს ჰოკეის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა **ავთანდილ თევდორაძემ** აღნიშნა, 2010 წლის ჩემპიონატში, სავარაუდოდ, აფხაზეთისა და ოზურგეთის გუნდებიც იასპარეზებენ, რომლებმაც ცოტა ხნის წინ თემურ არჩაიას სახელობის ტურნირზე ითამაშეს. გარდა ამისა, ჰოკეის გუნდი შეიქმნება აბაშაში და მომავალ ტურნირებში ეს გუნდიც მიიღებს მონაწილეობას. დასრულდა საქართველოს ქალთა ჩემპიონატიც, რომელიც ბათუმში ვაჟთა ტურნირის პარალელურად მიმდინარეობდა და მის შესახებ “ლელოს უახლოეს ნომერში გაცნობებთ.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ქუთაისი | 4 | 3 | 1 | 0 | 12-0 | 10 |
| 2. ბათუმი | 4 | 2 | 1 | 1 | 8-6 | 7 |
| 3. ლანჩხუთი | 4 | 0 | 0 | 4 | 2-16 | 0 |

**დავით კოხრეიძე**

ჭადრაკი

# ძაგნიძის შანსი

გუშინ თბილისის ჭადრაკის სასახლეში ფედერაციის პრეზიდენტმა **გია გიორგაძემ** და საქართველოს ნაკრების წევრმა **ნანა ძაგნიძემ** პრესკონფერენცია გამართეს.

შეგახსენებთ, რომ ძაგნიძე ეს-ეს არის დაბრუნდა ჩინური ნანცზინიდან, სადაც ფიდეს გრან-პრის გათამაშებაში მიიღო მონაწილეობა. ქართველმა დიდოსტატმა იქ 11 შესაძლებლიდან 7,5 ქულით მეორე ადგილი დაიკავა. ჯილდოდ 4750 ევრო მიიღო და რეალური შანსიც გაუჩნდა იმისა, რომ მსოფლიოს ჩემპიონ **ალექსანდრა კოსტენიუკს** ტიტულს შეეცილოს. საამისოდ მას გაისად გრან-პრის კიდევ სამ გათამაშებაში მოუწევს გამოსვლა. 18 მოჭადრაკის შედეგების შეჯამებით გამოვლინდება 2 საუკეთესო, რომლებიც ერთმანეთს დაუპირისპირდებიან. მათ შორის გამარჯვებული კოსტენიუკს შეხვდება.

გია გიორგაძემ წარმატება მიულოცა ნანა ძაგნიძეს და ამასთანავე კმაყოფილება გამოთქვა ევროპის საკლუბო ჩემპიონატზე „სამაიას“ საპრიზო ადგილზე გამოსვლის გამო.

ნანა ძაგნიძე ამ დღეებში სერბეთს გაემგზავრება, სადაც საქართველოს ნაკრებთან ერთად 21 ოქტომბრიდან ევროპის გუნდურ ჩემპიონატში ჩაებმება.

**ვაჟა დანელია**



კალათბურთი



# კლუბმა ჯექსონი დასაჯა

„გოლდენ სტეიტ უორიორზის" ხელმძღვანელობამ ორმატჩიანი დისკვალიფიკაცია მისცა თავის ერთ-ერთ წამყვან კალათბურთელ **სტივენ ჯექსონს**. ამის მიზეზი ის გახდა, რომ ფორვარდმა „ლოს ანჯელეს ლეიკერსთან" საკონტროლო შეხვედრის მსვლელობისას სათადარიგოთა სკამიდან მიატოვა მატჩი.

ინციდენტი მას შემდეგ მოხდა, რაც მატჩის დამთავრებიდან 10 წუთით ადრე ჯექსონმა მეხუთე პერსონალურთან ერთად ტექნიკური ფოლი მიიღო, მთავარ მწვრთნელ **დონ ნელსონს** ეჩხუბა და გასახდელში გავიდა.

სავარაუდოდ, ეს ეპიზოდი დააჩქარებს ჯექსონის სხვა გუნდში გადასვლას. როგორც იცით, ერთ თვის წინ კალათბურთელმა „გოლდენ სტეიტის" ხელმძღვანელობას გაცვლა მოსთხოვა. ჯექსონს სურს ისეთ გუნდში გააგრძელოს კარიერა, სადაც ჩემპიონობისთვის ბრძოლის საშუალება ექნება. სავარაუდო პრეტენდენტთა შორის არიან „ნიუ იორკ ნიქსი", „კლივლენდ კავალიერზი" და სამი ტეხასური კლუბი.

თუმცა „გოლდენ სტეიტი" სტივენის სანაცვლოდ სრულფასოვან კომპენსაციას ითხოვს და ამ მიზეზით გაცვლა არ ხერხდება.

ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი

# დანიელ სედინი ერთი თვე დაისვენებს

„ვანკუვერ კენაქსმა" დაახლოებით ერთი თვით (ან თვე-ნახევრით) დაკარგა თავისი ერთ-ერთი წამყვანი ფორვარდი **დანიელ სედინი**. შვედმა ჰოკეისტმა გასულ კვირას „მონრეალ კანადიენსთან" მატჩში დაიზიანა ფეხი. სამედიცინო შემოწმებამ მოტეხილობა დააფიქსირა, რის გამოც სედინი მინიმუმ 5 კვირა ვერ გავა ყინულზე.

29 წლის ფორვარდს ფეხი მისივე თანაგუნდელმა **ალექს ედლერმა** მოსტეხა - მცველის მიერ ნასროლი შაიბა სედინს მარცხენა ფეხში მოხვდა. მატჩის დარჩენილი ნაწილი დანიელმა მოტეხილი ფეხით ითამაშა.

დანიელ სედინი თავის ტყუპისცალ **ჰენრიკთან** ერთად „ვანკუვერში" მეცხრე წელია თამაშობს და აქამდე სეზონში შვიდზე მეტი მატჩი არ გამოუტოვებია. ასე რომ, ეს მისი პირველი სერიოზულია ტრავმაა კარიერაში.

ახალი სეზონის საწყის მატჩებში დანიელ სედინი პარტნიორების ასისტირებით იყო დაკავებული. მის ანგარიშზე 4 შედეგიანი პასი მოდის. შარშანდელ ჩემპიონატში მან 31 შაიბა გაიტანა და 82 ქულა დააგროვა.

**რეინჯერსი–ანაჰაიმი 3:0**

0:0, 0:0, 3:0

**გოლები:** 1:0 კოტალიკი-3 (დელ ზოტო-3, გაბორიკი-3), 2:0 ანისიმოვი-1 (პროსპალი-4, ეივერი-1), 3:0 ჟირარდი-1.

**ვანკუვერი–დალასი 4:3 (ბ)**

1:1, 1:0, 1:2, 0:0

**გოლები:** 0:1 რიბეირო-2 (მოროუ-2, ბ. რიჩარდსი-4), 1:1 კესლერი-2 (სამუელსონი-2, ერჰოფი-4), 2:1 ბაროუზი-3 (სამუელსონი-3, ჰ. სედინი-4), 2:2 ბ. რიჩარდსი-2 (რობიდასი-3, ლ. ერიქსონი-1), 3:2 ვ. მიტჩელი-2 (ბერნიე-2, ჰ. სედინი-5), 3:3 ბენი-1 (რიბეირო-3, მოროუ-3).

**ბულიტები გაიტანეს:** უელვუდი (ვანკუვერი), კესლერი (ვანკუვერი).

ჩოგბურთი

# ჟუსტინ ანენს უაილდ-ქარდი მისცეს

დიდ ჩოგბურთში დაბრუნებულმა **ჟუსტინ ანენმა** ოფიციალურად მიიღო ავსტრალიის ღია პირველობის უაილდ-ქარდი. ბელგიელმა, რომელიც შარშან მაისში წავიდა დიდი სპორტიდან, ორი თვის წინ გამოაცხადა პროფესიული კარიერის განახლების შესახებ.

იმის გამო, რომ ანენმა ყველა სარეიტინგო ქულა დაკარგა, მას ტურნირებზე უალდ-ქარდის საშუალებით მოუწევს გამოსვლა. შეგახსენებთ, რომ 2004 წელს ავსტრალიის ღია პირველობის გამარჯვებული 2010 წლის სეზონს ბრისბენის ან ოკლენდის ტურნირზე დაიწყებს.

# სერენასა და დინარას ხუთი ქულა აშორებთ

გუშინდელი დღიდან, WTA-ის კლასიფიკაციას ახალი ლიდერი ჰყავს. ამერიკელმა **სერენა უილიამსმა** რუს **დინარა საფინას** გაასწრო და რეიტინგში პირველი ადგილი დაიბრუნა. საინტერესო ის არის, რომ სერენასა და დინარას შორის სხვაობა მხოლოდ ხუთ ქულას შეადგენს. ეს კი პირველ და მეორე ჩოგნებს შორის ყველაზე პატარა სხვაობაა ამჟამინდელი სარეიტინგო სისტემის არსებობის ისტორიაში.

წინა რეკორდი 2001 წლის 5 ნოემბერს დაფიქსირდა, როცა ორ ამერიკელს - **ლინდსი დავენპორტსა** და **ჯენიფერ კაპრიატის** შორის სხვაობა 10 ქულას შეადგენდა. ძალთა ასეთი თანაფარდობა ცხრა კვირა - 2002 წლის 6 იანვრამდე შენარჩუნდა.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ინტერვიუ ბენ გორდონთან

# ჩიკაგოს აღარ ვჭირდებოდი

**„ჩიგაკო ბულზის" ფინანსურმა პოლიტიკამ ის გამოიწვია, რომ გუნდმა დაკარგა თავისი ერთ-ერთი ლიდერი ბენ გორდონი. „ხარებს" არც უცდიათ ლიგის ერთ-ერთ სნაიპერთან კონტრაქტის გაგრძელება. „დეტროიტ პისტონზი" კი, რომელმაც ახალი საჩემპიონო გუნდის აშენება გადაწყვიტა, კარგი ბომბარდირის სამსახურით უფრო დაინტერესებული აღმოჩნდა და ბენი სწორედ ამ გუნდში გააგრძელებს კარიერას.**

**- როგორ ჩაიარა წლევანდელმა ზაფხულმა შარშანდელთან შედარებით, როცა მომავალ კარიერასთან დაკავშირებით გაურკვევლობაში იმყოფებოდით?**

- სიტუაცია გაცილებით მშვიდი და ნაკლებად სტრესული იყო - უბრალოდ იმიტომ, რომ თავიდანვე გაირკვა ყველაფერი, რადგან ზაფხულის დასაწყისში „დეტროიტ პისტონზთან" გავაფორმე კონტრაქტი. მთელი ზაფხული მოძრაობაში ვიყავი - ჩიკაგოდან დეტროიტში გადაბარგებამ დიდი დრო წაიღო. ეს ზაფხული რადიკალურად განსხვავდება შარშანდელისგან. მაშინ დაძაბული სიტუაცია იყო და საწვრთნელი შეკრების დროს გაურკვევლობაში ვიმყოფებოდი.

**- ეს სტრესი რეგულარულ ჩემპიონატშიც გაგრძელდა?**

- როცა სეზონი დაიწყო, უკვე ვიცოდი, რომ მხოლოდ ერთწლიანი კონტრაქტი მქონდა. ასეთ დროს ნებისმიერი კალათბურთელი დაძაბულია და მხოლოდ ერთზე ფიქრობს: რაც შეიძლება კარგად ითამაშოს და ტრავმები აიცილოს თავიდან. ამიტომაც გარკვეული ზეწოლა არსებობდა, თუმცა იმითაც კმაყოფილი ვიყავი, რომ ზუსტად ვიცოდი რაც უნდა მეკეთებინა.

**- აპირებდით თუ არა გუნდის შეცვლას, როცა თავისუფალი აგენტი გახდით?**

- მას შემდეგ, რაც „ბულზთან" ერთწლიანი კონტრაქტი გავაფორმე, მივხვდი, რომ ეს შეიძლება ბოლო სეზონი ყოფილიყო ამ გუნდში. გაურკვევლობაში ვიყავი და ყველაფერს ველოდი - კონტრაქტის გაგრძელებას, ან ახალ გუნდში გადასვლას. არც ერთი ვარიანტისთვის არ შემეძლო უპირატესობის მინიჭება.

**- მართალია, რომ „ხარებს" ერთხელაც არ შემოუთავაზებიათ ახალი კონტრაქტი?**

- დიახ, მართალია. ჩემი აზრით, „პისტონზის" მხრიდან გამოთქმული ინტერესი უფრო დიდი იყო, ვიდრე ჩიკაგოელების. ასეთ სიტუაციაში გუნდების უმრავლესობას, რომლებსაც კალათბურთელთან კონტრაქტის გაგრძელება უნდათ, ყოველთვის მკვეთრად ჩამოყალიბებული პოზიცია აქვთ და იქამდე დიდი ხნით ადრე სთავაზობენ ახალ ხელშეკრულებას, ვიდრე კალათბურთელი თავისუფალი აგენტი გახდება. მაგრამ როცა დრო მოახლოვდა, მივხვდი, რომ „ხარები" ჩემით დაინტერესებულნი არ იყვნენ. დადგა 1 ივლისი და ჩემი წინათგრძნობა გამართლდა. მათ არ შემომთავაზეს ახალი კონტრაქტი. დეტროიტში გავემგზავრე და იმავე საღამოს მივხვდი, სადაც მინდოდა თამაში.

**- ცუდად ხომ არ იგრძენით თავი იმის გამო, რომ „ჩიკაგომ", რომელშიც რამდენიმე წელი ყველაზე შედეგიანი კალათბურთელი იყავით, აღარ გამოხატა თქვენ მიმართ დაინტერესება?**

- კი და არა. მას შემდეგ, რაც იქ ხუთი სეზონი გავატარე, კარგად ვიცი, როგორ მუშაობს ეს ორგანიზაცია. ბოლოს და ბოლოს, ეს ბიზნესია. ამ სიტუაციაში ყველა ისეთ გადაწყვეტილებას მიიღებს, როგორსაც საჭიროდ ჩათვლის. კალათბურთელის თვალსაზრისით, რომელმაც გუნდისთვის ძალიან ბევრი გააკეთა, კონტრაქტის შეუთავაზებლობა სახეში ხელის გარტყმას ნიშნავს. მაგრამ თუ ბიზნესის კუთხით შევხედავთ, კარგად მესმის რატომაც მოხდა ასე. სიტუაციის შეცვლის დრო მოვიდა და კარიერის ახალი თავი უნდა დავიწყო.

**- როგორ შეაფასებთ „ჩიკაგოში" განვლილ წლებს?**

- ვთვლი, რომ ერთიანი გუნდი ვიყავით, რომელიც ყოველთვის ახლოს იყო ელიტურ ჯგუფში შესვლასთან. ნიჭი გვქონდა, მაგრამ რაღაც გვიშლიდა ხელს წინსვლაში; ამიტომაც კმაყოფილი ვერ ვიქნები. უფრო მეტს ვიმსახურებდით. და ეს შემადგენლობა რომ შეგვენარჩუნებინა, უკეთესად გამოსვლასაც შევძლებდით. კარიერის ეს ეტაპი დავასრულე. ჩიკაგოში კარგი დრო გავატარე - ლიგაში დავიმკვიდრე ადგილი და ამისთვის გუნდს მადლობას ვუხდი. თუმცა ახლა წინსვლის დროა და ხშირად ვფიქრობ: „როგორ შევძლებ ახალ თანაგუნდელებთან ერთად „დეტროიტის" საჩემპიონი დონეზე გაყვანას?" ამას გარკვეული დრო დასჭირდება. ეს არ არის ერთი ან ორი წლის საქმე. ამას დრო უნდა, მაგრამ ეს არის ჩემი ახალი მიზანი.

**- „დეტროიტში" თქვენთან ერთად ჩარლი ვილანუევა ჩაირიცხა. რას იტყვით თქვენი ახალი გუნდის შესაძლებლობებზე?**

- ცხადია, რომ „დეტროიტი" ახლა რეკონსტრუქციის ეტაპზეა. თუ გადავხედავთ იმ გზას, რომელიც გუნდმა 2004 წლის შემდეგ გაიარა, ის ყოველ სეზონში კონკურენტუნარიანი იყო. ჩავარდნა გასულ წელს დაიწყო. ჯო დუმარსი მიხვდა, რომ გარკვეული ცვლილებები იყო საჭირო. მან შეინარჩუნა რამდენიმე კალათბურთელი, ვინც 2004 წელს ჩემპიონატი მოიგო, მაგრამ გუნდს ახალი სისხლიც სჭირდებოდა. უახლოესი რამდენიმე წლის განმავლობაში ახალი გუნდის აშენებას შევეცდებით.

**- ელოდებით, რომ თქვენი როლი დაახლოებით ისეთივე იქნება, როგორიც „ჩიკაგოში" იყო? როგორ ფიქრობთ, სასტარტო ხუთეულიდან დაიწყებთ თამაშს თუ სათადარიგოთა სკამიდან?**

- ბევრი რამ მწვრთნელზე იქნება დამოკიდებული. მე ამას დიდი ხნის წინ მივხვდი. მითამაშია ისეთ გუნდებში, სადაც შედეგიანობის მხრივ ლიდერი ვიყავი, თუმცა სათადარიგოთა სკამიდან შევდიოდი თამაშში. სასტარტო ხუთეულშიც ვყოფილვარ. ასე რომ, მწვრთნელი უკეთ გრძნობს, რა არის გუნდისთვის სასარგებლო.

**- ბევრს მიაჩნია, რომ თქვენ მხოლოდ სნაიპერი ხართ. ასეთი შეფასება არ გაღელვებთ?**

- ჩემთვის ამას მნიშვნელობა არ აქვს. გუნდში ყველა თავის როლს ილებს. არიან ბიჭები, რომელთა ამოცანაა ფარიდან ასხლეტილი ბურთის მოხსნა, სხვებს ქულების დაგროვება ევალებათ... ეს იმას არ ნიშნავს, რომ მათ სხვა რაღაცების კეთება არ შეუძლიათ, მაგრამ ასეთია გუნდში მათი როლი. ეს ის არის, რაც კლუბს წარმატებისთვის სჭირდება. მე შემიძლია ვიამაყო საკუთარი მომზადებით. ის საშუალებას მაძლევს, გავაკეთო ყველაფერი, რაც გუნდს სჭირდება. ცხადია, რომ იმაზე გაცილებით მეტი შემიძლია, რასაც „ჩიკაგოში" ვაჩვენებდი.

**- როგორც ლიგის ერთ-ერთმა საუკეთესო სნაიპერმა, გვითხარით, ვინ შედის NBA-ის ხუთ საუკეთესო მსროლელს შორის? შეგიძლიათ საკუთარი თავიც დაასახელოთ.**

- სუფთა სნაიპერებზე მეკითხებით? მაშინ უნდა დავასახელო მაიკლ რედი, რეი ალენი, ჯეისონ კაპონო, პეჟა სტოიაკოვიჩი და დირკ ნოვიცკი. ლიგაში ბევრი სნაიპერია, მაგრამ ამ ბიჭებმა მართლაც კარგად იციან სროლა.

**- თქვენზე დოკუმენტურ ფილმს იღებენ. ეს როგორ მოხდა?**

- ეს ერთ-ერთი ჩემი მეგობრის დამსახურებაა, რომელთან ერთადაც გავიზარდე. მას მოუვიდა დოკუმენტური ფილმის გადაღების იდეა. გასული სეზონი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო და გვინდოდა გვეჩვენებინა, რა რთულია მოთამაშისთვის ერთწლიანი კონტრაქტის პირობებში თამაში და როგორ ხდება ახალ გუნდში გადასვლა. მე მგონი, ცუდი არ უნდა გამოვიდეს.

**- კამერის წინ თავს კომფორტულად გრძნობდით?**

- დიახ, რადგან ფილმს ბავშვობის მეგობართან ერთად ვიღებდით. არ მინდოდა საკუთარი ცხოვრების კამერების წინ გამომზეურება, მაგრამ მასთან ეს იოლი გამოვიდა.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ფორმულა 1

# მონაკო თარიღს შეიცვლის

## დონინგტონი თუ სილვერსტოუნი? აბუ დაბი მზადაა



ჩვენ უკვე ვწერდით იმის შესახებ, რომ ფორმულა 1-ის 2010 წლის ჩემპიონატის კალენდრის წინასწარმა ვერსიამ გუნდების მხრიდან უკმაყოფილება გამოიწვია. უპირველეს ყოვლისა, საჯინიბოების წარმომადგენლებს არ მოსწონთ ერთკვირიანი ინტერვალი მონაკოსა და თურქეთის ეტაპებს შორის. ეს გუნდებს სერიოზულ პრობლემებს შეუქმნის ლოჯისტიკის მხრივ, რადგან მონაკოდან სტამბოლში მანქანების ორ-სამ დღეში გადაყვანა პრაქტიკულად შეუძლებელია.

ამ სიტუაციაში მონაკოს გრან-პრის ორგანიზატორები, შესაძლოა, უპრეცედენტო ნაბიჯს დათანხმდნენ და ეტაპის ჩატარების თარიღი უკან გადაწიონ. არადა, აქამდე მონტე კარლოს რბოლა ადგილობრივ სახელმწიფო დღესასწაულს ემთხვეოდა. ახლა კი გამორიცხული არ არის, რომ ეტაპი 23 მაისის ნაცვლად 16 მაისს გაიმართოს.

შესაძლებელი იყო თურქეთის გრან-პრის ერთი კვირით წინ გადაწევა. ეს იმ შემთხვევაში მოხდებოდა, თუ გაისად კანადის ეტაპი არ გაიმართებოდა, მაგრამ, როგორც ჩანს, **ბერნი ექლსტოუნმა** მონრეალის რბოლის ორგანიზატორებთან ყველა საკითხი მოაგვარა. ასე რომ, კანადის გრან-პრი გაიმართება და შესაბამისად, მონაკოს გრან-პრის მოუწევს თარიღის შეცვლა.

სავარაუდო კალენდრის მიხედვით, მონაკომდე ერთი კვირით ადრე - 9 მაისს ესპანეთის გრან-პრია დანიშნული: ბარსელონიდან მონტე კარლომდე გზა დიდ დროს არ წაიღებს. ამასთან, ესპანური ეტაპის უკან გადაწევაც შესაძლებელია, რადგან კალენდარში ჩინეთის გრან-პრის შემდეგ სამკვირიანი შესვენებაა ნავარაუდები.

■ ■ ■

2010 წლის კალენდარში კიდევ ერთი გაურკვევლობაა. შაბათს გაუვიდა ვადა ულტიმატუმს, რომელიც ფორმულა 1-ის მთავარმა პრომოუტერმა ბერნი ექლსტოუნმა ბრიტანული „დონინგტონ-პარკის" მფლობელებს მისცა. სწორედ შაბათამდე უნდა ეპოვათ 2010 წლის ბრიტანეთის გრან-პრის ორგანიზატორებს რბოლის გამართვისთვის საჭირო ფინანსები. ექლსტოუნმა კენსინგტონში ოფისი გვიან ღამით დატოვა, მაგრამ ბრიტანული მხარისგან დადებითი პასუხი ვერ მიიღო.

*„ეს ბოლო ვადა იყო. ამის შემდეგ ორგანიზატორებმა საჭირო თანხაც რომ იშოვონ, ტრასის დროულად რეკონსტრუქციას მაინც ვერ მოასწრებენ"*, - ამბობს ექლსტოუნი.

ბერნის ჯერ არ გამოუცხადებია „დონინგტონთან" კონტრაქტის გაწყვეტა, მაგრამ საეჭვოა, რბოლის ორგანიზატორებმა უახლოეს დღეებში იშოვონ 50 მილიონი ფუნტი, მით უმეტეს, რომ ამ თანხას 18 თვის განმავლობაში ვერ მოუყარეს თავი.

ამასობაში მეორე ბრიტანული ტრასა - „სილვერსტოუნი" მზად არის, გააფორმოს კონტრაქტი ქვეყნის გრან-პრის ჩატარებაზე. ამის შესახებ ირწმუნება ბრიტანელ ავტომრბოლთა კლუბი, რომელსაც ეს ლეგენდარული ავტოდრომი ეკუთვნის.

■ ■ ■

ბრიტანელებისგან განსხვავებით, პრობლემა არ აქვს აბუ დაბიში „იას მარინას" ავტოდრომს, რომელზეც ამ სეზონის ბოლო ეტაპი უნდა გაიმართოს. ახალაშენებულმა ტრასამ წარმატებით გაიარა ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაციის ინსპექცია და მას უკვე დღეს შეუძლია გუნდების მასპინძლობა. ამ დღეებში აბუ დაბის ფორმულა 1-ის ცნობილი პილოტები სტუმრობდნენ, მათ შორის **დევიდ კულტჰარდი** და **მარტინ ბრანდლი**, რომლებმაც ორადგილიანი მანქანებით ტრასაზე გაასეირნეს ჟურნალისტები.

*„ახალი ავტოდრომი უმნიშვნელოვანეს როლს ითამაშებს აბუ დაბის განვითარებაში. დარწმუნებული ვარ, მომავალი რბოლა არაბთა გაერთიანებული საამიროების იმიჯს კიდევ უფრო აამაღლებს. ჩვენი მთავარი ამოცანაა, რომ დედამიწის ყველა კუთხიდან ჩამოსულმა მაყურებელმა მაქსიმალური სიამოვნება მიიღოს და შინ თბილი მოგონებებით დაბრუნდეს"*, - ამბობს „იას მარინას" აღმასრულებელი დირექტორი **რიჩარდ კრეგანი**.

# მაქს მოსლი: სტარტზე მხოლოდ 22 ბოლიდი გავა



ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტი **მაქს მოსლი**, რომელიც 23 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ დატოვებს პოსტს, დარწმუნებულია იმაში, რომ მისი შემცვლელი გააგრძელებს ფორმულა 1-ში ხარჯების შემცირების პოლიტიკას. მოსლი დღეს შექმნილ სიტუაციას სერიოზულს უწოდებს, რადგან მისი მონაცემებით 2010 წლის ჩემპიონატში მხოლოდ 11 გუნდი მიიღებს მონაწილეობას და არა - 13, როგორც ფორმულა 1-ის ხელმძღვანელობას აქვს დაგეგმილი.

*„ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაციას გუნდებთან ხელშეკრულება აქვს გაფორმებული, რომლის მიხედვითაც დანახარჯები იმ დონეზე უნდა დავიდეს, როგორიც 90-იანი წლების დასაწყისში იყო. თუ ეს პირობები არ იქნება დაცული, ფედერაციას საქმეში ჩარევა მოუწევს. ახალმა პრეზიდენტმა ყველაზე გვიან 2011 წლის ბოლოსთვის უნდა დააწესოს ბიუჯეტზე ლიმიტი.*

*2010 წლის ბოლოსთვის გუნდებმა ხარჯები 60-70 მილიონ ევრომდე უნდა შეამცირონ. აქ არ არის გათვალისწინებული პილოტების ხელფასები და სამარკეტინგო დანახარჯები. მაგრამ ეს საკითხი მონაწილეებთან ჯერ ბოლომდე არ არის შეთანხმებული. აქვე ჩემამდე მოვიდა ინფორმაცია, რომ გაისად სტარტზე მხოლოდ 22 მანქანა გავა და არა 26, როგორც თავიდან იყო დაგეგმილი"*, - ამბობს მოსლი.

# ბარიკელო უილიამსში წავიდა

ბრაზილიური გამოცემა IG იტყობინება, რომ ფორმულა 1-ის ვეტერანმა **რუბენს ბარიკელომ** ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმა ბრიტანულ საჯინიბო „უილიამსთან". ჟურნალისტების ინფორმაციით, ამ გარიგების შესახებ ოფიციალურად ბრაზილიის გრან-პრის დროს გამოაცხადებენ, რომელიც ერთი კვირის შემდეგ უნდა გაიმართოს. სავარაუდოდ, 2010 წელს ბარიკელოს მეწყვილე GP2-ის ჩემპიონი, გერმანელი **ნიკო ჰიულკენბერგი** იქნება.

ბარიკელო ამჟამად „ბრაუნ გრან-პრის" პილოტია და 2009 წლის ტიტულისთვის იბრძვის. ჩემპიონატის ფინიშამდე ორი ეტაპით ადრე, ბრაზილიელი 14 ქულას აგებს თანაგუნდელ **ჯენსონ ბატონთან**.

გარდა ამისა ცნობილი ხდება, რომ გაისად „უილიამსი" არა „ტოიოტას", არამედ „კოსუორტის" ძრავებით იქნება აღჭურვილი.




გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ცხელი ხაზი

| ფეხბურთი | |
|---|---|
| **ევრო 2010** | |
| **UNDER 19** | |
| გერმანია-თურქეთი | 1:2 |
| ლუქსემბურგი-მოლდოვა | 1:2 |
| სომხეთი-შოტლანდია | 1:6 |
| ავსტრია-რუმინეთი | 0:4 |
| ისლანდია-ბულგარეთი | 3:2 |
| ბოსნია-ჩრ. ირლანდია | 0:4 |
| **ინგლისი** | |
| **I ლიგა** | |
| ტრანმერი-სტოკპორტი | 0:1 |
| **იტალია** | |
| **სერია B** | |
| ფროსინონე-კროტონე | 1:1 |
| **სერია C1/B** | |
| სპალ-რიმინი | 1:2 |
| **პორტუგალია** | |
| ბელენენსეში-ნასიონალი | 0:1 |
| **შვედეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| იონჩოპინგი-ფარკენბერგი | 4:1 |
| ლანდსკრონა-ნორჩოპინგი | 2:3 |
| სუნდსვალი-ვასბი | 1:2 |
| **ფინეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| ატლანტისი-ვიიკინგიტი | 1:0 |
| **საბერძნეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| პიერიკოსი-ოლიმპიაკოსი (ვ) | 2:3 |
| **თურქეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| რიზე-ერჩიესი | 2:0 |
| **არგენტინა** | |
| რივერ პლეიტი-ინდეპენდიენტე | 1:3 |
| **ბრაზილია** | |
| ატ. მინეირო-კრუზეირო | 0:1 |
| ბოტაფოგო-ავაი | 2:2 |
| გოიაში-სპორტ რესიფე | 1:1 |
| ნაუტიკო-პალმეირასი | 3:0 |
| სანტოსი-ვიტორია | 0:0 |

| ჩოგბურთი | |
|---|---|
| **ჩილე** | |
| კურიკო-ს. მორნინგი | 1:1 |
| **კალათბურთი** | |
| **გერმანია** | |
| ბამბერგი-ტუბინგენი | 84:75 |
| ბრემერჰავენი-ბრაუნშვაიგი | 73:77 |
| **იტალია** | |
| კანტუ-ბენეტონი | 68:72 |
| **ჰოკეი** | |
| **NHL** | |
| ბოსტონი-კოლორადო | 3:4 |
| აილენდერსი-ლოს ანჯელესი | 1:2 |
| **კჰლ** | |
| ავანგარდი-მეტალურგი (ნ) | 2:1 |
| ავტომობილისტი-დინამო (მნ) | 1:3 |
| მეტალურგი (მ)-დინამო (მ) | 2:5 |
| ტრაქტორი-დინამო (რ) | 4:4 |
| სევერსტალი-ლადა | 2:2 |
| ატლანტი-ნეფტეხიმიკი | 3:2 |
| სკა-აკ ბარსი | 3:3 |
| **ჩოგბურთი** | |
| **ATP. შანხაი** | |
| ჩიუდინელი-ბელუჩი | 6:7, 4:6 |
| ბლეიკი-კარლოვიჩი | 3:6, 7:6, 6:3 |
| ფ. მაიერი-პეტცშნერი | 6:3, 6:2 |
| ლოდრა-რობრედო | 1:6, 4:6 |
| ვავრინკა-კუბოტი | 2:6, 7:6, 7:6 |
| ფერერი-გასკე | 6:4, 6:3 |
| შუტლერი-ვასალო არგელო | 6:4, 3:6, 7:6 |
| ფონინი-გულბისი | 7:6, 6:3 |
| ფ. გონსალესი-ზვერევი | 7:5, 6:7, 6:2 |
| შტეპანეკი-ფერერო | 6:3, 6:0 |
| გონგი-საფინი | 4:6, 4:6 |
| **WTA. ლინცი** | |
| კვიტოვა-პეტკოვიჩი | 6:1, 6:4 |
| ჰრადეცკა-ოლარუ | 2:6, 6:2, 1:6 |
| უ. რადვანსკა-მოისბურგერი | 7:6, 6:1 |
| სუარეს ნავარო-სრებოტნიკი | 6:2, 6:4 |
| **WTA. ოსაკა** | |
| პეერი-მირზა | 6:3, 3:6, 4:6 |
| კუტუზოვა-კირილენკო | 6:2, 1:0 უარი |
| კრემერი-სკიავონე | 5:7, 2:6 |
| ო'ბრაიენი-გლეტჩი | 6:3, 6:4 |
| იოჰანსონი-შვედოვა | 7:5, 2:6, 7:5 |
| ჩინკი-ფუდა | 6:4, 6:4 |

TV პროგრამა

**13 ოქტომბერი. სამშაბათი**

**I არხი**

**13:30** გოლი - საფეხბურთო პროგრამა.

**SPORT 1 (უკრაინა)**

**07:35** ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. შესარჩევი ტურნირი. ლუქსემბურგი-შვეიცარია.
**09:15** Libero. ანალიტიკური პროგრამა.
**10:20** სპორტული სამყარო.
**10:45** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. შანხაის მასტერსი. I დღე. ჩინეთი.
**14:45** ფეხბურთი. პრემიერლიგის სამყარო.
**15:15** ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. შესარჩევი ტურნირი. ესტონეთი-ბოსნია.
**17:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ტაილანდის ღია პირველობა. 1/4 ფინალი. ბანგკოკი.
**18:25** სპორტინფორმი. ახალი ამბები.
**18:30** ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. შესარჩევი ტურნირი. პორტუგალია-უნგრეთი.
**20:15** სპორტინფორმი. ახალი ამბები.
**20:20** ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ბოსტონი-კოლორადო.
**22:10** სპორტინფორმი. ახალი ამბები.
**22:20** 100% დინამო.
**22:45** სპორტული სამყარო.
**23:15** ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. დღის მიმოხილვა.
**23:50** სპორტინფორმი. ახალი ამბები.
**23:55** Libero. ანალიტიკური პროგრამა.
**01:00** ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. შესარჩევი ტურნირი. ლუქსემბურგი-შვეიცარია.
**03:00** მშვილდოსნობა. მსოფლიოს თასი. ფინალი. კოპენჰაგენი, დანია.
**05:45** ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. შესარჩევი ტურნირი. ესტონეთი-ბოსნია.

**SPORT 2 (უკრაინა)**

**07:15** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ტაილანდის ღია პირველობა. 1/4 ფინალი. ბანგკოკი.
**09:00** ფეხბურთი. ევროპის ლიგა. ჯგუფური ეტაპი. II ტურის მიმოხილვა.
**09:50** საჰაერო რბოლები. Red Bull 2009. ბუდაპეშტი, უნგრეთი.
**10:45** ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. შტუტგარტი-ვერდერი.
**12:25** სპორტული სამყარო.
**12:55** 100% დინამო.
**13:20** ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. შესარჩევი ტურნირი. ჩეხეთი-პოლონეთი.
**15:05** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. შანხაის მასტერსი. I დღე. ჩინეთი.
**17:10** კალათბურთი. FIBA-ის მიმოხილვა.
**17:35** ფეხბურთი. ევროპის ლიგა. ჯგუფური ეტაპი. II ტური. ტულუზა-ბრიუგე.
**19:25** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. II ტური. ალკმაარი-სტანდარდი.
**21:05** Libero. ანალიტიკური პროგრამა.
**22:10** ფეხბურთი. ევროპის ლიგა. ჯგუფური ეტაპი. II ტურის მიმოხილვა.
**23:00** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ინტერი-უდინეზე.
**00:45** ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ბოსტონი-კოლორადო.
**02:35** ფეხბურთი. ევროპის ლიგა. ჯგუფური ეტაპი. II ტური. ტულუზა-ბრიუგე.
**04:20** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. II ტური. ალკმაარი-სტანდარდი.
**06:00** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. II ტური. ალკმაარი-სტანდარდი.
**06:30** ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. დღის მიმოხილვა.

**EUROSPORT**

**10:30** სნუკერი. გრან-პრი. ფინალი. გლაზგო, შოტლანდია.
**12:45** ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. შესარჩევი ტურნირი.
**13:45** ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. შესარჩევი ტურნირი. სერბეთი-რუმინეთი
**14:30** ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. შესარჩევი ტურნირი. რუსეთი-გერმანია.
**15:30** ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. შესარჩევი ტურნირი.
**16:30** ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი (20-წლამდელები). 1/4 ფინალი. ეგვიპტე.
**18:15** ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი (20-წლამდელები). ეგვიპტე.
**18:30** ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი (20-წლამდელები). 1/2 ფინალი. განა-უნგრეთი. ეგვიპტე (LIVE).
**20:30** ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. შესარჩევი ტურნირი.
**21:00** ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
**21:10** ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. შესარჩევი ტურნირი. რუსეთი-გერმანია.
**22:00** ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი (20-წლამდელები). 1/2 ფინალი. ბრაზილია-კოსტა რიკა. ეგვიპტე (LIVE).
**00:00** ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი (20-წლამდელები). ეგვიპტე.
**00:15** ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. შესარჩევი ტურნირი. პორტუგალია-უნგრეთი.
**01:00** ექსტრემალური სპორტი.
**01:15** ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. შესარჩევი ტურნირი.
**02:15** ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი (20-წლამდელები). 1/2 ფინალი. ეგვიპტე.

# ყვანჯი, ბურთი და 18 ორმო



კოპენჰაგენში საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის სესიაზე შვიდკაცა რაგბი და გოლფი ოლიმპიურ პროგრამაში დააბრუნეს. რაგბის შესახებ ჩვენმა გულშემატკივრებმა ყველაფერი იციან, გოლფი კი შედარებით უცნობი სახეობაა და მის ახლოს გასაცნობად დღეს ზოგად ინფორმაციას გთავაზობთ.

## საერთო ინფორმაცია

გოლფი პირველად წერილობით 1457 წელს შოტლანდიის პარლამენტის დადგენილებაშია მოხსენიებული. მეფე ჯეიმსი კრძალავდა თამაშს, რადგან ჯარისკაცები მშვილდით სროლაში ვარჯიშს ივიწყებდნენ და მუდმივად გოლფით ერთობოდნენ.

არსებობს ვერსია იმის შესახებ, რომ სიტყვა golf ფრაზის - GO looking for-ის შემოკლებული ვარიანტია, თავად სპორტის სახეობა კი სოკოს ერთ-ერთი ჯიშის შეგროვების პროცესის შენილბვისთვის გამოიგონეს, რადგან ამ სოკოების მოხმარებას ორთოდოქსული რელიგია კრძალავდა.

გოლფის პირველი წესები 1744 წელს ედინბურგის გოლფისტთა საზოგადოებამ შექმნა, 1764 წელს კი სენტ-ენდრიუსის მოედანზე ორმოების რიცხვი 22-დან 18-მდე შეამცირეს. მას შემდეგ გოლფს სწორედ 18-ორმოიან მოედანზე თამაშობენ.

## გოლფის წესები

გოლფი - საკმაოდ მარტივი თამაშია, თუმცა მისი წესები 50 გვერდზეა გაწერილი. იმის გამო, რომ გოლფს მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში, სხვადასხვა მეტეოროლოგიურ პირობებსა და სხვა ათასგვარი ფაქტორის გათვალისწინებით თამაშობენ, წესებში აბსოლუტურად ყველა სიტუაცია უნდა იყოს ახსნილი.

თამაშის წესებს განაგებს საერთაშორისო ხელმძღვანელი ორგანო - შოტლანდიის ქალაქ სენტ-ენდრიუსის უძველესი სამეფო გოლფ-კლუბი. გოლფის ნამდვილ მოთამაშეებს ყოველთვის თან აქვთ წესების წიგნი და მას სათამაშო მინდორზე თავიანთ ერთადერთ მეგობარს უწოდებენ.

თამაშის მიზანი მარტივია - ყვანჯის მეშვეობით პატარა ბურთი რაც შეიძლება ნაკლები რაოდენობის დარტყმით უნდა მოათავსო ორმოში.

## 18 ორმო მოთამაშის წინაალმდეგ

გოლფის სტანდარტულ მინდორს 18 ორმო აქვს. და ეს ერთადერთია, რითაც გოლფის მოედნები ჰგვანან ერთმანეთს.

პირველი დარტყმა სრულდება სპეციალური მოედნიდან, რომელსაც ჰქვია "თი" (tee). შემდეგ მოთამაშე გადის დისტანციას, რომლის სახელიცაა "ფერვეი" (fairway) და ეს ყველაფერი მთავრდება პატარა მოედანზე, სახელწოდებით - "გრინი" (green). სწორედ "გრინზე" მდებარეობს საბოლოო მიზანი - ორმო.

მინდვრის მთელი დისტანცია ბუნებრივი წინაღობებით არის სავსე - პატარა ბუჩქები, ხეები, პატარა მდინარეები და ტბები, ქვიშის მონაკვეთები. ამ ყველაფერს ჰქვია - "რაფი" (rough).

ჩვეულებრივ, დისტანციის საერთო სიგრძე 5.5 კილომეტრს შეადგენს და ის 18 ორმოს მოიცავს. ასეთ პირობებში თამაშს დაახლოებით 4-5 საათი მიაქვს.

## ანგარიში

არსებობს გოლფის თამაშის რამდენიმე სახეობა - სამატჩო თამაში (როცა ითვლიან მოგებულ და წაგებულ ორმოებს) და დარტყმების რაოდენობაზე თამაში (აქ ითვლიან მეტოქეთა დარტყმების ჯამურ რაოდენობას 18 ორმოს გავლის შემდეგ).

მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს გოლფში ისეთ ცნებას, როგორიც არის "პარი" (par). საერთო ჯამში, "პარი" - ესაა დარტყმების დადგენილი მინიმალური რაოდენობა, რომელიც მოთამაშემ ორმოში ბურთის ჩასაგდებად უნდა შეასრულოს. ყოველ დისტანციას გააჩნია თავისი "პარი" - ჩვეულებრივ, 18 ორმოს გასავლელად 70-72 დარტყმას ვარაუდობენ. ეს იმას ნიშნავს, რომ ამ მინდვრის "პარი" 70-დან 72-მდე იქნება.

მოთამაშეთა უმრავლესობა ვერ ახერხებს 18 ორმოს ასეთი რაოდენობის დარტყმებით გავლას - დაახლოებით ყოველი მეათასე მოთამაშე აკეთებს ამას. რაც უფრო მეტი "პარი" აქვს ორმოს, მით უფრო რთულია იქ ბურთის ჩაგდება. ჩვეულებრივ, ეს მაჩვენებელი სამიდან ხუთ "პარს" უდრის.

თუ თამაშის დროს გოლფისტს ბურთი დაეკარგა, წესების თანახმად, მოთამაშეს ხუთი წუთი ეძლევა მის მოსაძებნად. თუ მან ეს ვერ მოახერხა, მოთამაშე თავის ანგარიშს ერთ საჯარიმო დარტყმას უმატებს. ერთადერთი გამონაკლისია - როცა ბურთი წყალში ვარდება.

## ძირითადი ტერმინები

პატი (putt) - მსუბუქი დარტყმა, რომელიც "გრინზე" სრულდება. მისი მიზანია ორმოში ბურთის ჩაგდება.

სვინგი (swing) - ძირითადი დარტყმა, რომლის მიზანია ბურთის შორს და ზუსტად გაშვება.

პარი (par) - დარტყმების ის მინიმალური რაოდენობა, რომლითაც მოთამაშემ ორმოში ბურთი უნდა ჩააგდოს. არსებობს პარის სამი სახეობა - პარი-3, პარი-4 და პარი-5. მათი ძირითადი განსხვავებაა მანძილი "თიდან" ორმომდე. ძალიან იშვიათად, მაგრამ გვხვდება პარი-6. ძირითადად მანძილი მერყეობს 100-დან 550 მეტრამდე. მაგალითად, პარი-3 (110 მეტრი), პარი-4 (320 მეტრი) და პარი-5 (480 მეტრი).

ბიორდი (birdie) - პარზე ერთით ნაკლები დარტყმების რაოდენობა.

იგლი (eagle) - პარზე ორით ნაკლები დარტყმების რაოდენობა.

ალბატროსი (albatross) - პარზე სამით ნაკლები დარტყმების რაოდენობა (მხოლოდ პარი-5-სა და პარი-4-ის ორმოებისთვის).

ბოგი (bogey) - პარზე ერთით მეტი დარტყმების რაოდენობა.



ბოლო დარტყმა გრინზე

## გოლფის ყვანჯები

ვუდი (Wood) - ამ ყვანჯით შეჰყავთ ბურთი თამაშში. მისი მეშვეობით ბურთის 300 მეტრამდე დარტყმაა შესაძლებელი.

აირონი (Iron) - შედარებით მჩატე ყვანჯი უფრო მოკლე დისტანციებზე დარტყმების შესასრულებლად. დარტყის დისტანციაა 70-150 მეტრი.

ვეჯი (Wedge) - გამოიყენება ქვიშაში ან მაღალ ბალახში ჩავარდნილი ბურთის მოკლე დისტანციაზე დასარტყმელად.

პატერი (Putter) - ყვანჯი მსუბუქი თავით. გამოიყენება "გრინზე" საბოლოო დარტყმის შესასრულებლად.

## პროფესიული ტური და ტურნირები

PGA tour - პროფესიული ტურნირების ციკლი, რომელიც წლის განმავლობაში მიმდინარეობს. გოლფი სპორტის ერთადერთი სახეობაა, სადაც არა ერთი, არამედ რამდენიმე პროფესიული ტური არსებობს. მათ შორის ყველაზე დიდია - ამერიკული (მას ხანდახან, უბრალოდ, ტურს უწოდებენ), ევროპული, ავსტრალო-აზიური.

PGA tour-ში ოთხი უმთავრესი ტურნირია - მასტერსი, აშშ-ის ღია პირველობა (US Open), ბრიტანეთის ღია პირველობა (The Open Championship) და გოლფის პროფესიული ასოციაციის ჩემპიონატი (PGA Championship).

**გია თვალაბეიშვილი**



ყვანჯის სახეობები (მარჯვნიდან მარცხნივ): ვუდი, პატერი და აირონი




